„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! – მძინარიც ამას ვდუღდუნებ“ – ვაჟა

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2017 წ. მაისი * №53 * ფასი 1,50 ლარი

გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



წვერის წმ.გიორგის ეკლესია (ქვემო ქართლი)

მითები ზვიად გამსახურდიას შესახებ

გვ. 3-5

ახალი დროების სექტები და მწვალებლობები რუსეთში

გვ. 14,17

საქართველო ძლიერი საპრეზიდენტო სახელმწიფო უნდა გახდეს!

ლეილა ცომაია

საქართველოს კონსტიტუციის საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებზე მორგების ინოვაციური პროექტი „ნაციონალური“ პარლამენტისა (დავით ბაქრაძე) და პრეზიდენტ სააკაშვილის მემკვიდრეობაა; „ნაციონალების“ 2010 წლის რევანშისტული საკონსტიტუციო ცვლილებები არ იკმარა „ოცნების“ პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა და პრემიერ-მინისტრის უფლებებიც კი პარლამენტის კონტროლს დაუქვემდებარა. მეორე ვადით არჩეული „ოცნების“ პარლამენტის სტრატეგიააა, ისედაც ჩუჩელადქცეული პრეზიდენტის უფლებამოსილების თითქმის სრული აყრა, რაც დააკნინებს და დაასუსტებს ქართულ სახელმწიფოს.

„ოცნების“ პარლამენტი, ირაკლი კობახიძის თავმჯდომარეობით, მიზანსწრაფულად ილვწის კონსტიტუციიდან ამოიღოს უმთავრესი მუხლი პრეზიდენტის საერთო-სახალხო კენჭისყრით არჩევის პირდაპირი წესის შესახებ და ცდილობს იგი ე.წ. „300 ხმოსანთა“ არჩევის ბუტაფორიული წესით შეცვალოს. აგრეთვე, გააუქმოს პრეზიდენტის ინსტიტუტთან არსებული უშიშროების საბჭო და იგი პარლამენტს დაუქვემდებაროს. ამგვარი საკონსტიტუციო გადატრიალების მოხდენას კი, ხალხის ნების სრული იგნორირებით - რეფერენდუმის ან პლებისციტის გარეშე ახორციელებს!

ირაკლი კობახიძისაგან, ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს მსგავსი კონსტიტუციური გადატრიალებები, რამეთუ იგი პოლიტიკაში, სწორედ ამგვარი ოჯახური გამოცდილებით მოვიდა; იგი გახლავთ შვილი ედპ-ს ერთერთი ლიდერ-აქტივისტის გიორგი კობახიძისა, რომელიც იარაღით იბრძოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კონსტიტუციური ეროვნული მთავრობის დამხობისთვის. ამ გამოცდილებამ ათქმევინა, სწორედ უმცროს პოლიტიკოს ირაკლი კობახიძეს ჟურნალისტებთან: სამივე „ძლიერმა“ პრეზიდენტმა რევოლუციით დაასრულეს არსებობა, ჩვენ კი უფლებების დემოკრატიული გადანაწილე-

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

ბა გვსურსო...

რეალურად კი, არ არის გამორიცხული, პარლამენტის ამბიციურ ახალგაზრდა სპიკერს, პირველობის ქვეგამხედვარე გეგმები ამოძრავებდეს; ამგვარი რევანშისტული ცვლილებებით, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის უფლებების საკუთარ ხელში კონცენტრირება და ძლიერი უფლებამოსილებით აღჭურვილი საქართველოს პარლამენტის სპიკერობა სურდეს. ჩვენს ვარაუდს ამყარებს ე.წ. გადაუნაწილებელი (დარჩენილი) მანდატების სრული რაოდენობის, გამარჯვებული პარტიისთვის მიკუთვნების ინიცირება, რაც ერთპარტიული პარლამენტის ანუ ერთპარტიული სახელისუფლო მმართველობისაკენ მიმართულ ნაბიჯს წარმოადგენს.

წინამდებარე წერილით ჩვენ მესამედ ვეხმიანებით პრეზიდენტის ინსტიტუტის ხელყოფის მცდელობას, რასაც სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ დანაშაულად ვაფასებთ. ყოველი ხელისუფალი ვალდებულია უფრთხილდებოდეს, აძლიერებდეს და იცავდეს სახელმწიფო ინსტიტუტებს და აძლიერებდეს ქვეყნის თავდაცვის უნარიანობასაც. ამგვარი ქმედებებით ჩვენ, ფაქტიურად ვეგუებით და უარს ვამბობთ დაკარგულ ტერიტორიებზე. ქართველი ერი კი მოწოდებული და შემართულია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის, საამისოდ, იგი იარაღით ბრძოლაზეც არ იტყვის უარს ხელისუფლების სათანადო მზაობისა და ნების შემთხვევაში. ხელისუფლება, დიახაც მოვალეა, ქვეყნის მზარდი თავდაცვისუნარიანობით საქართველო აქციოს ანგარიშგასაწევ ძალად და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ხმაურიანი განცხადებებით, წარმოჩინდეს საერთაშორისო პოლიტიკის მუდმივი მხარდაჭერის სახელმწიფო სუბიექტად. ნაცვლად ამისა, „ოცნების“ ხელისუფლება, ნლიდან ნლამდე ამცირებს სამხედრო ბიუჯეტს, წვევამდელთა გაწვევის რაოდენობას და ჯარში, საყოველთაო სავალდებულო გაწვევას, ნებაყოფლობითი გაწვევით ცვლის.

მოქმედი პრეზიდენტი მარგველაშვილი, რომელსაც საპრეზიდენტო ვადა 2018 ნლის ოქტომბერში ეწურება, ყველა ლეგიტიმურ-დემოკრატიული წესით ცდილობს პრეზიდენტის ინსტიტუტის დაცვა-შენარჩუნებას; ამ მიმართულებით იგი მეთოდოლოგიურ პროპაგანდას ეწევა უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში, აქტიურად იყენებს სატელევიზიო არხებსაც, გასვლით შეხვედრებს აწყობს რაიონებისა და ქალაქების მოსახლეობასთან.

ამგვარმა ეფექტურმა ქმედებებმა, საფრთხე აშკარად შეუქმნა მმართველ ხელისუფლებას არათანხვედრი გეგმების გახორციელებაში და პრეზიდენტის აქტივობისადმი შეწყვილების ღონისძიებებს მიმართა; ისინი შეუწყვილდნენ პრეზიდენტს და არტილერიულად ცდილობენ ერთობლივ დებატებში მის დამარცხებას. გარეგნულად სახეზე გვაქვს პოლიტიკური დებატების ევროამერიკული მოდელი, რაც თავისი სიცხოველით საინტერესოს ხდის საჯარო განხილვებს, მაგრამ შეჯიბრობითობის პრინციპში ძალთა ბალანსი, აშკარად სამთავრობო გუნდის უპირატესია ტრიბუნებზე და დარბაზებშიც. ხელისუფლებას მობილიზებული ჰყავს გამგეობების, საკრებულოების, თუ სასწავლო დაწესებულებების თანამშრომლები. დებატებში ჩართული, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის განეიტრალება ადვილად მიღწევადი ხდება.

სახელისუფლებო პირველობისათვის 2013 ნლიდან მებრძოლი ივანიშვილის ხელისუფლების პირობებში კი, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რუსეთის ჯარი სრულად გაბატონდა თავისი სამხედრო ბაზებით და მცოცავი ანექსიით უფრო მეტ ტერიტორიებს იტაცებს. აფხაზეთში დაიწყო, რუსებისათვის საცხოვრებელი ადგილების მიყიდვის პროცესი, საქართველოში თავისუფლად ჩამოდის (7-8 მაისი) პუტინის ფავორიტი იური ლუჟკოვი და ბედავს დაგვმოძღვეროს, რომ „აფხაზეთისა და ცხინვალის გარეშე საქართველო უკეთ იგრძნობს თავს“. ნლევანდელ 9 მაისსაც უპრობლემოდ შემოვიდნენ თბილისში რუსი „ბაიკერები“. „ოცნების“ მთავრობას კი სულაც არ ახსენდება კანონი ოკუპაციისა და საბჭოთა სიმბოლოკის შესახებ, რათა სანქციები მაინც გაატაროს დაუპატიჟებელი სტუმრების მიმართ.

ასეთ საშინაო ვითარებაში, ნამდვილად, შვებისმომგვრელ და საიმედო მოკავშირედ გვევლინება ამერიკის შეერთებული შტატები თავისი ახალი პრეზიდენტით; დონალდ ტრამპმა ახლახან ხელი მოაწერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ ბრძანებულებას რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ბოიკოტს (სანქციებს) აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ამღიარებელი ქვეყნების მიმართ (იხ. ქვემოთ).

საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებზე მოფიქრალი საქართველოს ხელისუფლებისათვის, ეს დეკლარაცია მნიშვნელოვანი სიგნალი უნდა იყოს! ამ მხარდაჭერას გამოყენება სჭირდება!

მართალია, ტრამპის ამ რეზოლუციას უმალ მოჰყვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტი ამერიკაში, მაგრამ ეს კავშირები არ უნდა შენელდეს. საამისოდ ჩვენ გვჭირდება სახელმწიფო ინსტიტუტების (პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის) გაძლიერება თავ-თავისი ფუნქციებით და არა, შესუსტება.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მართალია ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ეს სავსებით შესაძლებელია ამერიკის, აგრეთვე სხვა პარტნიორი სახელმწიფოების მხარდაჭერით და საქართველოს სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანებით, რაც უნდა დაჩქარდეს.

საამისოდ კი, საქართველო, ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის სახელმწიფო უნდა გახდეს!

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა საკანონმდებლო აქტს, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის შესახებ

აშშ–ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა საკანონმდებლო აქტს, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კერძოდ, ამ აქტის თანახმად, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მიიღებს აშშ–ისგან ფინანსურ დახმარებას, რომელიც აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას და დაამყარებს მათთან დიპლომატიურ ურთიერთობას. აქტში წერია, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არის რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები.

ამას გარდა, აშშ წინააღმდეგი იქნება ნებისმიერი სახის დახმარებისა (სესხი, კრედიტი ან გარანტია) ნებისმიერ პროგრამაზე, რომელიც ლახავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

საუბარია 2017 ნლის აშშ–ის ბიუჯეტის კანონზე (2017 ნლის აშშ–ის კონსოლიდირებული ასიგნებების აქტი – Consolidated Appropriations Act, 2017), რომელიც აშშ–ის კონგრესმა 5 მაისს დაამტკიცა, ხოლო დოკუმენტი ძალაში, აშშ–ის პრეზიდენტის ხელმოწერის შედეგად, 6 მაისს შევიდა.

კანონში საქართველოს მხარდამჭერი ტექსტი, სათაურით „საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია,“ რუსეთის აგრესიის ქვეთავის ქვეშ ექცევა.

ტექსტის თანახმად, ხსენებული კანონით გამოყოფილი დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერც ერთი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა, თუ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი დაადგენს და ასიგნებების კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს იმის თაობაზე, რომ აღნიშნულმა ქვეყანამ აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ან მათთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები.

ბიუჯეტის კანონი მოუწოდებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, დროულად გამოაქვეყნოს ამგვარი ქვეყნების სია სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე. დოკუმენტის თანახმად, ხსენებული კანონით გამოყოფილი რაიმე დაფინანსება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის მხარდასაჭერად.

ბიუჯეტის კანონი მოუწოდებს აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს, შესაბამისი ინსტრუქცია მისცეს საერთაშორისოსაფინანსო ინსტიტუტების აშშ-ის აღმასრულებელ დირექტორებს, რათა მათ უარყოფითი ხმა დააფიქსირონ ნებისმიერი იმ პროგრამის დაფინანსებასთან დაკავშირებით (სესხის, კრედიტისა და გარანტიის ჩათვლით), რომელიც არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

დოკუმენტი ასევე ადგენს, რომ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 90 დღისა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კონგრესის შესაბამის კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ოკუპაციასთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ, ოკუპაციის სავარაუდო ხარჯების გათვლით.

წყარო:
http://netgazeti.ge/news/191897/

აშშ-ის სახელმწიფო მდივანს დაევალა, 90 დღეში კონგრესს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის შესახებ მოახსენოს.

ფალვა ჯოხაძე
ადმინისტრატორი
გამოქვეყნებულია
2017-05-06 05:27:00

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ ხელმოწერილ საბიუჯეტო კანონში - 2017 ნლის კონსოლიდირებული ასიგნების აქტში საქართველოს ცალკე თავი ეთმობა. „საქართველოს ტერიტორიების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია“ - ასეა დასათაურებული ეს თავი. მასში აღნიშნულია, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანს დაევალა, 90 დღის ვადაში, კონგრესს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის მიმართებით განხორციელებული ქმედებების შესახებ მოახსენოს.

„ამ კანონით ასიგნებული სახსრები არ მიეცეს დახმარებისთვის იმ ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელსაც ქვეყნის სახელმწიფო მდივანი განსაზღვრავს და მოახსენებს ასიგნების შესახებ კომიტეტს, რომელმაც აღიარა ან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიებთან აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან/სამხრეთ ოსეთთან, იმ პირობით, რომ მდივანი დროულად გამოაქვეყნებს სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე ამგვარი ცენტრალური ხელისუფლებების ნუსხას. გათვალისწინებულია, რომ მდივანს შეუძლია, უარი თქვას დახმარების შეზღუდვაზე, რომელსაც ეს პუნქტი ითხოვს, თუკი მდივანი განსაზღვრავს, რომ ეს კეთდება შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და ამდაგვარი დაინტერესების საფუძველი იქმნება.

ამ კანონით ასიგნებული არც ერთი ფულადი რესურსი არ შეიძლება მინიჭებული იყოს საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსული ოკუპაციის მხარდასაჭერად.

ხაზინის მდივანი დაავალებს შეერთებული შტატების ყოველი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულების აღმასრულებელ დირექტორს, ასეთმა დაწესებულებამ წინააღმდეგ მისცეს ხმა ნებისმიერ დახმარებაზე (მათ შორის, ნებისმიერ სესხზე, კრედიტზე გარანტიის ჩათვლით), ყველა პროგრამაზე, რომელიც არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობას.

კანონის ამოქმედებიდან, არაუგვიანეს 90 დღისა, სახელმწიფო მდივანმა წარმოადგინოს კონგრესის შესაბამის კომიტეტში ანგარიში იმ ზომების შესახებ, რომელიც მიღებულია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის გაძლიერების თაობაზე, მათ შორის, ამდაგვარი ოკუპაციის ყოველწლიური დაახლოებითი ხარჯები“, - აღნიშნულია დოკუმენტში.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ცოტა ხნის წინ მოაწერა ხელი ქვეყნის ბიუჯეტს, რომელიც 1 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, პირველად მოხდა აშშ-ის კანონით საქართველოს ტერიტორიების, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების რუსეთის მიერ ოკუპირებულად აღიარება. ამასთან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს გამოეყო დამატებითი დახმარება რუსეთის აგრესიის გასამკლავებლად და ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელშესაწყობად.

„ეს არის უპრეცედენტო მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, ჩვენი რეგიონების არაღიარების პოლიტიკისადმი. ეს არის აშშ-სა და საქართველოს თანამშრომლობის უპრეცედენტო მაგალითი, რაშიც ძალიან დიდი რესურსი ჩაიდო საქართველოს მთავრობის, პარლამენტის და რა თქმა უნდა დიპლომატიის“, – აცხადებს ჯანელიძე და აშშ-ში საქართველოს საელჩოს გაწეული შრომისთვის მადლობას უხდის.

http://1tv.ge/ge/news/view/159947.html

მითოგი ზვიად გამსახურდიას შესახებ

საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე „საკამათო“ პიროვნება უდავოდ ზვიად გამსახურდიაა - მწერალი, მეცნიერი, მთარგმნელი, დისიდენტი და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი. წლების განმავლობაში ამ ადამიანის შესახებ უამრავი ჭორი თუ მცდარი მოსაზრება ჩამოყალიბდა და საზოგადოებაში მითების სახით მყარად დამკვიდრდა. ობიექტურობის დადგენისათვის შევეცადე, მოკლედ გავაანალიზო რამდენიმე მათგანი, მითუმეტეს, რომ მოვლენების უშუალო მონაწილე არ ვყოფილვარ (დავიბადე 1995 წელს) და მკითხველი სუბიექტურობას ვერ დამწამებს.

მითი N1. ზვიად გამსახურდიამ დისიდენტური საქმიანობა მოინანია

გამსახურდიაზე საუბრისას ხშირად იხსენებენ მის ცნობილ „მონანიებას“. 1977 წელს ქართული ეროვნული მოძრაობის ორი ლიდერი - ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა „ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის“ დააპატიმრეს. ორივეს ქვეყნიდან შორს და დიდი ხნით გადასახლება ემუქრებოდა, რაც არათუ დააზარალებდა ეროვნულ მოძრაობას, არამედ სიცოცხლისუნარიანობასაც დაუკარგავდა მას. მერაბ კოსტავასთან შეთანხმებით, ზვიად გამსახურდიამ წარმოსთქვა „მონანიების“ ტექსტი და სინანული გამოხატა გარკვეული დისიდენტური მატერიალების გავრცელების გამო. 1979 წელს იგი გაათავისუფლეს. საბჭოთა ხელისუფლებამ და გამსახურდიას მოწინააღმდეგეთა ბანაკმა „მონანიების“ ჩანაწერი შემდგომში მრავალჯერ გამოიყენა მისი ავტორიტეტის შესალახად.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1987 წლის მაისში, მერაბ კოსტავამ განაცხადა: „ამ ყველაფრის შესახებ სიმართლე ჩემზე უკეთ არავინ იცის... სასამართლოზე ზ.გამსახურდია არ უარყოფდა და არ ინანიებდა უფლებათა დამცველის პატრიოტულ საქმიანობას, რაც ჩანდა მის სტატიებში ქართული ეკლესიის, ქართული ენის, კულტურული ძეგლების, პატიმართა მდგომარეობის შესახებ, ასევე საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის დოკუმენტებსა და განცხადებებში... სასამართლოზე ზვიად გამსახურდიამ შეცდომად აღიარა და მოინანია მხოლოდ ზოგიერთი მატერიალის გამრავლება და გავრცელება, რომლებიც არ ეკუთვნოდა მის კალამს; მაგრამ პრესამ საქმე წარმოაჩინა ისე, თითქოს, მან უარი თქვა თავის ძირითად საქმიანობაზე. სინამდვილეში ის მხოლოდ რამდენიმე მცდარ ქმედებაზე საუბრობდა. მან „მოინანია“ არა როგორც უფლებათა დამცველმა, არამედ როგორც გამომცემელმა.

ამ ყველაფერთან დაკავშირებით აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქმესთან გაცნობის მიზნით შემდგარი შეხვედრების დროს ჩვენ წინასწარ შევთანხმდით. სასამართლოზე ჩემი უკომპრომისო პოზიცია (მე თავი დამნაშავედ არ ვცანი) და ზ. გამსახურდიას ნაწილობრივ კომპრომისული პოზიცია იყო ჩვენს შორის წინასწარ შეთანხმებული და მიზანმიმართული. ჩვენ ასევე შევთანხმდით, რომ დევნილობაში მყოფი ზ. გამსახურდია პრეზიდიუმს გაუგზავნიდა თხოვნას განთავისუფლებისა და საქართველოში ჩემზე ადრე დაბრუნების შესახებ, რაც აუცილებელი იყო ჩვენი საერთო საქმისათვის, ჩვენი დანარჩენი მოთხოვნების შესრულებისა და პატრიოტული ძალების დარეგულირებისათვის. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ზ. გამსახურდიამ ეს ყველაფერი შეასრულა და გათავისუფლების შემდეგ უფლებათა დამცველის საქმიანობა გააგრძელა.

ზვიად გამსახურდიას ნაბიჯს და მის პოზიციას არამხოლოდ ვამართლებ, უფრო მეტიც - იმ სიტუაციაში ვთვლი მას აუცილებლად. ის, ვინც თავის სიცოცხლეს სწირავდა სიმართლისა და სამშობლოსათვის, მსხვერპლად გაიღო თავისი თავმოყვარეობა, რაც უფრო მაღლა დგას, ვიდრე პირველი მსხვერპლი“.

მოწინააღმდეგეები გამსახურდიას საკმაოდ პარადოქსულად უდგებიან, ერთი მხრივ უწუნებენ მსგავს ტაქტიკურ ნაბიჯს, მეორე მხრივ კი ბრალს სდებენ სიხისტესა და რადიკალიზმში. რაც მთავარია, ყველაზე მეტად მას აკრიტიკებდნენ ის ადამიანები, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში თავს საკმაოდ კომფორტულად რომ გრძნობდნენ!

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1977 წელს გამსახურდია პირველად და უკანასკნელად არ დაუკავებიათ - დისიდენტური საქმიანობისათვის მას არაერთხელ მოუხდია სასჯელი. პირველად დააპატიმრეს 1956 წელს მერაბ კოსტავასთან, გურამ დოჩანაშვილთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელებისათვის. მაშინ იგი მხოლოდ ჩვიდმეტი წლის იყო.

მითი 2. ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის ლოზუნგი „საქართველო ქართველებისათვის“ და ის დისკრიმინაციულ პოლიტიკას ატარებდა ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ.

დღემდე ბევრი ფიქრობს, რომ ლოზუნგი „საქართველო ქართველებისათვის“ ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის, თუმცა, მას არც ერთ განცხადებაში, არც ერთ მიტინგზე მსგავსი ფრაზა არ გამოუყენებია. სინამდვილეში ეს მოწოდება გიორგი ჭანტურიას „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის“ პროგრამულ დოკუმენტში ეწერა. ჭანტურია მაშინ განმარტავდა, რომ „საქართველო ქართველებისათვის“ არ იყო ეთნიკური უმცირესობების საწინააღმდეგო ლოზუნგი. ვითარება ისე შეიცვალა, რომ მან და მისმა მომხრეებმა ეს ლოზუნგი გამსახურდიას „გადაულოცეს“ და იგი სხვა ეთნოსების მტრად მონათლეს. 1990 წლის ივლისში, პრაღაში ჩატარებულ დისიდენტთა და უფლებათა დამცველთა საერთაშორისო კონფერენციაზე მიიღეს „რეზოლუცია N24 საქართველოში ეთნიკური კონფლიქტების შესახებ“. მასში ჩაიწერა: „ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის, რომ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში გამოიყო ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების ჯგუფი, რომელიც დგას ეროვნული შეუწყნარებლობის, ანტიდემოკრატიზმისა და ეთნოსთა შორის არსებული პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის პოზიციაზე. გამსახურდიას ალიანსის ქმედებები ეწინააღმდეგება ჰელსინკის შეხვედრის შემაჯამებელ აქტში ფორმულირებულ საერთაშორისო ნორმებს ადამიანის უფლებათა შესახებ“. ეს ინფორმაცია კონფერენციას გამსახურდიას მოწინააღმდეგე ქართველმა დისიდენტებმა (გ. ჭანტურია, ი. სარიშვილი, ძმები გუდავები) მიაწოდეს.

„ქართველი დემოკრატების“ ასეთმა საქმიანობამ, თვრამეტი წლის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს უფრო დიდი აბსურდი ათქმევინა: „1991 წელს, საქართველოს პრეზიდენტმა გამსახურდიამ ლოზუნგით „საქართველო ქართველებისათვის“ ბრძანა სოხუმისა და ცხინვალის შტურმი. ათასობით დაღუპული, ათი ათასობით დევნილი, განადგურებული სოფლები - აი, ამ ყველაფრის შედეგი“ - ამ ციტატის სერიოზულად აღქმა წარმოუდგენელია; რუსეთის პრეზიდენტმა კარგად იცოდა, რომ გამსახურდიას მმართველობის პერიოდში სოხუმზე და ცხინვალზე არანაირი შტურმი არ განხორციელებულა, უბრალოდ ხომ უნდა გაემართლებინა „ქართველების მიერ ჩაგრული“ აფხაზების და ოსების „დაცვა„?!

სახალხო ფრონტის ყრილობაზე ზვიად გამსახურდიამ განაცხადა: „საქართველო არის ქართველების ქვეყანა, ეს აქსიომა უნდა იყოს წარმოდგენილი და არეკლილი ამ პროგრამაში და კონსტიტუცია უნდა გამოხატავდეს ქართველი ერის ინტერესებს და ამავე დროს ყველა პიროვნების ინტერესებს რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს ის“. გამსახურდიას საქმიანობა მიმართული იყო ქართველი ერის უფლებების დაცვისაკენ, მაგრამ ეს არ გულისხმობდა სხვა ეთნიკური ელემენტების ჩაგვრას. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არცერთ ეთნიკურ ჯგუფს ზეწოლა და დევნა არ განუცდია, პირიქით, რესპუბლიკის მოქალაქეობა მიიღო ყველამ, ვინც ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე.

ისევ პარადოქსთან გვაქვს საქმე -ერთი და იგივე ხალხი გამსახურდიას ეთნიკური უმცირესობების დევნაში ადანაშაულებს და ამავე დროს აფხაზეთის მიმართ „აპართეიდული“ კანონის მიღებას აბრალებს. ამ კანონის მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში იყო 65 დეპუტატი: 28 აფხაზი, 26 - ქართველი, 11 - სხვა ეროვნების წარმომადგენელი. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იქნებოდა აფხაზი, მისი პირველი მოადგილე - ქართველი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც ქართველი უნდა ყოფილიყო. ამავე დროს, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ვერცერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტლება ვერ მიიღებდნენ აფხაზებისა და ქართველების კონსესუსის გარეშე. ამ ნაბიჯმა აფხაზი სეპარატისტების გამოსვლები ჩააქრო და გამსხურდიას მმართველობის პერიოდში (1992 წლის 6 იანვრამდე) საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არანაირი საფრთხე არ დამუქრებია.

გამოდის, რომ გამსახურდია უმცირესობებს სდევნიდა და ამავდროულად მათ უფლებებს მნიშვნელოვნად ზრდიდა?!

მითი 3. ზვიად გამსახურდიამ დამოუკიდებლობის მისაღწევად რადიკალური და სისხლიანი გზა აირჩია

მრავალი ადამიანი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირი ისედაც დაინგრეოდა და ამდენი მიტინგი და არეულობა არ იყო საჭირო. ამ შემთხვევაშიც მთავარი ბრალდებული ზვიად გამსახურდიაა. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ თავისით არაფერი ინგრევა, მითუმეტეს - მსოფლიოში უდიდესი იმპერია. მის ჩამოშლას მრავალმა ფაქტორმა შეუწყო ხელი, მათ შორის ეკონომიკურმა, საგარეო ფაქტორებმა და საბჭოთა კავშირის შიგნით გაშლილმა ეროვნულმა მოძრაობებმა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ საქართველოში რეალური ძალაუფლება დაკარგა, ეროვნული მოძრაობა კი გაძლიერდა. 1990 წელს ქართული ეროვნულ მოძრაობის წინაშე დადგა ამოცანა - მათ უნდა აერჩიათ მოვლენების განვითარების ძირითადი გზა. 1990 წლის მარტში უნდა ჩატარებულიყო საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები. ეროვნული ძალების ნაწილმა (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, სახალხო ფრონტი, რუსთაველის საზოგადოება და ა.შ.) მასში მონაწილეობის გადაწყვეტილება მიიღო, ხოლო მეორე ბანაკმა (ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და სხვები) ბოიკოტი გამოუცხადა და ეროვნული ფორუმი ჩამოაყალიბა. ბოიკოტის ძირითადი მიზეზი იყო არჩევნების საბჭოური და არადემოკრატიული ფორმატი - მასში კომუნისტური პარტიის გარდა სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს მონაწილეობის მიღება არ შეეძლოთ; დაშვებული იყო მხოლოდ დამოუკიდებელი კანდიდატების წარდგენა. ბოიკოტმა შედეგიც გამოიღო - მარტის კენჭისყრა ჩაიშალა და იმავე წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა პირველი მრავალპარტიული არჩევნები საბჭოთა კავშირის ისტორიაში. ამის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ საარჩევნო პროცესში მონაწილეობის შესახებ განაცხადა და ჩამოაყალიბა საარჩევნო ბლოკი „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“. ეროვნულ ფორუმში დარჩენილი ძალები აზრს არ იცვლიდნენ და ქმნიდნენ ხელისუფლების ალტერნატიულ ორგანოს - ეროვნულ კონგრესს. „კონგრესისტებმა“ ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს გამსახურდიას და ყველანაირად ცდილობდნენ მის დისკრედიტაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. (შემდგომში „კონგრესისტები“ კომუნისტურ ნომენკლატურას უპრობლემოდ ამოუდგნენ გვერდში გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ).

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მანდატების უმრავლესობა გამსახურდიას ბლოკმა მოიპოვა, საქართველოში კომუნისტური რეჟიმი მშვიდობიანად დასრულდა. ეროვნულმა ხელისუფლებამ პირველივე სესიაზე გააუქმა საბჭოთა სიმბოლიკები და გამოაცხადა გარდამავალი პერიოდის დაწყება, 1991 წლის 9 აპრილს კი აღადგინა საქართველოს სახელმ-

დასასრული მე-4 გვ.

დასაწყისი გვ. 3

წიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამგვარად, კომუნისტური რეჟიმი არჩევნების გზით (ე.წ. „ლიტვური გზა„) შეიცვალა, რაც უდავოდ ზვიად გამსახურდიას დამსახურებაა.

*მითი 4. **ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარება საკუთარ დაბადების დღეს დაამთხვია.***

ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოში საყოველთაო რეფერენდუმი ჩატარდა. გამოკითხვის დროს ერთადერთი შეკითხვა იყო დასმული: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“. რეფერენდუმის მონაწილეთა უმრავლეოსობამ (99,08%), მათ შორის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში, დადებითი პასუხი გასცა. სწორედ ეს რეფერენდუმი იქცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე იურიდიულ გარანტად. სწორედ მას ეფუძნება საქართველოს კონსტიტუცია.

ხშირად გვსმენია, რომ ზვიად გამსახურდიამ რეფერენდუმის ჩატარების დღე საკუთარ დაბადების დღეს დაამთხვია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. თენგიზ სიგუამ, რომელსაც „ზვიადისტობას“ ვერავინ დასწამებს, ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა: „დღეს ჭორსაც ავრცელებენ, რომ ეს ზვიად გამსახურდიამ თავის დაბადების დღეს დაამთხვიაო, 31 მარტს არის დაბადებული. ეს ტყუილია, მე უშუალოდ ჩართული ვიყავი და ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვიყავი ამ რეფერენდუმის მომზადებისა და მას, ზვიადს, 24 მარტს უნდოდა ჩატარება... 24 მარტისათვის არ ვიყავით მზად და ამიტომ მე გადავაფიქრებინე ზვიადს და ერთი კვირით გადავატანინე. მაშინ არც გვიფიქრია არც ზვიადს და არც მე, რომ 31 მარტს მისი დაბადების დღე იყო და რომ ეს დღე ემთხვეოდა“.

რატომ მაინცდამაინც 31 მარტი? პასუხი მარტივია: რეფერენდუმის ჩატარება უნდა მოესწროთ 9 აპრილამდე და 24 მარტის მომდევნო კვირა დღე სწორედ 31 მარტს დაემთხვა.

*მითი 5. **ზვიად გამსახურდია „აგვისტოს პუტჩის“ ორგანიზატორებს დაემორჩილა და საქართველოს ეროვნული გვარდია დაშალა.***

1991 წლის 19 აგვიტოს მოსკოვში ძალოვანი სტრუქტურების (უშიშროების კომიტეტი, თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო) ხელმძღვანელებმა, სსრკ-ს ვიცე-პრეზიდენტ გენადი იანაევის მეთაურობით, ჩამოაყალიბეს „საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტი“ (ГКЧП) და ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. ეს მოვლენა „აგვიტოს პუტჩის“ სახელითაა ცნობილი. პუტჩისტებმა გადააყენეს მიხეილ გორბაჩოვი, ზოგიერთ რეგიონში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა და აკრძალეს ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციები, მიტინგები და გასამხედროებული ფორმირებები. მათ მთავარ მიზანს საბჭოთა კავშირის მთლიანობის შენარჩუნება წარმოადგენდა.

19 აგვისტოს გამსახურდია ყაზბეგში იმყოფებოდა, იგი სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა და მოქალაქეებს მოუწოდა დაეცვათ სიმშვიდე, არ აყოლოდნენ მოსალოდნელ პროვოკაციებს. იმავე დღეს თბილისში ჩამოვიდა სსრკ-ს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი ვლადიმერ შურავლიოვი; ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის ნაწილებმა კონტროლი დააწესეს თბილისის აეროპორტსა და რკინიგზის სადგურზე, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა სამხედრო ბაზები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. შურავლიოვი შეხვდა გამსახურდიას და კატეგორიულად მოსთხოვა ეროვნული გვარდიის გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოთა ჯარი ქართულ გვარდიას გაანადგურებდა. საფრთხე დაემუქრა ქართული ეროვნული მოძრაობის ყველა მონაპოვარს.

გამსახურდიამ სიტუაცია ობიექტურად შეაფასა და ხელი მოაწერა ბრძანებულებას „ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ“. გვარდიის სტატუსი დროებით შეცვალა - ის გახდა „განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფი“ და დაექვემდებარა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს. გვარდიის შემადგენლობა უცვლელი დარჩა, გაუქმდა მხოლოდ მისი მეთაურის თანამდებობა (რამაც თენგიზ კიტოვანი „გაანაწყენა„) და უმაღლესი ხელმძღვანელობა. მეორე დღეს ზვიად გამსახურდიამ საერთაშორისო საზოგადოებას განცხადებით მიმართა, მოსკოვში მომხდარი მოვლენები საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებისთვის საფრთხის შემცველ გადატრიალებად მონათლა და დასავლეთის სახელმწიფოებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება სთხოვა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი და ამ მოვლენების უბრალო შემფასებელი ამტკიცებს, თითქოს 19 აგვისტოს ბრძანებულებით ეროვნული გვარდიის ფუნქცია დაკნინდა და იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შევიდა, მათ ავიწყდებათ ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება: ეროვნული გვარდია ჩამოყალიბდა უზენაესი საბჭოს 1990 წლის 20 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე და ის თავიდანვე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული შეიარაღებული დანაყოფი იყო. ოფიციალურ დადგენილებაში ეწერა: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: 1) საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდია; 2) შინაგანი ჯარების, ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობისათვის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჩამოყალიბდეს შინაგანი სამმართველო, რომლის უფროსი იმავდროულად იქნება შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.“

ამ მოვლენებთან დაკავშირებით ნოდარ ნათაძე იხსენებს: „მოსკოვში რომ პუტჩი მოხდა, ზვიადი ყაზბეგში იყო. თბილისი დაბნეულობამ მოიცვა, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი შეიკრიბა და ამ დროს ზვიადიც ჩამოვიდა. ძალიან მძიმე ვითარება იყო, პუტჩისტებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირის გაძლიერება უნდოდათ. ეს კი ნიშნავდა სისხლსა და ნგრევას საქართველოში და ჩვენს ისევ დამონებას. ზვიადმა მშვიდად თქვა, პუტჩი უნდა დავგმოთ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის სხვა სახელმწიფოში მოხდა და ვერ ჩავერევითო. ბოლოს კი დასძინა, ერთხელ მაინც მოვიქცეთ ისე, ჩვენი ქვეყანა სხვის ნანგრევებში არ მოყვესო. ასეც გავაკეთეთ. ოპოზიცია კი მოითხოვდა, ხელჩართულ ბრძოლაში ჩავრთულიყავით. იყო მიტინგები და გამოსვლები. **განსაკუთრებით ედ***(აქ, სავარაუდოდ, ინტერვიუს არასწორ ჩაწერასთან გვაქვს საქმე ჟურნალისტის მხრიდან; ნათაძემ, უთუოდ, ახსენა სდპ(ირაკლი წერეთლის პარტია) და არა - ედპ, ანუ იგივე გიორგი ჭანტურიას პარტია. მრავლობითში თხრობაც აშკარად მიუთითებს ორ ან მეტ ოპოზიციის ფაქტორზე* **- რედ.-ლ.ც.)** ბრალად გვდებდნენ, სამშობლოს უღალატეთო. მახსოვს, როდესაც პუტჩისტების თავკაცმა იანაევმა დაურეკა ზვიადს, გვერდით ვედექი. იანაევმა მხარდაჭერა მოითხოვა. ზვიადმა კი უპასუხა, მე ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვიო. მაშინ თბილისს ისე დავბომბავ, მისგან მტვერიც არ დარჩებაო... ამას ვერ შეძლებო, უთხრა ზვიადმა“.

ამგვარად, ზვიად გამსახურდია პუტჩისტებს არ დამორჩილებია და არც გვარდია გაუუქმებია, მას მხოლოდ ფორმალურად შეუცვალა სტატუსი, რათა საბჭოთა ჯარისთვის ქართული გვარდიის განადგურებისა და თბილისზე კონტროლის აღების საბაბი არ მიეცა (სხვათა შორის, ასე მოხდა ესტონეთში - ტალინის აეროპორტში მედესანტეები გადმოსხდნენ, დედაქალაქის ცენტრში კი ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების კოლონა შევიდა). სახელმწიფოს მეთაურის მხრიდან ეს აუცილებელი და ყველაზე სწორ ნაბიჯს წარმოადგენდა, მითუმეტეს, 9 აპრილის ჭრილობები ჯერაც არ იყო მოშუშებული.

საპასუხოდ, გვარდიის მეთაურმა თენგიზ კიტოვანმა გადაყენების ბრძანება არ მიიღო, დაუმორჩილებლობა გამოაცხადა და გვარდიის ნაწილთან ერთად რკონში დაბანაკდა. გამსახურდიას ოპოზიციამ კიტოვანი „პუტჩის წინააღმდეგ მებრძოლ რაინდად“ შერაცხა და „კრემლის შენიღბული და საშიში აგენტის - გამსახურდიას“ წინააღმდეგ ბრძოლაში გვერდში ამოიყენა. ზოგიერთი ოპოზიციური პარტია გვარდიის შიგნით ანტისახელისუფლებო პროკლამაციებსაც ავრცელებდა და მთავრობის დამხობისკენ მოუწოდებდა!

*მითი 6. **ზვიად გამსახურდიამ 2 სექტემბრის აქცია დაარბია, რამაც ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება გამოიწვია.***

1991 წლის 2 სექტემბერს სამართალდამცავებმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას „კინოს სახლთან“ მიტინგის ჩატარების საშულება არ მისცეს. ოპოზიციონერებმა ძალით სცადეს ტერიტორიის დაკავება, რასაც შეტაკება მოჰყვა. დაშავდა რამდენიმე ადამიანი.

სინამდვილეში საქმე ასე მარტივად არ ყოფილა. 2 სექტემბრის მოვლენა გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ჩვეულებრივ პროვოკაციას წარმოადგენდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია „კინოს სახლის“ წინ საინფორმაციო მიტინგს ყოველ ორშაბათს ატარებდა. რატომ მოხდა დაპირისპირება მაინცდამაინც იმ დღეს, როცა საქართველოში ამერიკელი კონგრესმენები იმყოფებოდნენ და მთავრობის სახლში პრეზიდენტთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ?! თანაც, წინა დღით, უკვე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ოპოზიციონერები აპირებდნენ რუსთაველის გამზირის მიმართულებით მსვლელობის გაგრძელებას და პრეზიდენტის მომხრეთა კარვების აღებას. საინტერესოა, რომ გამსახურდიას ხელისუფლების დამამხობლებმა მიტინგის დამრბევი მილიციელების უმრავლესობა შემდგომში დააწინაურეს!

რაც ყველაზე მთავარია - პრეზიდენტს მიტინგის დარბევის ბრძანება არ გაუცია!

1991 წლის 14 სექტემბერს ზვიად გამსახურდია ბორის ელცინთან გაგზავნილ წერილში ამბობდა: „ზოგიერთმა გარემოებამ მაიძულა თქვენთვის მომემართა წერილით. როგორც მოგეხსენებათ, 2 სექტემბრიდან - ინციდენტის - თბილისში რესპუბლიკური მილიციისა და დემონსტრანტების შეტაკების დღიდან, რომლის შედეგად ტყვიით დაიჭრა სამი კაცი, ცენტრალურმა ტელევიზიამ და საბჭოთა პრესამ პრაქტიკულად დემოკრატიული საქართველოს დისკრედიტაციის კამპანია გააჩაღეს. ყოველივე ეს ხდება იმის შესახებ ჩემი განცხადების მიუხედავად, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ გაუცია მომიტინგეთა გარეკვის ბრძანება და რომ გამოძიების დამთავრების შემდეგ დამნაშავენი, ვინც უნდა იყვნენ ისინი, პასუხისგებაში მიეცემიან.“

ცხადია, ოპოზიციონერებმა და ძალოვანი სტრუქტურების შიგნით გარკვეულმა ჯგუფებმა „ივაჟკაცეს“ და მიაღწიეს უმთავრეს მიზანს - დასავლეთის თვალში გამსახურდიას ხელისუფლების საბოლოო დისკრედიტაციას. ეს მოვლენა გარდამტეხი აღმოჩნდა - 2 სექტემბრის შემდეგ ოპოზიცია „დიქტატორ გამსახურდიას“ წინააღმდეგ ორმაგად გააქტიურდა. პროცესებში ჩაერთო თენგიზ კიტოვანიც; მან განაცხადა, რომ არ ემორჩილებოდა იმ პრეზიდენტს, რომელიც „საკუთარ ხალხს ტყვიას ესროდა“ და 3 სექტემბერს შავნაბადაზე დაბანაკდა. პროცესი 6 იანვარს გამსახურდიას ხელისუფლების დამხობით დასრულდა.

*მითი 7. **ზვიად გამსახურდიამ შეინარჩუნა საბჭოთა ეკონომიკური სისტემა და არ ჩაატარა პრივატიზაცია.***

გამსახურდიას გუნდი მხოლოდ „ჩაისა და ბორჯომის იმედად“ არ ყოფილა. „მრგვალი მაგიდის“ წინასაარჩევნო პროგრამაში ეკონომიკის სფეროში განსახორციელებელი გეგმები საკმაოდ კარგად იყო გაწერილი. ყველაზე მნიშნელოვანი გახლდათ საბჭოთა გეგმიური სისტემის ჩანაცვლება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკითა და მიწის კერძო საკუთრებაში გადასვლა. მართალია, გამსახურდიას ხელისუფლაბამ პრივატიზაციის კანონის მიღება დააგვიანა და შესაბამისი ქმედებების განხორციელებაც საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა (რაც პოლიტიკური თვალსაზრისით წამგებიანი ნაბიჯი იყო), მაგრამ ამას აქვს ობიექტური ახსნა: საბჭოთა სისტემა თითქმის სამოცდაათი წლის განმავლობაში შენდებოდა და ხელის ერთი მოსმით მას ვერ დაანგრევდნენ; თავისუფალ ბაზარზე მყისიერი გადასვლა გაანადგურებდა ფინანსურ

→

სექტორს და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას წერტილს დაუსვამდა, მითუმეტეს, რომ საქართველო მეტროპოლიის ეკონომიკურ სისტემაზე მყარად იყო მიბმული. ქვეყანას, ფაქტობრივად, არ გააჩნდა საკუთარი საბაჟო-სატარიფო რეჟიმი, ეროვნული ვალუტა და დამოუკიდებელი ეკონომიკის ასაშენებლად საჭირო სხვა ატრიბუტები.

1991 წლის 28 ივნისს, ერთ-ერთ ევროპელ ჟურნალისტთან ინტერვიუში, გამსახურდიამ განაცხადა: „მცირე სახის პრივატიზაცია უკვე ხორციელდება საქართველოში: მაღაზიების, პატარა საწარმოების და ქარხნების გარკვეული ნაწილი კერძო საკუთრებაში გადადის, უფრო მასშტაბურად, ერთბაშად შეუძლებელია განხორციელდეს. ყველაფერი საფუძვლიანად უნდა მომზადდეს. საამისოდ აუცილებელია გამოვეყოთ საბჭოთა კავშირს. ახლა ჩვენ საბჭოთა ეკონომიკასთან მჭიდროდ ვართ დაკავშირებული, ჩვენ უნდა გავწყვიტოთ ყველა ეს კონტაქტი და ჩამოვაყალიბოთ ახალი ეკონომიკური სტრუქტურები, დამოუკიდებელი ეკონომიკა“.

მითი 8. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაკომპლექტებული იყო გამოუცდელი და არაპროფესიონალი კადრებით.

ზოგიერთი ადამიანი გამსახურდიას კადრებზე ისე საუბრობს, თითქოს ისინი გაუნათლებელ და გამოუცდელ ხალხს წარმოადგენდნენ.

გავიხსენოთ გამსახურდიას ხელისუფლების რამდენიმე მინისტრი: თენგიზ სიგუა - პრემიერ-მინისტრი - ინჟინერ-მეტალურგი, 1989 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი; დილარ ხაბულიანი - შინაგან საქმეთა მინისტრი - იურისტი, სპორტსმენი, ევროჩემპიონი, საერთაშორისო კლასის ოსტატი; ჯონი ხეცურიანი - იუსტიციის მინისტრი - იურისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ლექციებს კითხულობდა თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე; გიორგი ხოშტარია - საგარეო საქმეთა მინისტრი - ხელოვნებათმცოდნე; ლექციებს კითხულობდა საქართველოს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში; ლია ანდღულაძე - განათლების მინისტრი - ფილოლოგი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; ნოდარ წულეისკირი - კულტურის მინისტრი - მწერალი და რედაქტორი; ირაკლი ჟორდანია - მეცნიერების, ტექნიკისა და პერსპექტიული დაგეგმვის მინისტრი - პროფესორი, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1985-1989 წლებში ხელმძღვანელობდა მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს. 1990 წელს იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; ირაკლი მენაღარიშვილი - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი - დაამთავრა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა ჯანდაცვის სფეროში; გურამ აბსანძე - ფინანსთა მინისტრი - ეკონომისტი. სხვადასხვა დროს მაღალ თანამდებობებზე მუშაობდა მოსკოვსა და თბილისში. ფინანსების კურსს კითხულობდა თსუ-ში; თამაზ გველესიანი - ვაჭრობის მინისტრი - დაამთავრა სატრანსპორტო ფაკულტეტი და საკუთარი სპეციალობით მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში; ნოდარ ჭითანავა - სოფლის მეურნობის მინისტრი - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი (შემდგომში დოქტორი და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ფელიქს ტყეებუჩავა - კავშირგაბმულობის მინისტრი - ფიზიკოსი, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ქ. დუბნის ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში. რომის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. ლექციებს კითულობდა აშშ-ს, იტალიისა და შვეიცარიის უნივერსიტეტებში. 1989 წელს გახდა თსუ-ს სოხუმის ფილიალის რექტორი; ალექსანდრე ჩხეიძე - ტრანსპორტის მინისტრი - დაამთავრა მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტში, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში (მათ შორის მინისტრის მოადგილედ);ელიზბარ ჯაველიძე - განათლების მინისტრი - აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი. ზვიად გამსახურდიას მეორე პრემიერ-მინისტრი იყო ბესარიონ გუგუშვილი - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, აგრეთვე სწავლობდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე და უცხო ენების ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის ინფორმაციის ცენტრის განყოფილების გამგე, „საქართველოს კინოკორპორაციის“ პრეზიდენტი.

სხვა საკითხია, თუ რა როლი შეასრულა ქვეყნის საწინააღმდეგო მოვლენებში ამ მინისტრთაგან ზოგიერთმა, მაგრამ ნათელია, რომ გამსახურდიას მთავრობა პროფესიონალებით დაკომპლექტებულ კაბინეტს წარმოადგენდა, უფრო მეტიც, უმრავლესობას მაღალი სამეცნიერო ხარისხი ჰქონდა და მათ მიერ დაწერილი სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობის მიხედვით მომდევნო მთავრობებს ბევრად აღემატებოდა. რა თქმა უნდა, იყვნენ არაკომპეტენტური კადრებიც, განსაკუთრებით საკანონმდებლო ორგანოსა და ძალოვან სტრუქტურებში, მაგრამ კადრების პრობლემა გამსახურდიას შემდეგაც იყო და დღეს აც არის, სამწუხაროდ...

მითი 9. ზვიად გამსახურდიამ დასავლურ ორიენტაციაზე უარი თქვა და აწარმოებდა იზოლაციონისტურ საგარეო პოლიტიკას.

1991 წლის 29 მარტს, ჯორჯ ბუშის დავალებით, საქართველოს ეწვია აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. ვიზიტი არ იყო ოფიციალური, იგი გაცნობით ხასიათს ატარებდა. სტუმარმა გამსახურდიასთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ აშშ საქართველოსთან ურთიერთობით იყო დაინტერესებული. გამსახურდიამ კი აშშ-სთან პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის სურვილი გამოხატა. ამის შემდეგ აქტიურად საუბრობდნენ ორი ქვეყნის პრეზიდენტების ოფიციალური შეხვედრის ორგანიზების თაობაზე. 1991 წლის 6 ივლისს გამსახურდიამ ამერიკელ კოლეგას ამერიკის დამოუკიდებლობის დღეს მიულოცა. ოფიციალურ წერილში იგი დასძენდა: „იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას, მსოფლიო ერთა თანამეგობრობის, დემოკრატიული წრეების, პირველ რიგში აშშ-ისა და პირადად თქვენი მხარდაჭერით, ბატონო პრეზიდენტო“. აშშ-ს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამსახურდია ამერიკის საელჩოშიც (მოსკოვი) მიიწვიეს. ცხადია, რომ საქართველოს ხელისუფლება იმედის თვალით უყურებდა ვაშინგტონს და მხარდამჭერ მესიჯებსაც უგზავნიდა, თანაც ამას აკეთებდა ისე, რომ მოსკოვის მწვავე რეაქცია არ გამოეწვია. თბილისსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობები მას შემდეგ გაცივდა, რაც პრეზიდენტმა ბუშმა გარკვევით განაცხადა, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერდა გორბაჩოვს და საბჭოთა კავშირის ფედერაციად გარდაქმნას. საქართველოც ამ ფედერაციის ნაწილად მოიაზრებოდა. ამერიკის პრეზიდენტი იმ პერიოდში გორბაჩოვთან უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებებს აფორმებდა და საქართველოს გამო კრემლთან ურთიერთობებს არ დაძაბავდა. ამგვარად, საქართველოს იზოლაცია გეოპოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული და არა გამსახურდიას ქმედებებით. ყველაფერი შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წლის 25 დეკემბრს აშშ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა.

1991 წლის დეკემბერში გამსახურდიამ ბრიუსელში დელეგაცია გააგზავნა პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის ხელმძღვანელობით. ქართველები ევროპარლამენტის საგარეო კომისიის საგანგებო სხდომაზე მიიღეს. როგორც გუგუშვილი იხსენებს, მან ევროპელ დეპუტატებს პრეზიდენტ გამსახურდიას და საქართველოს პარლამენტის თხოვნა გადასცა, რათა ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა და აქტიურად ჩართულიყვნენ სამაჩაბლოს სამშვიდობო პროცესში. ამის შემდეგ, ნატოს შტაბ-ბინაში, ქართული დელეგაცია ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა მანფრედ ვორნერმა მიიღო. მან გამოთქვა იმედი, რომ „საქართველოსა და ნატო-ს კავშირები მეგობრული, მტკიცე და მრავალმხრივი“ გახდებოდა.

ამგვარად, სწორედ პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობის დროს დაიწყო აშშ-თან, ევროგაერთიანებასა და ნატოსთან ურთიერთობები.

მითი 10. ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტის გამო საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს დამოუკიდებლობას არ სცნობდა.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობა სცნეს: 1991 წლის 27 აგვისტოს - რუმინეთი და მოლდოვა, 30 აგვისტოს - აზერბაიჯანი, 13 სექტემბერს - სომხეთი, 12 დეკემბერს - უკრაინა, 16 დეკემბერს - თურქეთი, 20 დეკემბერს - ლიტვა და მონღოლეთი, 25 დეკემბერს - აშშ, კანადა და ირანი, 26 დეკემბერს - ინდოეთი, ბრაზილია, კუბა, ტაილანდი, 27 დეკემბერს - ჩინეთი, ბელორუსია, სლოვენია, ვიეტნამი, ეგვიპტე, ალჟირი, 28 დეკემბერს - ხორვატია, იორდანია, 30 დეკემბერს - ლიბანი, 31 დეკემბერს - პაკისტანი, 1992 წლის 2 იანვარს - ერაყი, ეთიოპია და ლაოსი...

შეიარაღებული ოპოზიცია გამსახურდიას შელახულ ავტორიტეტს აბრალებდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ საქართველოს არაღიარებას, 1992 წლის დეკემებრში კი ყველაფერს პასუხი გაეცა: საქართველოს დე-იურე ცნობას საბჭოთა კავშირის ფორმალურად არსებობა აბრკოლებდა, როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა მსოფლიოს ქვეყნებმა დაიწყეს საქართველოს რესპუბლიკის ცნობა. გამსახურდიას იმიჯი არაფერ შუაში იყო.

აქ გავჩერდები, რადგან ასეთი მითების სია ძალიან დიდია და ყველაფერი ერთ სტატიაში ვერ ჩაეტევა. ბოლოს ყურადღებას გავამახვილებ ერთ მომენტზე - „ზვიად გამსახურდია პატრიოტი იყო, მაგრამ მარტო პატრიოტიზმით ქვეყანას ვერ ააშენებ, ის პოლიტიკოსი არ იყო, გამოცდილება არ ჰქონდა და უამრავი შეცდომა დაუშვა, დისიდენტის როლიდან ვერ გამოვიდა და ქვეყანას კვლავ მიტინგების რეჟიმში მართავდა“ - იმათ საყურადღებოდ, ვინც ასე ფიქრობს და საუბრობს, უნდა ითქვას:

1) გამსახურდია ქვეყნის პატრიოტი ნამდვილად იყო და ლიდერისათვის აუცილებელი სხვა თვისებებიც ჰქონდა (შესანიშნავი განათლება, ქარიზმატულობა, სიტუაციის ანალიზისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი, ფლობდა ხუთზე მეტ ენას). შესაძლოა, იმ პერიოდში მისი ზოგიერთი განცხადება ქვეყნის მეთაურისათვის შესაფერისი არ იყო და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილებას იწვევდა, მაგრამ ახლა ბევრი რამ ნათელია - გამსახურდია ხშირ შემთხვევაში მართალი აღმოჩნდა. მაგალითად, მრავალი, ვისაც „მოღალატეს“ ეძახდა, ქვეყნისათვის უდიდესი ზიანის მომტანი გამოდგა.

2) გამსახურდიას გამოცდილება ვერ ექნებოდა უბრალო მიზეზის გამო - საბჭოთა კავშირში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ვერ იმუშავებდა ისეთი ადამიანი, რომელიც მეათე კლასიდან სისტემას ებრძოდა. რაც შეეხება პოლიტიკოსობას, მერაბ მამარდაშვილმა თავის დროზე აღიარა: „თვითონ ზვიადი არის პოლიტიკოსი. მე შეიძლება ვიყო მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, მაგრამ ვაღიარებ, რომ იგი პოლიტიკოსია.“

3) გამსახურდია მართლაც ინარჩუნებდა „მიტინგების რეჟიმს“ და ამას მარტივი და ობიექტური ახსნა აქვს: მართალია, „მრგვალი მაგიდა“ ხელისუფლებაში მოვიდა, მაგრამ ის ყველას და ყველაფერს ვერ აკონტროლებდა - ძალოვან სტრუქტურებსა და უშიშროების სამსახურში კვლავ საბჭოთა ელემენტი დომინირებდა, ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული იყო რუსული ჯარები, ქართული არმიის ჩანასახი კი ძალიან ცუდად იყო შეიარაღებული, მოქმედებდნენ უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, არსებობდა რადიკალური ოპოზიცია, რომელმაც რეალური სახე დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს გამოაჩინა, ძლიერი იყო საბჭოთა ნომენკლატურა და ა.შ. ამ ყველაფრის ფონზე გამსახურდიას ხელისუფლების ერთადერთი საიმედო მოკავშირე იყო ხალხი. ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ დეტალს - გადატრიალება მაშინ დაიწყო, როცა მთავრობის სახლის წინ პრეზიდენტის მხარდამჭერთა რაოდენობა ყველაზე ნაკლები იყო!

4) დიახ, გამსახურდიას ჰქონდა გარკვეული შეცდომები, ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ ვინმე გაიხსენებს რომელიმე ხელისუფალს მსოფლიო ისტორიაში, რომელსაც შეცდომა არასდროს დაუშვია?!. თანაც მარტივი ჭეშმარიტებაა - შეცდომებს მაშინ უშვებ, როცა საქმეს აკეთებ, გამსახურდია კი უდიდეს საქმეს შეეჭიდა - ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას (რომელიც, სხვათა შორის, წარმატებით დაასრულა).

გავა დრო და ზვიად გამსახურდიას ისტორია ობიექტურად შეაფასებს, ჩამოაშორებს „მესიის“ ან „ქვეყნის დამანგრევლის“ იარლიყს, რადგან ამ ადამიანს (ბევრ სხვა სიკეთესთან ერთად) უკავშირდება სამი უდიდესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში: 28 ოქტომბერი - კომუნისტური რეჟიმის დასრულება, 31 მარტი - რეფერენდუმის ჩატარება და 9 აპრილი - დამოუკიდებლობის აღდგენა; მან საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ფაქტი ჯიუტია, რეალობა - ნათელი...

გიორგი არქანია
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

ემიგრანტის ჩანაწერები

საკრებო მარშრუტი - თურქეთი-საქართველო...

პირველად თურქეთში 2011 წელს წამოვედი.

მაშინ სამთვიანი ვიზები იყო.

არაუგვიანეს, 90-ე დღისა, საზღვარი უნდა გადაგეკვეთა..

არადა არ გავიდა ეს სამი თვე. უსასრულოდ გაიწელა, მოზაიკასავით აითქვიფა ტვინში უცხო ენა, ცრემლი, მოლას გაბმული კივილი, მეჩეთების ქონგურები,სამ თვეში მესამე სამსახური...

პირველად ვიყავი მუსლიმანურ სამყაროში.

მაოცებდა კონტრასტი დახურული და შილიფად ჩაცმული ქალბატონების, მაოცებდა რატომ ადუღებდნენ ჩაის ორი ჩაიდნით(ერთიმეორეზე იდგმება და უგემრიელესი ნაყენი გამოდის), რატომ აბლენდერებენ სუპებს (ჩორბას),რატომ მაყოლებენ ეჭვიან, მრისხანე მზერას ქალები, რატომ იხდის ყველა სტუმარი ფეხსაცმელს გარეთ (კარში შემოუსვლელად, რაც საოცრად მშურს და მომწონს), რატომ არ აქვს ფეხზე სუნი ამდენ ფეხგახდილ სტუმართაგან არცერთს! (თურმე ეს ,,ჭუჭყიანი“ თურქები დღეში 5-ჯერ იტარებენ განბანვის რიტუალს ,,აბტესტს“, არა მხოლოდ ჰიგიენური მოსაზრებით, არამედ ალაჰის გამო... ისე ვერ ილოცებენ...).

რატომ სცემენ პატივს მოხუცებს; სულ მოუვლელი, უცხო ბებოც რომ იყოს, ხელზე ტუჩებით ეხებიან და შუბლზე მიიდებენ ხელებს, მადლი გადმოდისო...

ბავშვივით გაფართოებული თვალებით შევყურებდი ჩემს დასათვალიერებლად მოსულ ზორბა-ზორბა ქალბატონებს, აინტერესებდათ როგორი მოახლე ჰყავდა, მაგალითად, ნეზეა აბლას... მაშინ პატარა გოგოსავით გამოვიყურებოდი (ამ ვიზაზე სამი სამსახური გამოვიცვალე)და ვერსად გავიხარე, მაგრამ კიდევ გამიმართლა, თურმე! მერე და მერე ბევრად მძიმე და რთულ სამსახურებში მოვხვდი...

ეს არაა მთავარი ახლა, აქ სხვა სათქმელს ვამბობ...

არადა არ გადიოდა ეს სამი თვე..

ერთი თვის ხელფასი დამსაქმებელმა მთლიანად წაიღო, მერე კი იძულებული ვიყავი მემუშავა. სამი ბანკის ვალი ...პრობლემები.. უკან დასახევი გზა არ იყო..მესამე სამსახურში გიჟი ბებია შემხვდა, უენოს, ერთ თვეში 500 დოლარიდან 700-მდე გამიზრდეს ხელფასი (,,ჭკვიანი“ გიჟების მერე მართლა გიჟს უკეთ გავუძელი) და იმ პირობით, რომ უკან დავბრუნდებოდი(შემდგომ 20 თვე ვიმუშავე იქ), ვიზაზე თვითმფრინავითაც კი გამიშვეს ტრაპიზონამდე.

იქედან საქართველოს ავტობუსში გადავჯექი.

ბებიას იზმირში ვუვლიდი და ბოლო ორი თვე ქართველი არ მენახა(იქ არავის ვიცნობდი მაშინ). რომ დავინახე ეს ამდენი ქართველი, გეგონებოდა, კოსმოსიდან დავბრუნდი...

ხან ერთს ჩავეხუტე, ხან მეორეს. ვსაუბრობდი გაუჩერებლად, ისინიც მიყვებოდნენ, მეც ვუყვებოდი ...

უკვე პირი გამიშრა, დავიღალე, მხიარულად იცინოდა გამცილებელი, ხან წყალი მოჰქონდა, ხან ჩაი, -გოგო წერტილ-მძიმე არ იციო?!–ყელი გაისველეო..–დამამშვიდებლების არსებობა მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი.)))..ან რა დამამშვიდებდა გალიიდან გამოფრენილ ჩიტს, ვჭყლოპინებდი და ვჭიკჭიკებდი..

სოციალური ქსელი ე.წ ,,ოდნოც“ კი არ ვიცოდი მაშინ..ეს ცოტა მერე ვისწავლე..და ეს სამი თვე სრულ ვაკუუმსა და მარტოობაში მქონდა გატარებული, ფაქტიურად.

საქართველოში მივდივარ!!!...

სახლში მივდივარ!!!-

გუგუნებდა,

ჩემს სულში, გულსა და გონებაში მილიარდი სამრეკლო ერთდოულად რეკავდა.

არც მომიხუჭავს თვალი...

გამთენიისას საზღვართან, სარფში მთის წვერზე განათებული ჯვრის ხილვისას ტირილი წამსკდა...

პირველად აღმომხდა მხურვალედ და მთელი რწმენით მე ჩვეულებრივ უღმერთოს და ცოდვილს -

,, დიდება, შენდა უფალო!,,“

როგორც იქნა, დამთავრდა რეგისტრაცია, შეგვიმოწმეს საბუთები, ჩანთები. გამცილებელმა წიწილებივით აგვსხა ავტობუსში, გადაგვთვალა ასევე წიწილებივით და თქვა, ასიოდე მეტრში გავჩერდებით ცოტა ხნით და არ დაიფანტოთო..

მალე დაიცალა ავტობუსი...

მეც ჩამოვედი..

ზოგი ჩურჩხელებს შესეოდა, ზოგი მონატრებულ ქართულ ხილს, სხვები შორიახლოს განლაგებულ კაფე- სასადილოს თუ სახაჭაპურეს...

ფეხს მსუბუქად ვადგამდი.

ვაბიჯებდი ფრთხილად,

არ მჯეროდა თითქოს, რომ ჩემს მიწაზე ვიდექი.

თითქოს მეშინოდა, რამე არ ტკენოდა.

გული ძალუმად მიცემდა..

ჯერ კიდევ ცრიატი დილა იდგა.

დღე ნელნელა ეყრებოდა ღამეს.

უკნიდან ჩუმად, ქურდულად მოვუარე ავტობუსს.

აქ არავინ ჩანდა ახლომახლო.

მუხლებზე დავეშვი, მიწაზე დავწექი და ჩავეხუტე. ვკოცნიდი ქართულ მიწას და ვტიროდი. იქ, სასტიკ მუსლიმანურ სამყაროში არასდროს მიფიქრია ასე მოქცევა... უბრალოდ, აქამდე არასდროს მეგრძნო ასე მწველად მიწის, სამშობლოს ძახილი და მონატრების კივილი.

– რას შვრებით ქალბატონო? – თავზე ორი პოლიციის თანამშრომელი მადგა გაოცებული თვალებით.

დარცხვენილი წამოვხტი, მუხლებს ვიფერთხავ და თავდახრილი ვეუბნები – არაფერი, საქართველო მომენატრა და მიწას ვაკოცე...

– შენ დაგლოცოს უფალმა, რამდენი ხანია აქ ვმუშაობ და ამისთანა არავინ და არაფერი მინახავს, – დამლოცა ერთმა... ბუბუნა ხმა ჰქონდა, ომახიანი... (თურქეთი ხომ აქვეა, თან სამ თვეში ან რამდენიმე დღეში ან კვირაში უკან მობრუნებულთ ალბათ, არ ჰქონდათ ასეთი რეაქცია)... ლურჯი თვალები ჰქონდა და ოდნავ მოზრდილი ღიპი. რადგან თვალები ვერ გავუსწორე შემცბარს, ღიპს მივაშტერდი. მეორეს ისევ გაოგნებული სახე ჰქონდა, რომ შევხედე...

ხმა არ ამოუღია ...

წამოვედი და კიდევ დალოცვა მომესმა:

– იმრავლოს შენისთანა ქართველმა ქალმა..

ეს მეორე პოლიციელი იყო, თუ არ ვცდები. დარცხვენილმა ხელი დავუქნიე და ავტობუსში ავედი. დამჯერი, გალახული ბავშვივით მივიყუჟე ფანჯარასთან...

– ავად ხომ არ ხარ?– მეკითხებოდა გამცილებელი და ჩემს ჭიკჭიკს უკვე შეჩვეული სხვა მგზავრებიც.

– შენ თუ გაჩუმდებოდი, რავა მეგონა? –კუჭკუჭებდა ჩემისთანა ჭკუამხიარული ერთერთი მგზავრი...

თბილისში მიმაქროლებდა ავტობუსი, ჩემს შვილის სურნელთან, ჩემს მყუდრო თბილ ბინაში, დაიკოსთან.. ემოციებისგან დაცლილი და ბედნიერებისგან დამუნჯებული ვერ ვძღებოდი ხასხასა მწვანე პეიზაჟებით, თითქოს ფერადი საღებავები გადაავლესო ყოველს, ბრწყინავდა საქართველო, ელვარებდა, ხასხასებდა, თვალებს ნაბავდა განთიადის სარეცელში მონებივრე ბედნიერი პატარძალივით.

ლიბრი მქონდა გადაკრული თვალებზე თითქოს, ეს სამი თვე და ახლა მთელი არსებით ვისრუტავდი ჩემი საქართველის ფერებს, სურნელს, ბედნიერების ცრემლთან ერთად...

მართლაც ,, სხვა საქართველო სად არი“!...

გავუფრთხილდეთ ჩვენს უფლის ნაბოძებ სასწაულს !!!

თეა ხასაია

ზვიად გამსახურდიას წერილი ჯეიმს ბეიკერს, რომელიც 26 წლის შემდეგ პირველად გასაჯაროვდა

2 მაისი. 2017. 04:09

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის სახელზე გაგზავნილ წერილს „ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარებისინსტიტუტი" აქვეყნებს. წერილი 1991 წლის 12 დეკემბრით თარიღდება და ის, 26 წლისგანმავლობაში შეერთებული შტატების საარქივო ფონდებში იყო დაცული. დოკუმენტმა დღის სინათლე მას შემდეგ იხილა, რაც IDFI-ის თხოვნით პარტნიორმა ორგანიზაციამ, ჯორჯვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებულმა ეროვნული უსაფრთხოების არქივმა, 2010 წელს გამოითხოვა და IDFI-ს გადასცა აშშ-ის საარქივო ფონდებში დაცული დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

როგორც IDFI-ში აცხადებენ, ეს წერილი პასუხია იმ კრიტიკასა და ბრალდებებზე, რომელსაც თეთრი სახლის ადმინისტრაცია გამოთქვამდა პრეზიდენტ გამსახურდიას მიმართ. ასევე სავარაუდოდ, პრეზიდენტ გამსახურდიას მიმართვა არის პასუხი აშშ-ის იმ საპროტესტო ნოტაზე (დემარშზე), რომელიც 1991 წლის 23 ნოემბერს ჩაბარდა საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს მოსკოვში და სადაც საუბარი იყო საქართველოში არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაზე.

ზვიად გამსახურდიას წერილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს 12 დეკემბერი 1991:

„თქვენო აღმატებულებავ,

უკვე მეორედ აშშ-ის საელჩო მოსკოვში, პასუხობს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზ. გამსახურდიას მიმართვას თქვენდამი. ჩვენ ამას ვხსნით, თქვენი, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მშვიდობის გზების ძიებაში სრული ჩართულობით, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში. თუმცა მტკიცედ გვჯერა, რომ შეუქცევადი ისტორიული პროცესების შედეგად, თქვენი და საერთაშორისო ყურადღება გადმოინაცვლებს კავკასიის რეგიონისკენ, რომელიც გეოგრაფიულად ესაზღვრება ახლო აღმოსავლეთს, და სადაც ხანგრძლივი იმპერიული პოლიტიკის შედეგად, ჩვენ მივიღეთ არანაკლებ დაძაბული და ფეთქებადსაშიში ვითარება. კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა უკვე გამოაცხადეს თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, და პარადოქსულია, რომ იმპერიული ცენტრი ცდილობს ითამაშოს მათ შორის ნეიტრალური არბიტრის როლი. ეს არის ის ცენტრი, რომლის დეზინტეგრაციას შეერთებული შტატების მთავრობა ასე ძლიერ ეწინააღმდეგება. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ არც ერთ ხელისუფლებას ან პოლიტიკურ ლიდერს არ შეუძლია ამ ისტორიული პროცესის უკან შემოტრიალება.

თქვენს წერილში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატების მთავრობა კმაყოფილია იმ ფაქტით, რომ საქართველოში პოლიტიკური ვითარება დამშვიდდა, და ძალის გამოყენების საფრთხემ დიდად იკლო. ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, რომ ეს დიდწილად საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის, ბატონ ზ. გამსახურდიას უნარის დამსახურებაა, ჩაეტარებინა მოლაპარაკებები, დიალოგისა და კომპრომისის საფუძველზე შეიარაღებულ ოპოზიციასთან, რომელიც ლეგიტიმური და დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყანა ასეთ ელემენტებს შეიარაღებული ძალებით დაუპირისპირდებოდა.

ჩვენ გვსურს გაცნობოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონში პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებში, როგორც წესი, მოიხსენება, მსგავს მშვიდობიან მიდგომას იყენებს. ეს კონფლიქტი, თავად ოსებისვე განცხადებით, არის პოლიტიკური და არა ეთნიკური. ნიშანდობლივია, რომ ოსები არ აპროტესტებენ ქართველების მხრიდან დისკრიმინაციას, არამედ სურთ, რომ ძირძველი ქართული ტერიტორია გაერთიანონ ახალ საბჭოთა კავშირთან ან რუსეთის ფედერაციასთან და ამ მიზნისთვის საკუთარ და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს იყენებენ. ეს ეწინააღმდეგება თქვენს წერილში გამოთქმულ, არსებული საზღვრების ძალისმიერი გზებით შეცვლის მიუღებლობის პრინციპს.

წერილში ნახსენებია ქართველების მიერ მოკლული ოსები, თუმცა წერილი არაფერს ამბობს იმ ქართველებზე, რომლებიც მოკლული, ბარბაროსულად ნაწამები და დასახიჩრებულნი იყვნენ ოსების მიერ; არაფერია ნათქვამი 20 ათას ადამიანზე, რომლებიც ოსი ექსტრემისტების დამსახურებით საკუთარ ქვეყანაში დევნილებად იქცნენ; არაფერია ნათქვამი საბჭოთა არმიის მიერ დაბომბილ ქართულ სოფლებზე: ნიქოზზე, ერედვზე და ა.შ. და იმ ავღანურ ტაქტიკაზე, რომელსაც საბჭოთა შინაგანი ჯარი იყენებს მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში, ე.წ. სამხრეთ ოსეთის (სინამდვილეში სამაჩაბლო) ქართული მოსახლეობა იძულებულია დაიცვას თავისი მიწა და ინტერესები. თუმცა, ჩვენ კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ კრიზისის მშვიდობიან გადაწყვეტას ვემხრობით.

რაც შეეხება თქვენს წუხილს ოპოზიციის დაკავებულ ლიდერებზე, გვსურს აღვნიშნოთ, რომ როგორც სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებში, საქართველოში გვყავს ლეგალური საპარლამენტო ოპოზიცია. მას აქვს ყველანაირი შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი, რომელიც სახელისუფლებოსგან განსხვავდება, არა მარტო პარლამენტში, არამედ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში. მეორე მხრივ, თქვენს წერილში დასახელებული პიროვნებები წარმოადგენენ შეიარაღებულ კრიმინალურ დაჯგუფებებს, რომლებიც არ ცნობენ რესპუბლიკის კონსტიტუციასა და ხელისუფლებას, და უარს აცხადებენ პოლიტიკურ პარტიათა კანონის შესაბამისად, დარეგისტრირდნენ პოლიტიკურ პარტიად. სადავო არ უნდა იყოს, რომ ჩვენი პოზიცია ანალოგიურია ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნის მთავრობის პოზიციისა. ბატონები გ. ჭანტურია და გ. ხაინდრავა დაპატიმრებულნი იქნენ არა მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო, არამედ მასობრივი არეულობისა და შეიარაღებული ექსცესების ორგანიზებისთვის, რომელიც ყველგან კრიმინალურ ქმედებად განიხილება (ამ პიროვნებების მიერ სახელმწიფო უწყებებზე ორგანიზებულ თავდასხმებს რამდენიმე ადამიანი ემსხვერპლა).



გვსურს გაცნობოთ, რომ მოვლენები საბჭოთა კავშირში მეტ-ნაკლებად მსგავსი სცენარით მიმდინარეობს. რეალობაში ეს ნიშნავს იმპერიის მიერ რესპუბლიკებში ჩადებული ნელი მოქმედების პოლიტიკური და ეთნიკური ნაღმების გააქტიურებას. სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ საქართველო იყო პირველი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც ჩაატარა დემოკრატიული და მრავალპარტიული არჩევნები და ჩამოაყალიბა დემოკრატიული სახელმწიფო უწყებები. ზემოთ თქმულიდან ცალსახაა, რომ თქვენი მოთხოვნების კავშირი საქართველოში არსებულ ობიექტურ რეალობასთან, არაადეკვატურია.

სამწუხაროა, რომ თქვენი მცდელობები, საქართველოზე ეკონომიკური გავლენა მოახდინოთ, იდენტურია ცენტრისა და ე.წ. დემოკრატიული რუსეთის, რომელსაც არ შეუძლია თქვას უარი იმპერიულ ამბიციებზე.

ბოლოს, ჩვენ გვჯერა, რომ უმოკლესი გზა ზემოთ ხსენებული პრობლემების მოსაგვარებლად, არის საქართველოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ცნობა, რომელიც გარდაუვალს გახდის ჰელსინკის საბოლოო აქტის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და პარიზის ქარტიის პრინციპების საქართველოში რეალიზაციას. იგივე შეიძლება ითქვას უსაფრთხოების პრობლემებზე, კერძოდ, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების საკითხები. როგორც მოგეხსენებათ პირველი წერილიდან, საქართველოს შეუძლია მხოლოდ ფორმალურად შეუერთდეს ამ ხელშეკრულებებს და შესაბამისად, მისი ვალდებულება საერთაშორისო საზოგადოებისადმი ფორმალურია.

თუმცა ჩვენი სწრაფვა, რომ კავკასია ბირთვული იარაღისგან თავისუფალ ზონად გამოცხადდეს, ეჭვის ქვეშ არ უნდა დადგეს. აშშ-ის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, რა თქმა უნდა, გადაწყვეტდა ამ პრობლემებს. შეერთებულ შტატებს, თავის მხრივ, მეტი შესაძლებლობა ექნებოდა კავკასიის რეგიონში ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების ასპექტებზე გავლენის მოხდენისა. ნება მომეცით, აგრეთვე დაგარწმუნოთ, რომ ეს იქნება შიდა სტაბილურობის, ახლად ჩამოყალიბებული დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საქართველოს, დანარჩენი მსოფლიოსადმი ვალდებულებების, განმტკიცების გარანტია. ჩვენ, დასაშვებად მიგვაჩნია საქართველოში ამერიკელ დამკვირვებელთა გამოგზავნა, რომლებიც საკმარისად დიდი დროით დარჩებიან, რათა შეაფასონ რეალური სიტუაცია ზემოთ მოყვანილ სფეროებში. ნება მომეცით, დაგარწმუნოთ, რომ ეს შესაძლებლობას მოგცემთ არ გქონდეთ დამახინჯებული ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაზე, რომელსაც იმპერიული მედია და დღევანდელი საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური ოპონენტები გაწვდიან თქვენ.

თქვენო აღმატებულებავ, მე კვლავ ვიყენებ ამ შესაძლებლობას, რათა მოგიწვიოთ თქვენ ან ადმინისტრაციისა და კონგრესის ნებისმიერი წარმომადგენელი, ნებისმიერი პრობლემის განსახილველად და ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების გზების დასაგეგმავად".

წყარო : ambebi.ge

მერაბ კოსტავა და ბედისწერა



მერაბ კოსტავაზე ფიქრისას რატომღაც სულ ტროას ომის ლეგენდარული გმირი აქილევსი მაგონდება; მასაც ერთი სუსტი წერტილი ჰქონდა, რომელსაც უნდა შესწირვოდა ეს მითოსში გარდასული ვაჟკაცი და ამ სუსტ წერტილს საქართველოს სიყვარული ერქვა და აკი ასეც მოხდა. ბედისწერის ნიშანია მისი დაბადების თარიღი 26 მაისი - საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგინების დღე და მე ამას უბრალო დამთხვევას ვერ ვუწოდებ. მას დედის საშოდან დაჰყვა, რომ იგი უნდა შესწირვოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას და აკი შეეწირა კიდეც. მთელი მისი ცხოვრება ერთი უკიდეგანო ბრძოლაა სამშობლოს თავისუფლებისათვის და ეს ბრძოლა ბრმა ფანატიზმით კი არ შემოიფარგლებოდა, არამედ გააზრებული მსხვერპლშეწირვა გახლდათ, რომელსაც გონიერება და ვაჟკაცობა მეგზურად ჰყოლოდა და ბოლო ამოსუნთქვამდე ასეც ატარა. მის გმირობას ჩამოთვლა არ ეგების, რადგანაც მისი ყოველი წამი გაჟღენთილია გმირობით. იგი, ზვიად გამსახურდიასთან ტანდემში იალბუზის ის ორი მწვერვალია, რომელთანაც სწორება ყველა ქართველმა უნდა დაიჭიროს. ამიტომაც უნდა ვსწორდეთ მათზე, უნდა ვსწორდეთ და გამარჯვება გარანტირებული გვექნება. მე პირადად ბედნიერად ვრაცხ თავს, თუკი მომეცემა ძალა და შემართება, მათი მიბაძვით გავატარო ჩემი ცხოვრება. და თუ ეს მოხდა, ჩავთვლი, რომ ჩემი ცხოვრების სპექტაკლი შედგა და მათ ჩრდილისა ჩრდილს, ყველა ქართველს მოვუწოდებდი, ამ ჩრდილს შეფარებოდნენ, რადგანაც მას ტიტანა, სამშობლოსთვის შეწირულთა ჩრდილის ქვეშ ყოფნა ერქმევა, ეს კი ღირსებათა ღირსებაა!

ეგოიზმშეყრილი - ნიჰილისტური საქართველო

ნიჰილიზმი მთელი ფილოსოფიაა, მაგრამ საქართველოში იგი უწიგნურ-ფარისეველთა ცხოვრების პრიმიტიული წესია, რომლის მამოძრავებელი ძალა პირადი ეგოიზმია. დღეისმიერ საქართველოში მის მცხოვრებთა აბსოლუტურ უმრავლესობას, ბოდიში და სულაც ჩამოკონწიალებული აქვს, ერქმევა მის ქვეყანას სახელმწიფო, ექნება კონსტიტუცია, არ ექნება, ვინ იქნება ხელისუფალი, როგორია მისი ხვალინდელი დღე. მთავარია მას ნუ შეეხებიან, მთავარია ვინმემ არჩევნების დროს 20-ლარიანი გადაუგდოს და მარადიულ ძმად იგულვებს. მერე იმ 20 ლარს ცხვირში რომ ამოადენენ აყროლდება გინებით, მაგრამ, როგორც კი შემდეგი 20-ლარი გამოჩნდება, ყველაფერი თავიდან იწყება. არავითარი საერთო ღირებულებები, საკითხის კოლექტიური გააზრება და მათ მეხსიერებაში ჩალექვა, არა, როგორ გეკადრებათ! გამოკითხულთა ნაწილმა რომ მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ვინ არიან არ უწყის. ამის მოსმენამ (სატელევიზიო გამოკითხვის დროს) თავზარი დამცაო ვთქვა, ტყუილი იქნება. კარგი, რუსთაველს არ კითხულობ, არ კითხულობ (მეტყვი არც ბერძნები იკლავენ ჰომეროსის კითხვით თავს, არც იტალიელნი დანტესი და არც ინგლისელები შექსპირისაო), მაგრამ ის მაინც იციან, რომ თავიანთი ხმა 20-ევროდ არ უნდა გაყიდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ მონაპოვარსაც დაკარგავენ, რაც საუკუნოვანი ბრძოლით მოუმკიათ, თორემ დონ კიხოტობას კი არავინა გთხოვს. ამიტომაც ჰქვია იქ მცხოვრებ საშუალო ბიურგერს, საზოგადოება, ამიტომაც აქვთ ეროვნული კოლექტიური მეხსიერება და ამ მენტალობას ერთი გაძღომის ფასად არ გაყიდიან. ასეთია ევრო-ამერიკელის მენტალობა და მან ისიც იცის, რომ მარტო თავდაუზოგავი შრომა დიდ წინსვლას ვერ მოიტანს, აზროვნებაცაა საჭირო, აზროვნებას კი წიგნიერება სჭირდება! აი მთელი ფილოსოფია ევრო-ამერიკელისა. რატომ არავინ სვამს კითხვას საზღვარგარეთ გახიზნული ქართველ მამაკაცთა უმრავლესობა ქურბადცაცობით რატომ ინახავს თავს, რატომ, ვინმეზე უნიჭოა (მათი ქურდული ოსტატობა კოზანოსტრას მნახველ ევროპასაც აოცებს ხშირად), თუ რა! ხელმრუდობა და არასერიოზული სამსახურებრივი წინსვლა (ინგლისის ლორდთა პალატაში შავკანიანი ლორდებიც გამოჩდნენ და მათ ეს დაიმსახურეს), ვინც ძალიან მოინდომა, აკი წარმოჩინდა კიდეც?! ყველაფრის თავი და თავია გაუნათლებლობა, საქმის სათანადოდ არ ცოდნა და უმთავრესი, რომელიც ამ პირველი ორისკენ შეგაბრუნებს -„ჰომო სოვეტიკუსის“ საბჭოთა მორალი, სადაც ასეთი ცხოვრება საზოგადოებაში უზნეო წესად არ ითვლებოდა და ხშირად, ხშირად კი არა აბსოლუტში პატივისცემას იმსახურებდა. დაინგრა საბჭოთა კავშირი, მაგრამ არ და ვერ დაინგრა მენტალიტეტი, მენტალიტეტი სიზარმაცისა და იოლი გზით ცხოვრების მოხვეჭისა. აი კომპიუტერი, ორმოც გადაცილებულ მამაკაცთა უმრავლესობას, კომპიუტერს რომ უხსენებ, მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმებს და გეტყვის - რაღა დროს ჩემი ეგააო. არადა ხშირად მათ პროფესორის, ან მწერლის ხარისხი ამშვენებს და მათი შემხედვარე მისი თანატოლნი ისევ „ჩაცუცქულთა გაგების“ გზას არჩევენ. ყოველივე რას მაგონებს იცით, ინგლისში სამრეწველო რევოლუცია როს განხორციელდა, ბევრმა მუშამ დაზგების მტვრევა დაიწყო, ამათი ბრალია მე რომ ქუჩაში აღმოვჩნდიო. ხოლო ვინც ალღო აუღო და დაზგას შეეწყო, ცხოვრების დონეც გაიუმჯობესა და შრომაც შეიმსუბუქა. ზუსტად ასეა ახლაც და ეს საკითხი, საკითხი, რომელსაც საზოგადოების განათლება ჰქვია და იგი ხელისუფალის უპირველეს საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს და არა ხელფასის დანამატები, პრემიები, რაც სახელმწიფო კორუფციასა და ხაზინის შემოვლითი გზით ქურდობას ნიშნავს. თუ ეს დროზე არ მოგვარდა, ნუღარ გაგიკვირდებათ, რომ საქართველოში ქართველთა ადგილს, უფრო კვალიფიციური, მომზადებული და განათლებული უცხოელი დაიკავებს და მას ვერავითარი კანონმდებლობით ვერ შეაკავებ.

აი, სიმართლეც და საშიშროებაც, რომელიც ქართული სახელმწიფოს არსებობისათვის და საერთოდ ქართველთა არსებობისათვის ორლესული მახვილია და რაც უფრო დროზე მივხვდებით ამას, გადარჩენის შანსი მეტია.

...რომ ჰკითხო ქართველს (განსაკუთრებით „ჯეელს"), დედას საქართველოში, როს აღმერთებენ ისე „დედა"მიწაზე არსად, მაგრამ რუსეთის გარდა დედის მიმართ ისეთ ბილწსიტყვაობას ვერსად გაიგებ, როგორც საქართველოში! არა, ეს კონტრასტი არაა, არც ამორალობაა, ესაა მორალის სრული აღრევა, რომელიც ჩრდილოეთ მეზობელმა „გვაჩუქა“, არადა, როგორც გავიგე ზოგიერთი ქართველი დიაცნიც „შემოქმედებითად“ მისდგომიან და მამებზე..... ტფუ გული მერევა....!!!!!

ნოდარ კობერიძე

ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატი

ქართველები საქართველოს ფარგლებს გარეთ – ნინო და კალისტრატე სალიები

მეოცე საუკუნის 20-იანი წლები, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო, გაჯერებული იყო ხშირი გადასახლებებით, მასობრივი რეპრესიებით, დახვრეტებით და სხვ. დამყარებული რეჟიმი ებრძოდა თავისუფალ აზრს, მოაზროვნეებს, ხალხისთვის მისაბაძ და ამით „საშიშ“ პიროვნებებს. სწორედ, ამ პერიოდში საქართველოდან ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელს, მათ შორის პოლიტიკოსებს, მეცნიერებს, მწერლებს მოუხდათ ემიგრაციაში წასვლა და სხვადასხვა ქვეყნებიდან ადევნებდნენ თვალს საკუთარ სამშობლოში განვითარებულ მოვლენებს. იქიდან ცდილობდენ რამენაირად დახმარებოდნენ ქვეყანას, რომელიც, ამავე დროს, უდიდეს რისკებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად გადახვეწისა უცხო მხარეში, მათ ფესვები არ დავიწყებიათ და ლამობდნენ ერის ბედ-იღბალის შეცვლას. იღვწოდნენ იმისთვის, რომ როგორმე დაეხსნათ ქვეყანა რუსული საბჭოთა რეჟიმისაგან. აღსანიშნავია რომ, მიგრანტთა უმეტესობამ თავი საფრანგეთს შეაფარა, რაც თავისმხრივ, გარკვეულწილად იქცა ქართული კულტურის აღორძინებისა თუ გადარჩენის კერად.

საფრანგეთში მოღვაწე ქართველებიდან ერთ-ერთი ცნობილნი იყვნენ სწორედ, ნინო და კალისტრატე სალიები, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ხელნაწერი წიგნების, ლექსიკონებისა თუ სხვათა, ფონდის შექმნასა და ამ უზარმაზარი ფონდის ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის გადაცემის საკითხში. ასევე, ქართველოლოგიის განვითარების დარგშიც.

კალისტრატე (კალე, როგორც მას ეძახდნენ) ზოსიმეს ძე სალია დაიბადა 1900 წლის 26 აგვისტოს, წალენჯიხის რაიონში. იგი იყო ქართველი გამოჩენილი მეცნიერი, ქართველოლოგი, ისტორიკოსი. 1920 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. შემდეგ, გაწევრიანდა სოციალ–დემოკრატიულ პარტიაში. 1921 წელს, ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დააპატიმრეს. 1922 წელს, მეტეხის ციხეში დატუსაღებულ 62 პოლიტიკურ პატიმართან ერთად, ვლადიმერ ახმეტელის, რომელიც იყო დამოუკიდებელი საქართველოს ელჩი გერმანიაში, ძალისხმევით საზღვარგარეთ გაასახლეს. გერმანიაში გაუმართლა და ბერლინის უნივერსიტეტთან არსებულ გერმანული ენისა და ლიტერატურის ორწლიან ინსტიტუტში ჩაირიცხა. მან სწავლა განაგრძო ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მოგვიანებით მან, სორბონის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან. იყო გახლდათ 1924 წელს დაარსებული „თეთრი გიორგის“ წევრი. შემდგომში გაწევრიანდა, 1934 წელს დაფუძნებულ ჟურნალ „ორნატის“ ჯგუფსა და მეორე მსოფლიო ომის წინ დაარსებულ „ქართულ ფაშისტურ დარაზმულობაში“. აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესასთან.

აქვე პარიზში კალისტრატემ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, პროფესიით ექიმი, მაგრამ ასევე ისტორიის განხრით ვარშავის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული, სანდომიანი და უკეთილშობილესი ქალბატონი, ნინო ქურციკაშვილი, რომელსაც ამ პერიოდში უკვე გარდაცვლილი ჰყავდა თავისი პირველი მეუღლე. უნდა აღინიშნოს რომ, ნინოს დიდი თანადგომითა და ხელშეწყობით კალისტრატე სალია წარმატებით მოღვაწეობდა მეცნიერული მიმართულებით.

ნინო სალიას უკეთ გასაცნობად ურიგო არ იქნება გავეცნოთ მის მოკლე ბიოგრაფიას. იგი დაიბადა კახეთში, სოფელ ვარდისუბანში,

სწავლობდა თბილისსა და პეტერბურგში. I მსოფლიო ომის დროს მოწყალების დად მუშაობდა. 1926 წლიდან უკვე საფრანგეთში ცხოვრობდა, იგი აქტიურად იკვლევდა საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის საკითხებს. იგი ასევე იყო ქართულ-ფრანგული ლიტერატურულ-მეცნიერული ურთიერთობების გამოჩენილი მკლევარი.

ამ ორი პატრიოტი მეცნიერის მოღვაწეობა უკავშირდებოდა საქართველოს წარმოჩენას ევროპის მასშტაბით. ისინი შესაშური გატაცებით, მონდომებითა და ერთსულოვნებით შეუდგნენ ქართული სულიერი კულტურის შესწავლისა და მის საერთაშორისო სარბიელზე გატანას, რომელიც შეუფასებელ საქმეს წარმოადგენს.

საინტერესოა მათი სამეცნიერო მოღვაწეობის დეტალურად გაცნობა. მეტად მრავალფეროვანია კალისტრატე სალიას მეცნიერული მემკვიდრეობა. იგი იკვლევდა საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს ("ქართველი ბერები და ქართული მონასტრები უცხოეთში“, „ბაგრატიონთა დინასტიის წარმოშობა“, „ქართული ლიტერატურა“, „საქართველო": (ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა), „ქართულ–ბიზანტიურ ურთიერთობათა მოკლე მიმოხილვა“, და სხვ). უცხოურ ენციკლოპედიებში ბეჭდავდა ქართული სინამდვილის ამსახველ წერილებს, ასევე დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა უცხოელ ქართველოლოგებს. სამეცნიერო შრომებს, გამოკვლევებს, მონოგრაფიებს წერდა ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. 1980 წელს ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა კალისტრატე სალიას ნაშრომი – „ქართველი ერის ისტორია“, წიგნს იმავე წელს მიენიჭა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია (1983 წელს ინგლისში გამოიცა ნაშრომის ინგლისური თარგმანი). „ქართველი ერის ისტორიას“ მაღალი შეფასება მისცეს ცნობილმა ევროპელმა ქართველოლოგებმა. ჰანს ფოგტი წერდა: „ეს არის შესანიშნავი ნაშრომი, რომელსაც ქართველი ერი იმსახურებს. ფრანგი მკითხველისათვის იგი იქნება შესანიშნავი საშუალება ძალზე ნაკლებად ცნობილი ერის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად“.

კალისტრატე სალია ევროპაში სახელგანთქმული და დაფასებული ქართველოლოგი გახლდათ. იგი არჩეული იყო სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრების წევრად. იყო ლუვენის, ოსლოს, ბამბერგის, ბორდოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, პროფესორი, ხმელთაშუაზღვეთის აკადემიის წევრი. ასევე- პარიზის სააზიო, საისტორიო და ლინგვისტური, აგრეთვე ბიზანტიოლოგიური საზოგადოებების წევრი; საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო უცხოელი წევრი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი; 1964 წლიდან, ყოველწლიურად (15 წლის განმავლობაში) ირჩევდნენ მეცნიერული პრესის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე–პრეზიდენტად. უცხოურ ენციკლოპედიებში ბეჭდავდა ქართული სინამდვილის ამსახველ წერილებს, ასევე დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა უცხოელ ქართველოლოგებს.

რაც შეეხება მის მეუღლეს, ნინო სალიას, ისიც საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობდა სამეცნიერო სფეროში. იგი სისტემატურად აქვეყნებდა სტატიებს ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე, განსაკუთრებით კი, ძვ. ქართული ლიტერატურის პრობლემებზე. მას 40-მდე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, რომელთა უმეტესობაც სამწუხაროდ, ქართველი მკითხველისთვის უცნობია.

აქვე, აღსანიშნავია მისი ერთ-ერთი ნაშრომი, „მეცნიერული და ლიტერატურული მნიშვნელობა შუა საუკუნეების ეპოქისა „ვეფხისტყაოსანი“, რაზეც შემდგომ წერდა, რომ „ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ რუსთაველი არის რენესანსის ეპოქის ადამიანთა გრძნობებისა და ცნებების ინტერპრეტატორი-წერდა მკვლევარი. „ვეფხისტყაოსანი“ არის ღრმად ქართული, იგი ეკუთვნის მსოფლიო ცივილიზებულ ხალხების საერთო საგანძურს“. მას ასევე ეკუთვნის შრომები: „ქეთევან ქართველის მარტვილობა“, „შოთა რუსთაველის უცნობი სურათი“ და ა.შ.

თავის სამეცნიერო ნაშრომებში იგი უდავოდ ნამდვილ პატრიოტად გვევლინება.

ნინო უდიდეს როლს ანიჭებდა ქართული უნივერსიტეტის საქმიანობას ეროვნული კულტურისა და ფასეულობების განვითარების საკითხში და თბილისის უნივერსიტეტის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილ წერილში იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის დაარსებით „აღდგენილი იქნა ქართული ხალხის მდიდარი კულტურული ტრადიციები“. ამასთანავე, მსჯელობს ქართველების უძველეს კონტაქტებზე საზღვარგარეთის ქართულ კერებთან, რომისა და ბიზანტიის კულტურის ცენტრებთან, აქვე, არ ივიწყებს მე-12-ე საუკუნეში დაარსებულ ორ აკადემიას – გელათისა და იყალთოსი.

თამამად შეიძლება ითქვას რომ, ისინი სამშობლოს დახმარებას მხოლოდ სიტყვიერად არ უწევდნენ, მარტო სიტყვიერი წუხილითა თუ იმედებით არ შემოიფარგლებოდნენ ქვეყნის აწმყო-მომავალზე საუბრისას. ისინი ამ ყოველივეს საქმით ამტკიცებდნენ და თავიანთ მოღვაწეობით დიდად პრაქტიკულები იყვნენ, რაც გამოიხატა უპირველეს ყოვლისა იმით, რომ 1948 წელს კალისტრატე და ნინო სალიებმა საკუთარი სახსრებით, ასევე, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის ფინანსური დახმარებითა და ნებართვით დაარსეს სამეცნიერო ისტორიულ–ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“. სალიების უმთავრესი საზოგადოებრივ-მეცნიერული მოღვაწეობა დაკავშირებულია სწორედ ამ ჟურნალთან „ბედი ქართლისა“ (ქართველოლოგიური მიმოხილვა).

ამ ჟურნალის პოპულარობას და ზოგადად, ქართველოლოგიური პრობლემებით დაინტერესებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ XX ს-ის 30-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა რიცხვი. სალიების მოწაფეთა შორის ბევრი გახდა ქართველოლოგი. ევროპაში ქართველოლოგიისადმი ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც აკადემიკოსმა ნიკო მარმა აღმოაჩინა ისეთი ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც ბიზანტიურ მწერლობაში დაკარგულად ითვლებოდა და ქართულ თარგმანებში იყო შემონახული. საჭირო გახდა მსოფლიოსათვის კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის საფუძვლიანად გაცნობა.

ჟურნალის მიზანს შეადგენდა საზღვარგარეთ გაფანტული ქართველების გაერთიანება და ერთიანი ეროვნული სულისკვეთების სამსახური. რედაქცია თანამშრომლობისათვის იწვევდა ყველას, ვისაც საქართველოს აწმყო და მომავალი აღელვებდა. ნინო და კალისტრატე სალიები აქტიურად ეხმარებოდნენ დამწყებ უცხოელ ქართველოლოგებს. ცდილობდნენ, სამეცნიერო კვლევები ქართველ მეცნიერებთან მჭიდრო კავშირში ეწარმოებინათ.

კალემ ჟურნალის გარშემო შემოიკრიბა ყველა თვალსაჩინო საზღვარგარეთელი ქართველოლოგი, შეადგინა ჟურნალის მაღალკვალიფიციური სარედაქციო საბჭო, ცოცხალი კონტაქტები დაამყარა საბჭოთა კავშირის ქართველ მეცნიერებთან და ჩააბა ისინი ჟურნალის საქმიანობაში. სალიებმა ჟურნალის გარშემო ასევე, შემოიკრიბეს ქართველ მეცნიერთა მთელი პლეადა - მიხაკო წერეთელი, მიხეილ თარხნიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ყაუხჩიშვილი, ელენე მეტრეველი და სხვები. ჟურნალის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მსოფლიოს ცნობილი კავკასიოლოგები და ორიენტალისტები. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად აამაღლა ფრანგული ქართველოლოგიური ორგანოს მეცნიერული დონე.

კალისტრატე სალიას 70-ე საიუბილეო წლის ერთობლივ მილოცვაში უცხოელმა ქართველოლოგებმა ასე შეაფასეს ჟურნალ „ბედი ქართლისას“ წვლილი და მისი რედაქტორის მეცნიერული დამსახურება: „კალისტრატე სალიამ შეძლო თავისივე დაარსებული ბეჭდვითი ორგანოს „ბედი ქართლისას“ ირგვლივ შემოეკრიბა ყველა ქართველოლოგი და კავკასიოლოგი, დაემყარებინა აუცილებელი კავშირი საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე სამეცნიერო–კვლევით მუშაობას შორის და გაეღვიძებინა მეცნიერთა ინტერესი ამ ლეგენდალური და შთამბეჭდავი მხარის ცივილიზაციის ყოველმხრივი შესწავლისადმი“.

ჟურნალის პოპულარობა იმაშიც გამოიხატა, რომ თავდაპირველად იგი მცირე მოცულობის იყო და წელიწადში მხოლოდ 4-ჯერ გამოდიოდა ქართულ ენაზე, გათვლილი იყო მხოლოდ მცირე წრეზე, ჟურნალის რედაქცია განთავსებული იყო სალიების ბინაში. მალევე კი, უწინდელი პატარა 64 გვერდიანი ჟურნალი „გადაიქცა საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე დიდ სამეცნიერო ორგანოდ“. გამოჩენილი უცხოელი ქართველოლოგები აღიარებდნენ რომ, ეს ყოველივე კ. სალიას მეცნიერულ-ორგანიზატორული საქმიანობის შედეგად მოხდა.

ჟურნალში იბეჭდებოდა გამოკვლევები, მიმოხილვები, რეცენზიები და მისთანნი ქართული ენის, ისტორიისა და ლიტერატურის საკვლევ-საძიებო საკითხებზე (ბოლო ხანებში, აგრეთვე სომხურ და აზერბაიჯანული კულტურის საკითხებზეც). გაფართოების შემდეგ მასში სტატიები იბეჭდებოდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე, ზოგჯერ იტალიურადაც. ჟურნალი შეუფერხებლად გამოდიოდა 1984 წლამდე.

ამ ჟურნალის მეშვეობით თვალყურს ადევნებდნენ უცხოეთში მიმდინრე მუშაობას ქართველოლოგიის სხვადასხვა დარგში.

1971წ. კალისტრატე სალიას 70 წელი შეუსრულდა. „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა უცხოელი მეცნიერების სტატიები, რომლებშიც მაღალი შეფასება მისცეს ქართველ პატრიოტების მოღვაწეობას. უცხოელი მეცნიერები –რენე ლაფონი, ფრანსუა გრაფენი და სხვები ერთობლივ წერილში წერდნენ: "... აქვე უნდა აღინიშნოს იუბილარის მეუღლის ნინოს დამსახურებაც. ნინო სალია პირველი დღეებიდანვე დიდ დახმარებას უწევს ჟურნალს. ორივე მოღვაწე მძიმე, მაგრამ ღირესეულ შრომას ეწევა უდიდესი თავგანწირვის ფასად. მათ აქვთ უფლება მადლობის მიღებისა მეცნიერთა სამყაროსგან, მათი მშობლიური ქვეყნისაგან, რომელსაც გულმოდგინედ და ერთგულად ემსახურებიან.“ ჟურნალს მაღალ შეფასებას აძლევენ ქართველი მეცნიერებიც – კ.კეკელიძე, აკ.შანიძე, გ. ჯიბლაძე და სხვ.

გაგრძელება გვ. 13

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

მარიამ წიკლაური

ომი

ბებიაჩემი სულ ომში იდგა -
ბალახს ებრძოდა.

მისი ეზო პატრონივით ლამაზი იყო.
თავმომწონეც ამ პატრონივით.
განა ასე ადვილი იყო,
ეზოში რომ არ შემოეშვა მტრის ლეგიონი?
განა ასე ადვილი იყო მიწის ყველა ფორის
დაგმანვა,
ეზო-კარის მოწკრიალება,
როცა ცალ მხარეს ფესვაბჯრიანი მთელი
ხმელეთი,
მეორე მხარეს - ერთი სუსტი დედაკაცი
იდგა, მარტოკა?!

მთელი ცხოვრება
ავშანს, აკანთოს, მრავალძარღვას, ომბა-
ლოს, შვიტას,
ხვართქლას, ალერდს, ანწლს, ანისონას,
მატიტელას, ასკილს, ფარსმანდუკს,
ბაბუაწვერას, სვიას, კალამას,
ჯიჯილაყას, სამყურას, გულბანდს,
დუგუმს, დუცს, ეკალს,
ენდროს, კაჭაჭს, ვარსამას, მაყვალს,
თავშავას, ნარს, ტუხტს, თოფჩას, ისარას,
ირემას, ჭინჭარს,
კალუნას, უცუნს, კრაზანას, ღვარძლას,
ლაფანს, მათირას,
ნაცარქათამას, ია-იას, ჭორტანს, რქათავას,
ყანისჭლექს, პიტნას, შაშვიპურას, ბაიას,
ჩირახს,
ცახს, ჭარაბალახს, ხარისძირას,
სელიჭას, სვინტრას, ტილჭირას,
სალბს, ურცს, ურიშას,
ფრინტას, ქარქვეტას, ღანძილს, ლენცოფას

***

ყველას სწვდებოდა მისი თითების
მარყუჟები,
ყველა მისი მოხელილი ჟალტამის იყო,
ყველა მისი ჟვერის ნახელთი,
მკვდარიც, დაჭრილიც, თვალდათხრილიც,
ხერხემალში გადამსხვრეულიც.

ომში იდგა ბებიაჩემი – ბალახს ხელავდა.
მთელი ცხოვრება ომებს შორის
ახამებდა ლამაზ კაბებს და თეთრ ტილოებს
როგოც რკინის აბჯრის რგოლები,
სათითაოდ
ამოჰყავდა ქსოვილზე ძაფი, ძაფზე ნასკვი,
მერე სითვი, გვირისტი, ფოჩი,
მერე ნიკბი, მერე რუში, ისევ ნასკვი,
საბადე ისევ,
ისევ ნაოჭი, რომ დიდი ომი გადაეხადა
ცხოვრებასთან ცალუღელშებმულს,
და არასდროს დამჩნეოდა დაღლა
ბრძოლაში,
ასე ფესვით, ასე კალმით, ასე ბწკალით
წნიდა მიწას, ჰაერს, წყალს და ცეცხლს,
ერთმანეთში აწნიდა მკვრივად,
გვარლებს წნიდა სისუფთავისგან,
სიცოცხლეზე მოსაჭიდებლებს.
აბა, ერთი შეგეხედათ მის ნაქარგებზე
და მიწის გულშიც ჩაგეხედათ,
რომელი სჯობდა ან სიმკვრივით,
ან სიმწყობრით ან სილამაზით?!
ორთავენი თავს არ ზოგავდნენ,
მეტოქეობაც არ ერქვა ამას,
ორი სიტყვის, „სიცოცხლესა“ და
„ცხოვრებას“ შორის
რაც არსებობს, აი, ეგ იყო მთელი ომი,
მაგ ფესვის იყო.

და კრიალებდა მისი ეზოს მიწა ამაყად,
ვინ გაბედავდა ამ მიწაზე ამოსულიყო,
იცოდნენ, მაღლა ბებო იდგა,
დაუზარელი, გულოვანი, ხელცეცხლიანი,
ეზო-კარის მთავრანგელოზს მისი ხელის
მტევნები ება,
მის თითებში ჩაებღუჯა სამტრო ისარი –
ცოცხი, ნემსი, ყაისნაღი, ქვაბი, გობურა.
რისი თოხი, რისი ბარი, რისი კალამი,
რა გაუძლებდა ამ ქალის ხელებს,
შემაშინებლად მოუსვენრებს, გამრჯეს,
კეთილს და
ათასფერა ყვავილების და ლექსების
მქარგველს
თეთრ ტილოებზე და ქაღალდებზე,
შავი მიწის გულის დამხატველს?!
მოკეთესაც ეშინოდა, განა მარტო მტერს?!
მის აბაჟურებს ღამის პეპლებიც
სულ სხვა კრძალვით ეხეთქებოდნენ.

მხოლოდ ვარდებს წყალობდა იგი,
ჩაის თეთრ ვარდებს,
ვარდებს, მიმოზებს, მაგნოლიებს –
თავისი კარის ლამაზმანა ფროილაინებს
(ჩემი ბებო ხომ პოეტი იყო).

ჰოდა, ელოდნენ ბალახები თავიანთ დროს,
სიცოცხლის სიბრძნით განაკვებები.
იცოდნენ, მიწას ვერ ასცდებოდნენ,
ამ ეზოში, როგორც ომში, უხილავიც
ხილულის მხარეს
იდგა, იბრძოდა სისუფთავის ქიმერისათვის.
ან რა ვიცოდით ამაოება რას ერქვა მაშინ?!

ელოდნენ მიწის დახავსილი გადაღმეთიდან
დასცინოდნენ ვარდებს, მიმოზებს,
ბებიაჩემის ხელის შემყურე ფუქსავატებს,
სიველურის ნასახიც რომ არ ედგათ ტანში,
რომ არაფერი გაეგებოდათ ბალახის ჯიშის
გამძლეობის,
უნდობლობისა,
რომ ბალახს მხოლოდ ბებოჩემის მსგავსი
ქალები ეომებიან,
ეომებიან და ამარცხებენ და სიცოცხლეს
იხდიან ფასად.

ასწლიანი ომის არ იყოს,
ეს ომიც დიდხანს,
ძალიან დიდხანს გრძელდებოდა,
ბოლოს დასრულდა
და შერიგდნენ სამარადისოდ ჩემი ბებო და
ჩვენი ეზოდან გადათხრილი ყველა ბალახი
მშვიდობა დადგა.
დადგა მშვიდობა.
ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

და რისი ვარდი, რისი მიმოზა,
რისი ვეება მაგნოლიები?!
ის ეზო უკვე იმათია, მხოლოდ იმათი!
მიწადქცევის ძველი ლოცვა აღასრულა ისევ
ბალახმა,
დაიბრუნა ფესვის ხსოვნაში გადანახული
სამოთხეები.
ჰეი, ლაზარევ, გინდა მოდი, გინდა,
ნუ მოხვალ,
მაგათ საკუთარ სხეულში უდგათ
თავიანთი წვიმები და
აღარაფრის ეშინიათ -
მათ სიკერპეს ხომ ბებოჩემის სხეულიც
კვებავს.
ან ვინ აჯობებს:

ავშანს, აკანთოს, მრავალძარღვას,
ომბალოს, შვიტას...

***

გარდამოიხსნა ჩვენი ხსნა,
ხსნა - ჯვარზე მინამსჭვალია.
კრეტსაბელებიც ჩაირღვა,
წვიმად წვიმს ცრემლის ღვარია.
შენ კვლავ აღსდგები, იესო,
ჩვენ ვინ გვიცოცხლოს მკვდარია,
სადაც ჯეჯილი დავთესეთ
იქაც სუ ლურჯი ნარია.
აჰა, გიჯერებ, მოგყვები,
ჩემი რწმენა სუ მრწემია,
შენ თუ ჯვარს გაცვეს, უფალო,
მე რა დღეები მელიან...
რამდენჯერ ჯვრიდან ჩამოგხსნით,
იმდენჯერ გაცვამთ ჯვარზედა.
შენს სიყვარულში, ცოდვილიც
კვლავ სასოებით ამზევდა.
ან დაგვეღალოს მარჯვენა,
ან ხე გაგვიხმეს, საძელე,
ან ამდენ ცოდვის ტრიალში
აქამდე როგორ გავძელით...
მარადი შობის უფლებით,
სიკვდილს რო ბჭენი უმტვრიე,
მოდი, ჩვენც გარდამოგვხსენი,
რო ვგავართ სუ მზეუთიერს...

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი გ ვ ე რ დ ი

დიანა ცულოშვილი

მესაათე

გულდასმით ჩაჰკირკიტებდა მესაათე დაშლილ საათს და ძველ სიმღერას ღიღინებდა დაბალი ხმით. ზარის წკრიალით გაიღო კარი და ოთახში მუქ ტანსაცმელში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი შემოვიდა. თავაზიანად მიესალმა და უხერხულად დაიწყო ლაპარაკი; – იცით, საათი მოვიტანე, აღარ მუშაობს... ჩემი გარდაცვლილი მეუღლის არის და... მესაათემ ცალ თვალზე მორგებული გამადიდებლიდან გამოხედა, ისე, რომ სამუშაო იარაღები არ გაუშვია ხელიდან და ძველ, ლაქგაცლილ ხის სკამზე მუთითა ; – დაჯექი შვილო და ეხლავე ვნახავ, რატომ ჭირვეულობს თქვენი საათიო.

სახელოსნო, სადაც მოხუცი მესაათე მუშაობდა, პატარა ოთახით შემოიფარგლებოდა. უკანა კედელზე ძველებური, ხელით ნაქსოვი ხალიჩა ეკიდა, ისე იყო დამტვერილი, ფერები საღებავით გადაშლილს უფრო ჰგავდა. დანარჩენ კედლებზე უსწორ - მასწოროდ ეკიდა საათები: რა ზომის, ფორმის ან ფერის არ იყო. საკიდებზე დიდი საათების ნაწილებიც კარგა ხნის დამტვერილი მოსჩანდა. ერთ საათს უცნაური ფორმა ჰქონდა - მაღლა მზე იყო, დაბლა ხელაწვდენილი ადამიანი, იმდენად აწვდენილი, რომ მთლიანი სხეული გაეჭიმა, თუმცა მზეს მაინც ვერ სწვდებოდა... სამუშაო მაგიდაზე ათასი დაშლილი დიდ - პატარა საათი და უამრავი ხელსაწყო მიმოფანტულად ეყარა. ახალგაზრდა ქალმა გულმოდგინედ მოავლო თვალი ძველ სახელოსნოს. ლამაზ, მქრთალ სახეზე აშკარად ეტყობოდა დარდი. მოხუც მესაათეს არ გამოჰპარვია ქალის სახეზე აღბეჭდილი სევდა და თბილი, შინაურული ხმით დაიწყო ლაპარაკი. მე გიგო მესაათეს მეძახიან, ისე ვარ მიჩვეული ამ სახელს, ასე მგონია მასთან ერთად დავიბადე, სინამდვილეში გიორგი მქვია, თუმცა მარტო დაბადების საბუთმა თუ იცის. ამ უბნელი ვარ, აქ გაზრდილი. ყველა ქვა და აგური ვიცი და მიყვარს. ჩაეცინა ჭაღარა ულვაშებში. ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ველოსიპედი და ოცნებობდი ინჟენერი გამოვსულიყავი. თუმცა ავად გავხდი, არავის ეგონა თუ გადავეჩებოდი, მაგრამ დედაჩემის ლოცვითა და ექიმბაშების წამლებით ისევ ცოცხალი ვარ. კარგა ხანს სუსტად ვიყავი და ამის გამო ვეღარ წავედი სასწავლებლად, თან გვიჭირდა კიდეც... ისევ ჩაეღიმა მოხუცს. მამა ადრე გარდაიცვალა. მერე დედამ ერთ მესაათეს მიმაბარა. მან მასწავლა ხელობაც და ცხოვრების ავან –ჩავანიც. შევიყვარე ჩემი საქმე და აჰა, ლამის 50 წელია ამ საქმეს ვემსახურები. დროს ვერ ვაჩერებ, თორე გაჩერებულ საათებს კი ვუწყობ დროის, ისევ ღიმილით თქვა მოხუცმა.

მესაათემ გამოართვა ხელიდან ახალგაზრდა ქალს საათი და თან გააგრძელა საუბარი, იმდენად თბილად და მამა - შვილურად ლაპარაკობდა, რომც ნდომებოდა ჩქარა წასვლა, აღარ წავიდოდა. უნდოდა მოესმინა მოხუცისთვის ბოლომდე და ეს პატარა, ძველი სახელოსნო მეტად მყუდრო გახდა იმ წუთებში. პირიქით, თოთქოს სწორედ იქ მივიდა, სადაც სიმშვიდეს ჰპოვებდა, გაქრა დარდი და მხოლოდ მესაათის ტკბილი ხმა და საათების არათანაბარი წიკწიკი ისმოდა.... გულდასმით დაიწყო საათის დაშლა ოსტატმა და თან გააგრძელა ; ერთი გოგო მიყვარდა. მართა ერქვა, ამ უბანში ცხოვრობდა, ცოტა ზევით. ცალი ფეხით კოჭლი იყო, მაგრამ ამისთვის არასდროს მიმიქცევია ყურადღება, ისეთი მიყვარდა, როგორიც იყო... დღესაც მიყვარს! - ჩაიცინა და შუბლზე სამრიგად გადებული ნაოჭები ჩაეკეცა. ვიოლინოზე უკრავდა. ჩუმად დავყვებოდი უკან, მის აჩრდილად ვიქეცი, მაგრამ ვერ ვუბედავდი მეთქვა, როგორ მიყვარდა. ერთ დეკემბრის ცივ საღამოს, როცა ბრუნდებოდა მასწავლებლიდან, დავხვდი გზაში თავდაჯერებული და მინდოდა მეთქვა, რაც გულში გრძნობა მქონდა, თუმცა მაინც ვერ გავბედე. დავდუმდი, მივუახლოვდი და ლოყაზე ვაკოცე მხოლოდ. ისეთმა სიცხემ დამიარა მთელ სხეულში, თავიდან დაიძრა და ბოლოს ფეხის ქუსლებიც ამეწვა. ალბათ გავწითლდი მეც, რადგან მართა ჭარხალივით გაწითლდა. ვის ახსოვდა ზამთრის ცივი საღამო, ცეცხლის ალი გვეკიდა ორივეს... ამ ხნის კაცი ვარ და ის დღე ისევ გუშინდელივით მახსოვს. მას მერე ბევრი დრო გავიდა. მართა სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად. როგორც გავიგე გათხოვილა, შვილი არ ჰყოლია. მეტი არაფერი ვიცი. მე მამიდაჩემმა გამირიგა თავისი სოფლელი გოგო - ნინო. კარგი ტკბილი ოჯახი შევქმენით. ორი ბიჭი გვყავს, თავისი ოჯახები აქვთ, სხვა ქალაქში ცხოვრობენ და მუშაობენ. არ გვივიწყებენ მოხუც მშობლებს და გვსტუმრობენ-ხოლმე... რამდენი ვილაპარაკე, სიბერის ბრალია ალბათ, ისევ ღიმილით ჩაილაპარაკა მესაათემ...

– შენ შვილო, სადაური ხარ? არ მინახიხარ.

– მე? მე ახალი გადმოსული ვარ. ნივთებს ვალაგებდი და ვნახე საათი აღარ მუშაობდა. არ მინდა რომ გაჩერდეს. ეს ნივთი მეტად ძვირფასია ჩემთვის. მისი პატრონი აღარ არის ჩემს გვერდით. წავიდა მარადიულობაში და ჩემი გულიც თან გაიყოლა. ამოიოხრა ქალმა და თითქოს დამსხვრეული გულის ნაწილებიც ამოაყოლა. მანაც ისევე დაიწყო ლაპარაკი, თითქოს დიდი ხანია იცნობდა მოხუცს და დაგროვილ ამბებს უზიარებდა. მძიმე ავადმყოფობამ წამართვა საყვარელი ქმარი. ორი წელი ვებრძოლეთ, მაგრამ უშედეგოდ... მიჭირს მის გარეშე, ყველაფერს მუქ ფერებში ვხედავ. არ მინდა რომ ასე ვიყო, ორი შვილი მყავს, ქალ - ვაჟი. საცხოვრებელი ადგილიც შევიცვალე, მაგრამ ვერ ვერევი მწუხარებას. ცრემლები წამოსცვივდა ქალს.

- მისმინე შვილო - სათვალე მოიხსნა მოხუცმა და იქვე ახლოს, ტაბურეტკაზე ჩამოჯდა. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ. ცხოვრება წინ გაქვს. შვილებს სჭირდება ლამაზი და ჯანმრთელი დედა. პირველ რიგში სჭირდები შენს თავს, რადგან ცოცხალი ხარ, ესე იგი ღმერთის წინაშე ვალდებული ხარ იცოცხლო. უფალი იმდენით გვსჯის, რამდენის ატანაც შეგვიძლია. ზოგს დიდი ჯვარი აქვს ასატანი, ზოგს პატარა გოლგოთაზე. მაგრამ ყველას თავისი მიაქვს. ღმერთმა შენ გაჩუქა სიყვარული, უბრალოდ სხვა განზომილებაში გადავიდა, ის მარადიულია, უხუნებელი, უცვეთელი. შენი შვილები იგივე სიყვარულია სხვა ფორმით მოსული, სიცოცხლის გაგრძელებაა.

ქალმა ისევ კითხვა დაუსვა მოხუცს თუ მაჩუქა, რაღატო წამართვა?

– ამ კითხვას მხოლოდ ასე შეიძლება გაეცეს პასუხი; შენ გამოგარჩია უფალმა, რომ გყვარებოდა, რომ გეგრძნო მარადიულობა. აი, რა გითხარი წეღან, მე ისევ მიყვარს მართა იმ სუფთა გულით, თუმცა ჩემს გვერდით არასოდეს ყოფილა. მაგრამ მარადიულია და ეს გრძნობა ჩემთან ერთად მოკვდება. ყველას არ აქვს ამის განცდის ბედნიერება. ეს ღვთის საჩუქარია, რომელიც ძალას გაძლევს. იფიქრე ამაზე. მხრები გაშალე გამართულმა გაიარე, შენ გიყვარს, მერე რა თუ ფიზიკურად ვერ ეხები, ის სულ შენია და შენთან დარჩება...

– სულია მთავარი, შვილო სული... ამის გაგება გვიჭირს ადამიანებს. სხვა საზრუნავი გვაქვს ,სულზე მაღლა რომ ვაყენებთ, იმის...

– დრო და უდროობა ჩვენ გამოვიგონეთ... სად გვეჩქარება, რა გვატრიალებს, რისი სურვილი გვაქვს? - მხოლოდ მატერიალურის? არა ჩემო კარგო. ჩვენ ღმერთის შექმნილები ვართ და ამას ყველაფერს მოფრთხილება უნდა...

თითქოს დიდი ტვირთი ჩამოხსნეს მხრებიდან. ამ საუბარმა გამოაფხიზლა ქალი. გულში უფალს მადლობას უხდიდა რომ შეახვედრა მესაათეს... ამასობაში ოსტატმაც შეაკეთა მისთვის ძალიან ძვირფასი ნივთი და ღიმილით გაუწოდა ქალს. ხელზე ხელი მოჰკიდა და უთხრა - დაიმახსოვრე შვილო თითოეული ადამიანი ღმერთის საჩუქარია, ერთ - ერთი შენ ხარ და გაუფრთხილდი სიცოცხლეს და სულს. შენი კარგად ყოფნით შენი სიყვარულიც კარგად იქნება იქ, მარადიულობაში...

ქალმა მადლობა გადაუხადა მოხუცს, გარეთ გამოვიდა და თითქოს სამყარო სხვანაირი ეჩვენა, უფრო ფერადი და დიდი. მოხუცი მესაათე კი მიუბრუნდა თავის საქმეს და ძველი სიმღერის ღიღინი ააყოლა საათების წიკწიკს...

ოლივერ კრომველი, დიპლომატი და

ინგლისის რევოლუციის გამოჩენილი ხელმძღვანელი და შემდეგ დიქტატორი ოლივერ კრომველი დაიბადა 1599 წლის 25 აპრილს ჰენტინგტონის საგრაფოს ამავე სახელწოდების პატარა ქალაქში, რობერტ კრომველისა და ელისაბედ სტიუარტის ოჯახში. მისი ოჯახი გამოირჩეოდა პურიტანული ღვთისმოსაობით. ოლივერი ტიტულით ესკვაირი გახლდათ [2.30]. მან დაწყებითი განათლება ადგილობრივ სკოლაში მიიღო. რის შემდეგაც სასწავლებლად გადავიდა კემბრიჯში მდებარე იმ სიდნეი სასექსის კოლეჯში, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ იყო დაარსებული და გაჟღენთილი გახლდათ პურიტანული სულისკვეთებით. ოლივერმა აღნიშნულ კოლეჯში 1616-1617 წლებში ისწავლა და როდესაც იგი დაასრულა, შემდეგ უმაღლესი განათლების მიღება იურიდიული განხრით კემბრიჯის უნივერსიტეტში გააგრძელა. მას სასწავლებლის მიტოვება მალევე მოუწია, რადგან 21 წლის ასაკში დაქორწინდა ერთ-ერთი ადგილობრივი მემამულისა და წარმატებული მეწარმის 22 წლის ქალიშვილზე, ელიზაბეტ ბუტჩერზე. ქორწინება ბედნიერი აღმოჩნდა და მათ მრავალი შვილი ეყოლათ. ოლივერს დაქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე გარდაეცვალა მამა, შემდეგ ბიძა და მთელი ოჯახის სიმძიმე მას დააწვა მხრებზე.

ოლივერ კრომველი პოლიტიკურ ასპარეზზე რომ გამოვიდა 29 წლის იყო, მანამდე ის ჩვეულებრივი ესკვაირის ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ 1628 წელს არჩეულ იქნა პარლამენტის დეპუტატად მშობლიური მხარიდან. თავიდან კრომველს თავი მოკრძალებულად ეჭირა და სწავლობდა საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებისგან, საიდანაც მან დიდი გამოცდილება მიიღო.

ჩარლზ I-მა გადაწყვიტა ქვეყანა პარლამენტის გარეშე ემართა, მეფემ პარლამენტი ოფიციალურად 1629 წლის 10 მარტს დაითხოვა და უპარლამენტო მმართველობა 1640 წლამდე გაგრძელდა. ინგლისში 30-იან წლებში მიმდინარეობდა პურიტანების დევნა, ეს დევნა რა თქმა უნდა შეეხო ოლივერ კრომველსაც. ის ერთხანს ჩრდილოეთ ამერიკაში წასასვლელადაც კი ემზადებოდა. მეფის ხელისუფლების შესუსტება იწყება 1637 წლიდან, როდესაც მას აუჯანყდა შოტლანდია. შოტლანდიის დასამარცხებლად სჭირდებოდა ფული, ამ მიზეზით მან 1640 წელს მოიწვია პარლამენტი. კრომველი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მალევე ჩაერთო, იგი არჩეულ იქნა 1640 წელს ქვეყნის პარლამენტში. ეს მანამდე სანამ პარლამენტსა და მეფეს შორის მწვავე დაპირისპირება დაიწყებოდა. ,,ხანმოკლე პარლამენტმა“, რომელიც სამი კვირა მართავდა სხდომებს, მეფეს სესხი არ მისცა და ამის გამო მეფემ ის 5 მაისს დაითხოვა. ჩარლზ I სასტიკად დამარცხდა შოტლანდიასთან ომში, რაც სიხარულით ავსებდა პარლამენტის მომხრეებს. ჩარლზ I იძულებულია ნოემბერში ხელახლა მოიწვიოს პარლამენტი, რომელმაც ,,ხანგრძლივი პარლამენტის“ სახელი მიიღო და მან თითქმის 13 წელი იარსება. ,,ხანგრძლივმა პარლამენტმა“ ძალიან შეზღუდა მეფის უფლებები, მეფეც ყველაფერზე ეთანხმებოდა იმ იმედით, რომ უცხო ძალის დახმარებით შეძლებდა ოპოზიციის დამარცხებას. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სულ უფრო და უფრო ძლიერდება პარლამენტი და სუსტდება მეფე. 1642 წელს დაიწყო პირველი სამოწალაქო ომი მეფესა და პარლამენტს შორის. ინგლისისს სამოქალაქო ომზე სხვადასხვაგვარი რეაქცია გამოავლინა ევროპის ქვეყნებმა. ევროპის სახელმწიფოები ჩაბმულები იყვნენ 30-წლიან ომში და მათ არ ეცალათ ინგლისისათვის. მხოლოდ საფრანგეთი ცდილობდა დახმარებას და ამასაც იმის გამო, რომ დაკავშირებული იყო ინგლისთან დინასტიური ქორწინებით (ინგლისის მეფე ჩარლზ I-ის მეუღლე ჰენრიეტა-მარი ლუი XIII-ის და იყო), მაგრამ ისევ და ისევ 30-წლიანი ომის გამო ვერ ახერხებდა. რამდენჯერ, ჯერ კარდინალმა რიშელიემ, მისი გარდაცვალების შემდეგ (1644 წ.) კარდინალმა მაზარინიმ ფინანსური დახმარება გაუწიეს ჩარლზს, მაგრამ ამან სასიკეთოდ დიდად არაფერი შეცვალა. პირიქით ნეისბის ბრძოლის შემდეგ (1645 წ.) პარლამენტის მომხრეებს ხელში ჩაუვარდათ ინგლის-საფრანგეთის მიმოწერა, რამაც დათვური სამსახური გაუწია ჩარლზ I-საც და კარდინალ მაზარინისაც.

ოლივერ კრომველს პოლიტიკური პოპულარობა მოუტანა იმ გარემოებამ, რაც იმ დროს ინგლისში იყო შექმნილი. პროტესტანტები მიიჩნევდნენ რომ თუ მეფე გაიმარჯვებდა ამ სამოქალაქო ომში, მაშინ მათ თავიანთი რელიგიური აღმსარებლობის გამო მოუწევდათ ქვეყნის დატოვება და სწორედ ამის გამო მათ მიაჩნდათ, რომ თავიანთ ინტერესებს ყველაზე უკეთ დაიცავდა ოლივერ კრომველი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოლივერ კრომველმა, გარდა პოლიტიკური წარმატებისა, თავისი სამხედრო ნიჭითაც გაითქვა სახელი.

ინგლისის სამოქალაქო ომის დაწყებისას კრომველი



სამოცი მხედრისგან შემდგარ დანაყოფს მეთაურობდა კაპიტნის რანგით. შემდგომში ეს რაზმი „რკინისგვერდიანი მხედრების“ სახელით გახდა ცნობილი და მთავარი როლი შეასრულა „ახალი მოდელის“ არმიის ჩამოყალიბებაში. ოლივერ კრომველის მხედართმთავრული ნიჭი პირველივე ბრძოლებში გამოჩნდა, რომლებშიც მან მონაწილეობა მიიღო, განსაკუთრებით კი მარსტონმურთან (1644 წ. 2 ივლისი). მისი ჯარი მეფის არმიისთვის ნამდვილ რისხვად იქცა. სწორედ კრომველის არმიამ შეასრულა უმთავრესი როლი ნეისბის გადამწყვეტ ბრძოლაში ჩარლზ I-ს წინააღმდეგ (1645 წ. 14 ივნისი). როგორც პარლამენტის პურიტანული კოალიციის ლიდერმა (ასევე ცნობილი, როგორც „მრგვალთავიანები“ – მოკლედ შეჭრილი თმის გამო) და ახალი მოდელის არმიის მეთაურმა საბოლოოდ დაამარცხა მეფე ჩარლზ I და აბსოლუტურ ძალაუფლებაზე მონარქთა მოთხოვნას ბოლო მოუღო.

1647 წელს დამარცხებული ინგლისის მეფე კუნძულ უაიტზე გაიქცა, თუმცა იგი დაკავებულ იქნა და გაასამართლეს. 1649 წლის 30 იანვარს არა მარტო ინგლისის, არამედ მსოფლიოს ისტორიაში მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა, მონარქი დაისაჯა სიკვდილით.

მონარქის სიკვდილით დასჯამ ევროპის ქვეყნებში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ინგლისის ელჩი გაძევებულ იქნა რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძის კარიდან. საფრანგეთმა გამოიწვია თავისი ელჩი ინგლისიდან. ინგლისის ელჩები მოკლულ იქნენ ჰოლანდიისა და ესპანეთის კარზე. მეტიც, ჰოლანდიამ მეფედ ჩარლზ I-ის ვაჟი, უფლისწული ჩარლზი სცნო მეფედ. ასე მოიქცა შოტლანდიაც, უფლისწული ჩარლზი სცნო მეფედ და თავის ქვეყნის კარზე მიიწვია.

მონარქის სიკვდილით დასჯის შემდგომმა პერიოდმა ნათლად დაანახა ინგლისსა და კაცობრიობას, რომ ტირანად შერაცხული ადამიანის გაქრობისთანავე ქვეყანაში არ მკვიდრდება დემოკრატიული პრინციპები და ქვეყანა არ ეზიარება საყოველთაო კეთილდღეობას.

მეფის სიკვდილით დასჯიდან მონარქია მალევე გაუქმდა, ხოლო 19 მაისს ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა. გაუქმდა სამეფო წოდება და ლორდთა პალატა, აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები გადაეცა სახელმწიფო საბჭოს.

ძალიან რთული ვითარება იყო ამ პერიოდში ინგლისში, უკვე პოპულარობით აღარ სარგებლობდა პარლამენტი, არც ჯარში და არც მოსახლეობაში. ამას ართულებდა ისიც, რომ საბჭოს უდიდესმა ნაწილმა უარი თქვა რესპუბლიკის ერთგულებაზე. ამ რთულ ვითარებაში ოლივერ კრომველი გამწონასწორებლის როლს თამაშობდა. მას ჯარი მხარს უჭერდა სამოქალაქო ომში მოპოვებული წარმატებების გამო და მას ემხრობოდა მოსახლეობის დიდი ნაწილიც.

ინგლისმა 1649 წელს დაიწყო ირლანდიის დაპყრობაზე ზრუნვა. ირლანდიისკენ დაიძრა ინგლისის ფლოტი. პარლამენტმა ირლანდიის მთავარსარდლის პოსტი ოლივერ კრომველს გადასცა იმ მიზეზით რომ მათ ეშინოდათ ოლივერს ინგლისში არ დაემყარებინა სამხედრო დიქტატურა. 1650 წელს კი კრომველი შოტლანდიის დაპყრობას შეუდგა. მან 1651 წელს დაასრულა შოტლანდიისა და ირლანდიის დაპყრობა. ამის შემდეგ ის იწყებს ,,ზღვის მეეტლეებს“, ჰოლანდიას ჩამოართვას ზღვაზე პირველობა. ინგლისის რესპუბლიკურმა პარლამენტმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო ჰოლანდიელთა ბატონობისათვის ზღვაზე და 1651 წლის 9 ოქტომბერს მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება - ,,ინგლისელი ერის ზღვაოსნობის წახალისებისა და სავაჭრო ფლოტის გაზრდის შესახებ“, რომელიც ისტორიაში შევიდა ,,სანავიგაციო აქტის“ სახელით. ის კრძალავდა ინგლისში უცხოური გემებით საქონლის შეტანას. ჰოლანდიელები ინგლისელებისგან ძალიან იაფად ყიდულობდნენ მატყლს, რისგანაც ამზადებდნენ მაუდს და ღებულობდნენ დიდ მოგებას. სწორედ ამის გამო დაიწყო ინგლის-ჰოლანდიის ომი (1652-1654 წწ.), რომელშიც ინგლისელებმა მოიპოვეს გამარჯვება და ჰოლანდიელები აიძულეს შერიგებოდნენ სანავიგაციო აქტს.

ინგლისში სერიოზული ცვლილებები ხდება. 1653 წ. 20 აპრილს ოლივერ კრომველმა დაშალა ,,ნაბოლარა“ პარლამენტი და ძალაუფლება მთლიანად იგდო ხელთ. მართალია კრომველი მანამდეც ფაქტობრივად ერთპიროვნულად მართავდა ინგლისს და აკონტროლებდა, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკას, მაგრამ ამიერიდან იგი ოფიციალურად იყო ინგლისის მმართველი. ფორმალურად ეს გაფორმდა 1653 წლის 16 დეკემბერს, ამავე დღეს იქნა მიღებული უმაღლესი ოფიცრების მიერ შედგენილი კონსტიტუცია - ,,მმართველობის იარაღი“. კრომველმა მიიღო ეს წინადადება და იგი ოფიციალურად იწოდებოდა ,,ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს ლორდ-პროტექტორად“, - ანუ რესპუბლიკის მმართველად, თანაც სამუდამოდ. ფაქტობრივად, კრომველი გახდა ინგლისის მეფე, თუმცა მას მეფე არ ერქვა.

თანამდებობის ოფიციალურად დაკავებისთანავე, კრომველმა მეტად აქტიური საგარეო პოლიტიკა წამოიწყო. მან დიდი ყურადღება მიაპყრო სკანდინავიის ქვეყნებს და მანდ გაგზავნა დიპლომატიური მისია. დიდი ძალისხმევის შემდეგ 1654 წლის 28 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება ინგლისსა და შვედეთს შორის. ინგლისისთვის მომგებიანი აღმოჩნდა ამავე წელს დადებული ხელშეკრულება დანიასთან, რომლითაც ინგლისმა მიიღო ზუნდის სრუტის (დღ. ორეზუნდის სრუტე, რომელიც იმ დროს ეკუთვნოდა დანიას) ისეთივე პირობები, როგო-

მონარქი გვირგვინის გარეშე

←

რიც ჰქონდა ჰოლანდიას. ინგლისი ამ ყოველივეს შემდეგ აგრძელებდა ომს ინგლისის ძველ მოწინააღმდეგესთან - ესპანეთთან.

საგარეო პოლიტიკაში ასევე აღსანიშნავია ის დიდი წარმატება, რასაც ინგლისი ოლივერ კრომველის ხელმძღვანელობით აღწევს. 1654 წელს კრომველმა ფრანგებს წაართვა ტერიტორია კანადაში - აკადია, ხოლო 1655 წელს ესპანელებს - იამაიკა. დიდი წარმატება მოიპოვა ინგლისმა პორტუგალიის ხარჯზე. 1654 წლის ხელშეკრულებით პორტუგალია მისი კოლონიებით ინგლისის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ამ ხელშეკრულებით ინგლისმა შეაღწია აფრიკაში, სადაც პორტუგალიელებს მნიშვნელოვანი სამფლობელოები გააჩნდათ. ინგლისის ფლოტი 1657 წელს ტენერიფესთან ამარცხებს ესპანეთს საზღვაო ბრძოლაში, რასაც ხშირად ,,უძლეველი არმადის“ განადგურებას ადარებენ.

რაც შეეხება კრომველის საშინაო პოლიტიკას, მან 1655 წელს დაყო ქვეყანა თერთმეტ სამხედრო გუბერნიად და თითოეულს სათავეში გენერალ-მაიორი ჩაუყენა (ამ შემთხვევაში ეს იყო თანამდებობა და არა სამხედრო წოდება). მათ უნდა უზრუნველეყოთ ინგლისელი ხალხის ზნეობრივი სრულყოფა, რომელიც ჩაფიქრებული ჰქონდა კრომველს. სასტიკად იკრძალებოდა სახალხო დღესასწაულები, ზეიმები. თითქმის სიკვდილით დასჯა იქნა შემოღებული ლოთობის, მრუშობის, მეძავეობის და ცოლ-ქმრული ღალატის გამო. ბრისტოლში ჯარიმას ადებდნენ ყველა მოქალაქეს, რომელიც გაბედავდა კვირა დღეს სასეირნოდ გამოსვლას. ერთ ქალაქში დაუხურავთ ყველა სამიკიტნო, ტრაქტირი, ტავერნა. ყოველივე ეს, ცხადია, ხალხის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

პროტექტორატის რეჟიმის გაძლიერების მიზნით კრომველს 1657 წელს შესთავაზეს მეფის წოდების მიღება და ზედა, ლორდთა პალატის შექმნა. ლორდ-პროტექტორმა უარი განაცხადა მეფის ტიტულის მიღებაზე, მაგრამ მიიღო მეორე წინადადება. მის საფუძველზე შეიქმნა ლორდთა ახალი პალატა, რომელიც 63 წევრს ითვლიდა. 1657 წლის 26 ივნისს კრომველი მეორედ აკურთხეს პროტექტორად.

1658 წლის 3 სექტემბერს გარდაიცვალა ლორდ-პროტექტორი ოლივერ კრომველი. ამით დამთავრდა ინგლისში უმეფობის ხანა და 1660 წელს მოხდა ტიუდორების რესტავრაცია. ოლივერ კრომველის სიკვდილამდე ინგლისი რესპუბლიკად რჩებოდა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ ლორდ-პროტექტორის ადგილი მისმა უფროსმა ვაჟმა, რიჩარდ კრომველმა დაიკავა. ამ პერიოდში ქვეყანაში საშინელი არეულობა და ქაოსი გაბატონდა. დეპუტატები შეშინდნენ ასეთი მდგომარეობით და ინგლისის ტახტზე ჩარლზ I-ის ვაჟი, ჩარლზ II მიიწვიეს. ამის შემდეგ კრომველი საფლავიდან ამოთხარეს და სახრჩობელაზე ჩამოკიდეს, როგორც ქვეყნის მოღალატე.

გოგა ჭანტურია
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

ქართველები საქართველოს ფარგლებს გარეთ – ნინო და კალისტრატე სალიები

დასაწყისი გვ. 9

კალემ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობის შედეგად შეაჯამა მის მონუმენტურ ფრანგულ ენაზე დაწერილ წიგნში „ქართველი ერის ისტორია“, რომელმაც დაიმსახურა საფრანგეთის აკადემიის სპეციალური პრემიაც კი, 1980 წელს.

1983 წელს წიგნი გამოვიდა ინგლისურ ენაზეც. „ქართველი ერის ისტორიას“ დამატების სახით დართული აქვს კ. სალიას მიერვე შედგენილი ქართული მწერლობის მიმოხილვა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, აგრეთვე მიმოხილვები ქართულ ხელოვნებისა და მუსიკისა.

ამრიგად, ეს წიგნი წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი მდიდარი ქართული კულტურის ისტორიას.

ძვ. ქართული და სომხური ენების ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი ჟან პიერ მაე იყო ერთ-ერთი, რომელმაც დაწერა რეცენზია ამ წიგნზე. იგი თავის რეცენზიას ასრულებდა სიტყვებით: „გარკვეული აზრით, ეს ნაშრომი ბევრად მეტია: იგი (ქართველი) ერის ზნეობრივი პორტრეტია“.

სალიების ოჯახის მოღვაწეობას სხვა მხრივაც ჰქონდა უდიდესი ისტორიულ–კულტურული მნიშვნელობა. მათ შემოგვინახეს საზღვარგარეთ გარდაცვლილი ზოგიერთი ქართველი მეცნიერის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პირადი არქივები, რომლებიც დღეს საქართველოშია. ერთ-ერთი ასეთი პირადი არქივი იყო გრიგოლ რობაქიძის.

როგორც ცნობილია, გრიგოლ რობაქიძემ ცხოვრების უმეტესი ნაწილი ემიგრაციაში გაატარა, რაც ართულებდა მისი საარქივო მასალის ერთად თავმოყრის პროცესს, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად არც არსებობდა. ის მარტოობაში გარდაიცვალა. ჟანდარმერიამ გარდაცვლილი მეორე თუ მესამე დღეს იპოვა. — რობაქიძესთან მისულ ფოსტალიონს კარი არავინ გაუღო, მან ჟანდარმერია გამოიძახა, ოთახის კარი შეამტვრიეს და იქ რობაქიძის გვამი დახვდათ. კალისტრატე სალიამ პარიზიდან ჩასვლა მოასწრო და არქივი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. მწერლის არქივი საარქივო სამმართველოს გადაეცა, მაგრამ დღეს ჟენევის არქივი აცხადებს, რომ ასეთი მასალა იქ არ ინახება. ალბათ, ყველასთვის იოლი წარმოსადგენია, თუ რა მნიშვნელობა აქვს გრიგოლ რობაქიძის ყოველ მცირე ჩანაწერსა თუ დეტალს. არქივის გარეშე ხომ შეუძლებელია მწერლის შესწავლა. დღეს ჩვენ რაც გვაქვს მწერლის არქივიდან 378 ერთეული — ძირითადად, კალისტრატე სალიას მონოდებულია. რასაკვირველია, საზოგადოებისთვის ისიც საინტერესო იქნება, თუ როგორ მოხვდა ეს ყველაფერი კალისტრატე სალიასთან. 200-მდე წერილი, რომლებსაც რობაქიძე კალისტრატესა და ნინოს უგზავნიდა, ცალ-ცალკე და ერთობლივად, კალისტრატე სალიასთან ინახებოდა. მიხაკო წერეთელმა (მიუნხენში ცხოვრობდა), გარდაცვალებამდე ანდერძის აღმასრულებლად კალისტრატე სალია დაამტკიცა. მისი გარდაცვალების შემდეგ მიუნხენში ჩასულმა კალისტრატემ მიხაკო წერეთლის საარქივო მასალა თან წაიღო პარიზში. ამ მასალებში კი გრიგოლ რობაქიძის მიხაკოსადმი მიწერილი 11 წერილი აღმოჩნდა. მიხაკო წერეთელს ანდერძში ერთ-ერთ თხოვნად ჩაუწერია, რომ მისი პირადი მიმოწერა გაენადგურებინათ. კალისტრატემ, რასაკვირველია, ეს არ გააკეთა და ასე გადარჩა მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობის წერილები, მათ შორის რობაქიძის მიერ გაგზავნილი, რომლებიც, შეიძლება ითქვას, უდრის მის ნაწარმოებებს. ეს რომ განადგურებულიყო, ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობა მართლაც გაღარიბდებოდა.

კალისტრატეს მიერ გამოცემულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ აქტიურად მოღვაწეობდა გრიგოლ რობაქიძე, თითქმის ყველა ნომერში იბეჭდებოდა მისი წერილები. აქედან გამომდინარე, ჟურნალის არქივში აღმოჩნდა რობაქიძის ნაწარმოებები.

ქალბატონმა ელენე მეტრეველმა შეუწყო ხელი ამ არქივის საქართველოში ჩამოტანას. იგი წლების წინ იყო ხელნაწერთა ცენტრის დირექტორი, ხშირად დადიოდა პარიზში ქართული ხელნაწერების შესასწავლად და სტუმრობდა სალიებს. სწორედ მათმა მეგობრულმა ურთიერთობამ განაპირობა შემდგომ ამ არქივის ხელნაწერთა ინსტიტუტში განთავსება.

მათი ელენე მეტრეველთან მეგობრობა დიდად ხელის შემწყობი აღმოჩნდა შემდგომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ფონდის გაფართოებაში. მოგეხსნებათ, იმ პერიოდში მეტად რთულად ხერხდებოდა სხვადასხვა ხელნაწერებისა თუ არქივების ან თუნდაც, წიგნების მოძიება, განსაკუთრებით კი, ევროპიდან. ინსტიტუტის დირექტორები ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მივლინებებიდან ჩამოეტანათ საჭირო წიგნები ცენტრისთვის, მაგრამ ეს საკმარისი არასდროს იყო. ამრიგად, სალიებმა გადაწყვიტეს ამ საქმეშიც თავიანთი წვლილი შეეტანათ. მათ გამოიჩინეს უდიდესი კეთილშობილება, პატრიოტული ნება და ხელნაწერთა ეროვნულ ინსტიტუტს შესძინეს უდიდესი ბიბლიოთეკა თავიანთი ფონდიდან.

ქალბატონმა ელო მეტრეველმა სალიები პარიზში მივლინების დროს გაიცნო, სადაც ძალიან დაახლოვდნენ. სარწმუნოა, რომ ნინო სალიას პირადი სიმპატიები ქალბატონი ელოს მიმართ გახდა ამ ფონდის შექმნის რეალური მიზეზი. რომ არა, ქალბატონი ელო, შეიძლება ეს უნიკალური ფონდი არც ჰქონოდა დღეს ხელნაწერთა ცენტრს. ამ ფონდმა შესამჩნევად ასწია ქართული მეცნიერების დონე.

სალიები ცხოვრობდნენ პარიზის ცენტრში, ლუი ბერლიოზის ქუჩაზე, სამსართულიან სახლში. ბიბლიოთეკის შესაძენად მათ დააგირავეს თავისი სახლის მესამე სართული და ამ ფულით დაიწყეს წიგნების შეძენა. როგორც ცნობილია ნინო სალიამ ამ ფონდში 10000 $ გადაიხადა ამ წიგნების შესაძენად. ფონდში წარმოდგენილია უძვირფასესი ლექსიკონები, პატრისტიკული ლიტერატურა, ხელოვნებათმცოდნეობა, ისტორია, ენათმეცნიერება და უამრავი სხვა რამ, ყველაფერი ის რაც ხელნაწერთა ინსტიტუტის პროფილს მიესადაგებოდა. ნინოს და კალეს ხელნაწერებთან ურთიერთობა ჯერ კიდევ ილია აბულაძის დროს ჰქონდათ, თუმცა ფაქტია, რომ ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გამყარდა ელენე მეტრეველის დროს. ერთ-ერთ წერილში ნინო ელენეს წერდა რომ, „ავადმყოფობის და მოხუცებულობის გამო ვეღარ ვახერხებ მუშაობას, ამიტომ გადავწყვიტე ჩემი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი გადავცე თქვენდამი არსებულ ინსტიტუტს.“

მათ და ელენე მეტრეველს თანდათან უფრო ახლო ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. მოხუცებულობის დროს ფაქტობრივად, ქალბატონი ელენე ერთადერთი იყო ვის იმედადაც იყვნენ დარჩენილები. იგი ხშირად ურეკავდა მათ. მივლინებების დროს, კი, როგორც აღვნიშნეთ უკვე, საფრანგეთში ხშირად სტუმრობდა. მათ მემკვიდრედ ელენე მეტრეველი ითვლებოდა. ანდერძით ერთ-ერთის (რომელიც „დაასწრებდა“) გარდაცვალების შემდეგ მთელი ქონება მთლიანად ხელნაწერთა ინსტიტუტს გადაეცმოდა, სამაგიეროდ მეორეზე, მზრუნველობის პასუხისმგებლობა ცენტრს უნდა აეღო, როგორც მეურვეს.

მათგან პირველი კალისტრატე სალია გარდაიცვალა, 1986 წლის 25 ივლისს, პარიზში. კალე, მისი ანდერძის თანამხად, დიდუბის პანთეონში განასვენეს და ჭირისუფლებები, დაქვრივებული ნინო და ხელნაწერთა ინსტიტუტი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ, ნინოს სურდა ქმრის გვერდით დაეკრძალათ,რაც სამწუხაროდ ვერ მოხერხდა.

მაგრამ მისი ფერფლი დღეს საფრანგეთის ერთ-ერთ კრემატორიუმშია გადამალული.

ას წელს მიტანებულ ნინო სალიას მეურვედ ქართველი ემიგრანტი, შალვა თაყაიშვილი დაუდგა. მან მოხუც ქალს პარიზში, საბჭოთა კავშირის საელჩოს გვერდით მდგარი ვილა გააყიდინა და ეიფელის კოშკთან ექვსოთახიან ბინაში გადაიყვანა. კალისტრატე სალიას დანაზოგიდან სამი მილიონი ფრანკი ამ ემიგრანტის ხელში მოხვდა. როცა პარიზში მოხუცი ნინო სალიას მონახულება დავაპირე, მასთან შესვლა ძლივს მოვასწარი. მეურვე ამ შეხვედრის კატეგორიული წინააღმდეგი იყო.

შალვა თაყაიშვილს საქართველოსთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი აქვს.

სალიების იურიდიულ მემკვიდრედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი ითვლება. მეურვე გაუჩინარებულია. შალვა თაყაიშვილმა გაყიდა პარიზის ბინა, ლევილში აღარ ჩადის. არავინ იცის სად წავიდა კალისტრატე სალიას დანაზოგი. სამი მილიონიც გაუჩინარებულია და ის დარჩენილი თანხაც, რომელიც სალიას ანგარიშზე იყო და დღეს საქართველოს კუთვნილებაა წესით.

ამრიგად, ამ ორი უდიდესი პატრიოტი მოღვაწის, საკუთარ სამშობლოზე და მის კულტურაზე შეყვარებული პიროვნებების წვლილი ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებაში, ქართველების სახელის ევროპაში და საერთაშორისო მასშტაბით გატანაში, ასევე, უძვირფასესი ხელნაწერებისა და უიშვიათესი წიგნების, ქართველ მოღვაწეთა არქივების გადარჩენის საქმეში, უდიდესი და შეუფასებელია. დიდი მუშაობა გასწიეს საზღვარგარეთ ქართული კულტურის კვლევისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში.

მათ უდიდესი წვლილი შეჰქონდათ ქართული კულტურისა და ისტორიის უცხოელთათვის გაცნობით საქმეში. სრულიად უანგაროდ ემსახურებოდნენ საქართველოსგან მოწყვეტილები, სამშობლოს ნოსტალგიით აღვსილნი ქართული კულტურის დიად საქმეს და უდიდესი დამსახურება მიუძღვით საკუთარი ქვეყნის წინაშე. მხოლოდ ის ფაქტი შეგვიძლია საკმარისად მივიჩნიოთ, რომ თავიანთი ჟურნალის ირგვლივ შეძლეს შემოეკრიბათ ევროპის გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც მთელ მსოფლიოს აცნობდნენ ქართველი ხალხის უძველეს კულტურას.

კალისტრატე და ნინო სალიების სურვილით 1980 წელს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადაეცა მათი პირადი ბიბლიოთეკა და ნივთები. მათ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს შესწირეს უძვირფასესი ბიბლიოთეკა, რომლის ბაზაზეც შეიქმნა სალიების კაბინეტი–ფონდი. წიგნადი ფონდი განსაკუთრებით მდიდარია ქართველოლოგიური და ორიენტალისტური ლიტერატურით, ლექსიკონებით, ენციკლოპედიებითა და სხვა უნიკალური გამოცემებით, რომლებიც მთელს მსოფლიოში ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის მიჩნეული. აქვე არის, 1400-ზე მეტი ძვირფასი წიგნი ფრანგულ, ბერძნულ, ესპანურ, იტალიურ, გერმანულ, ლათინურ და სხვა ენებზე.

დღეს ხელნაწერთა ცენტრში გახსნილი ნინო სალიას სახელობის ბიბლიოთეკით ბევრი მეცნიერი სარგებლობს. აქ დაცულია 4400 ერთეული წიგნი და პერიოდული გამოცემა სხვადასხვა ენებზე. მემორიალურ კაბინეტში ინახება კალისტრატე და ნინო სალიების პირადი ნივთები, რომლებსაც სამუზეუმო ექსპონატის სტატუსი აქვთ მინიჭებული.

ელენე ჭირაქაძე
თსუ-ს მესამე კურსის სტუდენტი

(*ავტორს გამოყენებული ლიტერატურა მითითებული აქვს* - რედ.)

ახალი დროების სექტები და მწვალებლობები რუსეთში

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც თავი დავაღწიეთ რუსული იმპერიის კლანჭებს. მიუხედავად კვლავ არსებული რუსული ოკუპაციისა, ქვეყანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზეა შემდგარი.

გაიძვერა დამპყრობელმა დაგვიტოვა თავისი ნარჩენები - კომუნისტური ნომენკლატურა რენეგატებისა მეხუთე კოლონის სახით, რომლებიც აპელირებენ და ვაჭრობენ ე.წ. ერთმორწმუნეობით, რაიც საზოგადოების ერთ ნაწილზე მეტნაკლები წარმატებით მოქმედებს და თავის ბადეში ახვევს.

ასეთ ვითარებაში, საეროს რომ თავი დავანებოთ, სდუმს სასულიერო ელიტა, უფრო მეტიც, ბევრი მათგანი გადაიქცა რუსული იმპერიალიზმის რუპორად და ისედაც თავგზაარეულ მრევლს მიაქანებს მონობის ჭაობში.

ჩვენთვის გასაოცარი და საკვირველი ისაა, რომ დუმს ჩვენი სამეცნიერო წრეების უმრავლესობაც, ვისაც ხელეწიფება, მეტ-ნაკლებად ნათელი მოჰფინოს ბურუსში გახვეულ ისტორიას

ამიტომ, იძულებული ვხვდებით, შეძლებისდაგვარად თავად ავიმაღლოთ ხმა სიცრუესა და სიყალბეზე.

ჩვენ, წინა წერილებში, შევეცადეთ განგვეხილა „ერთმორწმუნე“ რუსეთის საერო თუ სასულიერო პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის მიმართ. წარმოგვეჩინა რუსული ეკლესიის ისტორიის ის ფურცლები, რომელსაც ჩვენში ჯერაც ტაბუ ადევს. ამჯერად კი მოკრძალებით შევეცდებით წარმოვაჩინოთ „ერთმორწმუნე“ დამპყრობლის ეკლესიის წიაღში საუკუნეების მანძილზე არსებული ერესი - მწვალებლობა, რაიც შორს დგას ჭეშმარიტი ქრისტიანობისაგან.

საუბარი გვექნება რუსულ სექტებზე, რომლებიც იშვნენ მოსკოვიის სასულიერო ცხოვრებაში.

მე-16-ე მე- 17-ე საუკუნეებში მოსკოვიის ეკლესიაში დაიწყო ე.წ. რეფორმების პროცესი, რომლის შედეგადაც ის შორდებოდა ქალკედონურ მართლმადიდებლობას. ამ „რეფორმების“ შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა წინა პუბლიკაციებში.

პეტრე პირველის ზეობის დროიდან ეკლესია გადაიქცა საიმპერატორო კარის ფარდულად, რომელსაც სათავეში დაესვა სამხედრო ჩინის მქონე ობერპროკურორი.

მოსკოვიის რეფორმირებულმა ეკლესიამ ბიძგი მისცა ქვეყანაში სხვა მრავალი მწვალებლობის წარმოშობას.

ერეტიკული მოძრაობები რუსეთში

1. სტრიგოლნიკები, XIV საუკუნე

რუსეთში პირველი მასობრივი ერესი იყო სტრიგოლნიკები, რომლებიც გაჩნდნენ ფსკოვსა და ნოვგოროდში მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში. მათი მთავარი იდეოლოგები და ხელმძღვანელები იყვნენ ფსკოველი დიაკვნები კატპი და ნიკიტა.

სტრიგოლნიკობა, მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიკოსების მიერ განიხილება, როგორც გაყოფა რუსული ეკლესიისა. ამომწურავი ინფორმაცია სტრიგოლნიკობის შესახებ არ არსებობს, რამეთუ იდეოლოგთა ნაშრომები განადგურებულ იქნა ხელისუფლების მიერ. საეკლესიო კრიტიკოსები მათ იდეოლოგიას უკავშირებდნენ, ან იუდაიზმს, ან კიდევ კათოლიციზმს.

სტრიგოლნიკები ოფიციალურ ეკლესიას გამოეყვნენ იმის გამო, რომ არ სურდათ ეცნოთ მათი თანამედროვე ეპისკოპოსები და მღვდლები ჭეშმარიტ წინამძღვრებად. ისინი უარყოფდნენ საეკლესიო იერარქიას და გამოხატავდნენ უკმაყოფილებას რუსეთის იმდროინდელ ეკლესიაში გამეფებულ უზნეობაზე; ისინი სასულიეროებს ბრალს დებდნენ სიმონიაში ე.ი. საეკლესიო თანამდებობებისა და სიწმინდეების გაყიდვაში, ვაჭრობაში. მათი იდეალი იყო უპოვარი ბერი.

თავიდან სტრიგოლნიკები არ გამოდიოდნენ მართლმადიდებლური ეკლესიის დოგმების წინააღმდეგ. მათ აძრწუნებდათ სიმონია, დამკვიდრებული ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც საბერძნეთში ასევე რუსეთშიც. ისინი წინააღმდეგები იყვნენ ხელდასმის გადასახადისა, ისინი ეჭვის ქვეშ აყენებდნენ საიდუმლოებათა არსს, რომელსაც ეკლესიაში ასრულებდნენ უღირსი მღვდლები. სტრიგოლნიკები მხარს უჭერდნენ მკაცრ ასკეტიზმს, რომელიც უარყოფდა სიმდიდრესა და ფუფუნებას.

თანდათან მათი ქმედებები სულ უფრო და უფრო ცილდებოდა საეკლესიო დოგმებს. ეჭვქვეშ აყენებდნენ ზოგიერთ სახარებისეულ სწავლებას. უარყოფდნენ ხატებს, არ ასრულებდნენ წმინდა მამათა მიერ დაწესებულ ლოცვებს და არ აღიარებდნენ სახარებაში გადმოცემულ ქრისტეს აღდგომას.

ნოვგოროდში სტრიგოლნიკების პრობლემის აღმოსაფრხველად მოიწვიეს საეკლესიო კრება და გაატარეს მკაცრი ზომები. 1375 ნოვგოროდელი სტრიგოლნიკების ხელმძღვანელები გადასცეს ანათემას და დასაჯეს; გადმოცემის მიხედვით ისინი ჩაახრჩვეს მდინარე ვოლხოვში, მაგრამ ცალკეულმა ჯგუფებმა მაინც იარსებეს XV საუკუნემდის.

იდუეველთა ერესი, XV საუკუნე

იდუეველთა ერესი - მართლმადიდებლურ-საეკლესიო იდეური მიმდინარეობაა, რომელმაც XV საუკუნეში მოიცვა რუსული საზოგადოების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ნოვგოროდსა და მოსკოვში. დამაარსებლად ითვლება იუდეველი ქადაგი ზაქარია, რომელიც ნოვგოროდში ჩავიდა 1470 წელს წმინდა ლიტვის ორდენის მთავარ მიხეილ ოლენკოვიჩთან ერთად.

მთელი წლის განმავლობაში ის ესაუბრებოდა მწირი განათლების მქონე ნოვგოროდელ ხუცესებს. ამ საუბრების შედეგად კი ბევრმა ნოვგოროდელმა იერარქმა დაიწყო ხაზგასმით აღნიშვნა ძველი აღთქმის უპირატესობისა ახალ აღთქმაზე. თანდათანობთ ძველი აღთქმისა და იუდაიზმის გავლენით ჩამოყალიბდა მათი ღვთისმსახურებაც.

„იუდეველები“ ანუ „სუბოტნიკები“ იცავდნენ ძველი აღთქმისეულ სწავლებებსა და ელოდნენ მესიის გამოჩენას, უარყოფდნენ მართლმადიდებლური სწავლების წმინდა სამებას, იესო ქრისტეს ღვთიურ ბუნებას და მაცხოვრის როლს, მის მკვდრეთით აღდგომას და ა.შ. ბიბლიურ ტექსტებსაც მწარედ აკრიტიკებდნენ და დასცინოდნენ კიდეც. ამას გარდა, ერეტიკოსები უარს ამბობდნენ მართლმადიდებლური ეკლესიის ბევრი ტრადიციული პრინციპის აღიარებაზე, მათ შორის ბერმონაზვნობის ინსტიტუტზე და ხატთაყვანისმცემლობაზე.

ძეცდომილმა დიდმა მთავარმა ივანე მესამემ ისინი მოსკოვში მიიწვია, განამწესა წინამძღვრებად კრემლის უსპენსკისა და მთავარანგელოზის ტაძრებში. მთავართან დაახლოებული ყველა პიროვნება, დაწყებული მთავრობის ხელმძღვანელი კანცლერ თეოდორ კურიცინიდან (ივანე მესამის საგარეო უწყების ხელმძღვანელი), რომლის ძმაც გახდა ერეტიკოსთა ბელადი, ჩავარდნენ მწვალებლობაში. იუდაიზმი მიიღო, აგრეთვე დიდი მთავრის რძალმა ელენა ვოლოშანკამ. ბოლოს, მოსკოველი წმინდა მსახურების პეტრეს, ალექსეისა და იონას კათედრაზე დასვეს მწვალებელი მიტროპოლიტი ზოსიმე.

ამ ერეტიკოსთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა იოსებ ვოლოცკი, მისი ინიციატივით ჩატარდა საეკლესიო კრება, რომელმაც მკაცრი განაჩენი გამოუტანა მწვალებელთა ხელმძღვანელებს. მიუხედავად ამისა ამ მწვალებლობამ თავისი დაღი დაასვა რუსეთში ქრისტიანულ რწმენასა და წეს-ადათს.

ახალი დროების სექტები და მწვალებლობები (XVI-XX სს.)

როგორც ცნობილია 1560-1650 წლებში, რუსეთში საეკლესიო ორგანიზაციის განმტკიცების მიზნით, პატრიარქმა ნიკონმა დაიწყო საეკლესიო-აღმსარებლობითი რეფორმის გატარება, რაზეც ჩვენ წინანდელ წერილებში ვისაუბრეთ...

ახალი საეკლესიო წესების შემოღებით, აგრეთვე მათი შემოღების ძალადობრივი ღონისძიებებით უკმაყოფილება რუსულ ეკლესიაში განხეთქილების მიზეზი გახდა, რის ნიადაგზეც წარმოიშვა ძველმოწესეთა მრავალრიცხოვანი მიმდინარეობები. მთელმა რიგმა მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა იწყეს ეკლესიიდან ჩამოცილება და ქმნიდნენ თავიანთ თემებს. განრიდებული თემები იწყებენ თავიანთი რწმენის სისწორეზე განსჯას, ბიბლიის თავისებურად აღქმასა და ახსნას. ყოველივე ამან კი უკვე შემდგომ საუკუნეში განაპირობა ერეტიკული მოძრაობების ჩამოყალიბება სექტებად.

დაახლოებით ამ დროიდან იწყება რუსეთში ისეთი ნაირსახოვანი რელიგიური მიმდინარეობის გაჩენა როგორიცაა духовное христианство. მათ მიმდევრებს კი უწოდებდნენ სულიერ ქრისტიანებს, მაგრამ მათი სულიერება ამ საკითხში მეტად სადაო იყო.

ამ მოძრაობამ ფართოდ გაშალა მხრები; მკვლევართა აზრით ისინი მილიონამდე იყვნენ. ძირითადად ამ მიმდინარეობაში იყვნენ გლეხები და ქალაქის მოსახლეობის დემოკრატიულად განწყობილი ფენები.

სულიერი ქრისტიანობა არასდროს იყო ერთიანი. ის იყოფოდა სხვადასხვა განშტოებებად. „სულიერ ქრისტიანებში“ ძირითადი მიმდინარეობები იყო:

ხლისტები
სკოპცები
დუხობორები
მალაკანები

ყველაზე უხნეს სექტას „სულიერი ქრისტიანებისა“ წარმოადგენდნენ ხლისტები, რომლებიც ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილია რომანიდან „დათა თუთაშხია“, თავიანთ თავს კი ყოველთვის უწოდებდნენ „ღვთის ადამიანებს“. ლიტერატურაში კი ეს მოძრაობა ცნობილია, როგორც „ქრისტესმოწამენი“, მაგრამ ხალხში მეტადრე ცნობილია, როგორც ხლისტობა.

ხლისტები (XVII-XVIII სს.)

ხლისტობა - „სულიერი ქრისტიანების“ ერთ-ერთი მისტიური სექტაა, რომელიც აღმოცენდა მეჩვიდმეტე საუკუნეში, ძველმოწესეებთან ერთად. სექტანტები თვით არ იყენებდნენ ამ სახელწოდებას და საწყენად მიაჩნდათ. ისინი თავიანთ თავს უწოდებდნენ „ღვთის შვილებს“, რომლებშიც თავიანთი კეთილშობილი ცხოვრების გამო ცხოვრობს თვით ღმერთი. თანამედროვე ღვთისმეტყველებაში გამოიყენება ერთმანეთის საპირწონე ორი ტერმინი „ხლისტები“ და „ქრისტეს მოწამენი“.

ხლისტობის ისტორია

სექტის დამაარსებლად ითვლება სამხედრო სამსახურიდან გაქცეული კოსტრომის გუბერნიის გლეხი დანილა ფილიპოვი. ის მორწმუნე კაცი იყო და მის ოჯახში ინახებოდა ბევრი ძველმოწესეთა წიგნი. როგორც გადმოცემა ამბობს, ერთხელ მას უფლის ხილვა ჰქონია, მან შეაგროვა ყველა ეს წიგნი, ჩაყარა ტომარაში და გადაუძახა ვოლგაში და განაცხადა - არც ძველი და არც ახალი წიგნები ცხონებამდის არ მიგვიყვანსო, გვაცხოვნებს „თვით უფალი სული წმინდაო“. 1645 (სხვა ვერსიით 1631) წელს მან თავი გამოაცხადა „ყოვლადსახიერად“, „დიდებულ ღმერთად“.

კოსტრომის, ვლადიმირის და ნიჟეგოროდის გუბერნიებში ქადაგებისას მან ბევრი მიმდევარი გაიჩინა. ვლადიმირის გუბერნიაში მას ერთგულ მსახურად აეკიდი ივან სუსლოვი. 1649 წელს დანილა ფილოპოვმა ის აღიარა თავის „საყვარელ შვილად, იესო ქრისტედ“.

სუსლოვმა შეირთო აკულინა ივანეს ასული და უწოდა მას თავისი „ღვთისმშობელი“, შეაგროვა 12 „მოციქული“ და და გაგრძელა „სავაოფის“ მოძღვრების გაცხოველებული ქადაგება. ნიკონის რეფორმით გაღიზიანებულ გლეხობას უშურველად სწამდათ, რომ დადგა „ბოლო ჟამი“ და ქრისტე სუსლოვის სახით მოევლინა მიწას, თავდავიწყებით ეთაყვანებოდნენ სუსლოვს, ფერთხით ეცემოდნენ და კოცნიდნენ ხელზე.

მალე სუსლოვი გადავიდა მოსკოვში, სადაც მისმა „სწავლებამ“ ასევე ბევრი მომხრე შეიძინა არა მარტო ერში, არამედ მონასტრებშიც. კერძოდ, ხლისტობის მიმდევრები გაჩნდნენ ნიკიტინისა და ივანოვოს მონასტრებში. მოსკოვში მან შეიძინა სახლი, რომელსაც „ღვთის სახლს“, „სინის სახლს“ უწოდებდა, ასევე „ახალ იერუსალიმსაც“. ეს სახლი გახდა ხლისტების თავშეყრის უმთავრესი ადგილი. 1699 წელს მოსკოვში ჩავიდა „ყოვლადსახიერი“ დანილა ფილიპოვი, მაგრამ ერთ კვირაში გარდაიცვალა, ხლისტების რწმენით კი აღევლინა ცად.

სუსლოვის სიკვდილის შემდეგ ქრისტედ შერაცხეს პროკოფი ლუკინი, ერთერთი მსროლელი, რომელიც მსროლელთა ჯანყის შემდეგ გაასახლეს ნიჟეგოროდის გუბერნიაში. ის ქადაგებდა სექტის სწავლებას იმ გუბერნიაში და დაარსა ხლისტების პირველი თემი იაროსლავის გუბერნიაში. როგორც სუსლოვი, ასევე ლუკინიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ხლისტებს შორის და ფლობდა შეუზღუდავ ძალაუფლებას., მასზედ ისე ლოცულობდნენ, როგორც ხატზე, მისი გამოჩენისას გაჰყვიროდნენ „ხელმწიფე, ხელმწიფე“.

1732 წლისთვის ხლისტობის მიმდევრები უკვე მოსკოვის რვა მონასტერში იყვნენ. ლუკინის ცოლმა კი ხლისტების „სწავლება“ გაავრცელა ივანოვოს ქალთა მონასტერში, სადაც მისი სიკვდილის შემდეგ მონაზონი ანასტასია აღიარეს ახალ „ღვთისმშოლად“.

გაგრძელება გვ. 18

„სამი მეფის სატრფო“

დღევანდელ სტატიაში ერთ მეტად უცნაურ, საინტერესო ამბავს შევეხებით ქალზე, რომლის გამოც მეფე-მთავრები ერთმანეთს ეომებოდნენ, დიახ ერთმანეთს ეომებოდნენ! სანამ უშუალოდ ამ ამბავს გავეცნობით, მანამდე თვალი გადავავლოთ წინარე პერიოდის მიმდინარე მოვლენებს, იმ ქაოსს, რომელიც მაშინდელ საქართველოში ტრიალებდა.

XVII საუკუნის საქართველოს ლანდიც კი არ იყო დარჩენილი ერთ დროს ძლიერი იმ ქვეყნისგან, რომელიც რეგიონს აკონტროლებდა, ქვეყანა დაშლილი იყო სამეფო-სამთავროებად, მიმდინარეობდა შიდადაპირისპირებები, არავის ადარდებდა ქვეყნის ბედი, ჩვენი მეფე-მთავრები, სამწუხაროდ დროს არ იშურებდნენ, რომ ერთმანეთი დაეგლიჯათ, ნებისმიერ სიტუაციას მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდნენ და არავინ ფიქრობდა საქართველოზე. ბევრი მედროვე აღმოჩნდა, მათ ძირითად ინტერესს სიმდიდრე წარმოადგენდა, ქვეყანაში მძვინვარებდა ტყვეთა სყიდვა, რომელშიც რიგით ადამიანებთან ერთად მონაწილეობდნენ სამეფო ხელისუფალნიც, მათ ეს უფრო ეხერხებოდათ, ვიდრე ქვეყნისთვის თავის დადება. ამ ყველაფერს კარგად იყენებდა ჩვენი „კეთილი მეზობლები“ ირანი და ოსმალეთი, ამ პერიოდის გაცნობისას რწმუნდები თუ რა მორალური და ზნეობრივი დაქვეითების გზას ადგა ქვეყანა.

იმერეთის სამეფოში 40 წლის მანძილზე (1660-1700) 19-ჯერ შეიცვალა ხელისუფალი, ეს ფაქტი კარგად აჩვენებს თუ რა ანარქია სუფევდა, სამეფო მმართველობისთვის დაპირისპირებები იყო გურიასა და სამეგრელოშიც, შედარებით სტაბილური სიტუაცია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზი ზის.

იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660) გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ერთადერთი ვაჟი ბაგრატ IV, ის ერთობ საინტერესო პიროვნებაა იმერეთის სამეფოს ისტორიაში, სხვადასხვა ინტერვალით მას ოთხჯერ მოუწია გამეფება (1660-1661, 1663-1665, 1669-1678, 1679-1681)

ბაგრატმა თავისი დედინაცვალის, დედოფალ დარეჯანის სურვილისამებრ ცოლად შეირთო დარეჯანის ძმისწული ქეთევანი (კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის ვაჟის დავითის ასული). მაგრამ მოხდა ისე, რომ დარეჯანი მეფეს აუჯანყდა, ტახტიდან ჩამოაგდო, დააბრმავა და ცოლიც წაართვა.

ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზი გადადის დასავლეთ საქართველოში და ერევა მათ საშინაო საქმეებში, მისი ძალისხმევით სამეგრელოს მაშინდელი მთავრის ვამეყ III დადიანის (1658-1661) ნაცვლად ტახტზე ადის ლევან II- ის (სამეგრელოს მთავარი 1611-1657) ძმისწული შამადავლე იოსების ძე, რომელმაც ბიძის პატივსაცემად ლევანი დაირქვა (ლევან III, 1661-1680 წ.წ.) მასთან ქართლის მეფე ამყარებს მატრიმონიალურ კავშირს, ცოლად შერთავს ძმისწულს, კონსტანტინეს ასულ თამარს. არა ერთი წყარო საუბრობს ამ ქალის სილამაზის და მომხიბვლელობის შესახებ, ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ შარდენი წერდა: „მას, რა თქმა უნდა, ბრალი მიუძღოდა იმ გრძნობების აღძვრაში, რომელსაც მნახველში იწვევდა. იგი ვნებიანი, ნაზი, მიბნედილი თვალებით თითქოს მოითხოვდა კიდეც ტრფიალს და იმედსაც აძლევდა. თამარი ყველას იზიდავდა თავისი გარეგნობითა და საუბრით“. ვახტანგ მეხუთეს იმერეთის ყოფილი მეფე აწ უკვე დაბრავებული ბაგრატ მეოთხე თბილისში მიჰყავს, ხოლო იმერეთის დახტზე სვამს თავის 14 წლის ვაჟს არჩილს, მაგრამ მოვლენები მათდა სამწუხაროდ სხვაგვარად ვითარდება, როგორც ცნობილია 1639 წელს დაიდო ირან-ოსმალეთის ზავი, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველო ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალად იყო აღიარებული. ქართლის მეფის დასავლეთ საქართველოში გაბატონება ოსმალეთმა თავის საქმეებში ჩარევად მიიჩნია და მოითხოვა არჩილის უკან გაწვევა. ვახტანგს სხვა გზა აღარ აღმოაჩნდა, მოერიდა სიტუაციის გამწვავებას, თავისი ვაჟი გამოიხმო და იმერეთში დააბრუნა ბრმა ბაგრატ მეოთხე, ეს მისი მეორე გამეფებაა იმერეთის ტახტზე. ასევე აღსანიშნავია, რომ ტყვეობისას შაჰნავაზმა მას ცოლად შერთო თავისი მეორე ძმისწული, თამარის და თითია (ან თათია). ბაგრატი სანამ იმერეთში ჩავიდოდა მცირე ხნით ტახტი დაისაკუთრა გურიის მთავარმა (1658-1664) დემეტრე გურიელმა, ბაგრატი მაინც ახერხებს ტახტის დაბრუნებას.

იმერეთის მეფის წინააღმდეგ გამოდის სამეგრელოს მთავარი ლევან III, თუმცა იგი არა მარტო მარცხდება ბაგრატთან, არამედ ტყვედაც ჩაუვარდება მას. როგორც ჩანს იმერეთის უსინათლო მეფეს ბევრი რამ სმენოდა მთავრის მეუღლის გარეგნობისა და სილამაზის შესახებ, სამეგრელოს მთავარს უყვარდა ცოლი, მაგრამ მას იმერლებმა „მახე დაუგეს“, მოაწყვეს ისე, რომ ბაგრატის და თინათინი მთავრის სარეცელში აღმოჩენილიყო, შემდეგ კი აიძულეს ცოლს გაშორებოდა და მასზე დაქორწინებულიყო. თინათინი ბაგრატის კარისკაცის გოშაძის ნაცოლარი გახლდათ. ამ შემთხვევას ხელიდან ვერ გაუშვებდა იმერეთის მეფე, ის შორდება თავის მეუღლეს და ირთავს ლევან მესამის ყოფილ ცოლს, როგორც ვიცით თამარი ამავე დროს ბაგრატის ცოლის და იყო, მაგრამ ამ ფაქტს მისთვის ხელი სულაც არ შეუშლია.

შიდა არეულობებისა და დაპირისპირებების შემდეგ ბაგრატს კვლავ უწევს გვირგვინის დათმობა, თუმცა 1669 წელს იბრუნებს და მესამედ ადის იმერეთის სამეფო ტახტზე, სამეგრელო კვლავ იმერეთის წინააღმდეგ გამოდის, ლევან მესამეს თამარის დაბრუნება სურს, მაგრამ ამჯერადაც მარცხდება; ბაგრატ მეოთხემ დაინდო სამეგრელოს მთავარი, ის ხომ მისი სიძე იყო, ფიცი დაადებინა და გაუშვა. სამეგრელოს მთავარს ცუდი ურთიერთობა ჰქონდა მეუღლესთან თინათინთან, ამაზე ჟან შარდენიც საუბრობს: „მთავართან არ ცხოვრობდა, რადგან მთავარი ვერ ეთვისებოდა თავის მეუღლეს და ჭირივით ძულდა იგი, ეს ქალი მას ძალად შეერთო“.

ამ ამბების შემდეგ ასპარეზზე გამოდის თამარ დედოფლის სილამაზის კიდევ ერთი თაყვანისმცემელი გურიის მთავარი გიორგი III გურიელი, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს გურიელი: „იყო კაცი მხნე, შემმართებელი, უღვთო, მესისხლე და ტყვის მსყიდველი უწყალო“. იმისათვის, რომ ბაგრატ მეოთხეს გურიელთან კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა გიორგი მესამეს მიათხოვა თამარისგან ნაშობი საკუთარი ქალიშვილი დარეჯანი.

იმერეთის ტახტის დაკავების დაუძლეველი სურვილი ამოძრავებდა ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის ვაჟს არჩილს და ის უკავშირდება სამეგრელოს მთავარს, ეს უკანასკნელი ახალციხის ფაშას დახმარებით იმერეთიდან აძევებს ბაგრატ მეოთხეს, ტახტს იკავებს არჩილი, ამ ამბების მიმდინარეობისას დედოფალი თამარი იმყოფება სკანდეს ციხეში. არჩილმა ციხე აიღო, თამარი კი ლევან მესამე დადიანს დაუბრუნა, მაგრამ ეს დაბრუნება დროებითი აღმოჩნდა; 1679 წელს ბაგრატ მეოთხემ იმერეთის ტახტი მეოთხედ და ამჯერად საბოლოოდ დაიბრუნა, პირველი, რაც მან გააკეთა იყო ის, რომ თავს დაესხა ლევან დადიანს და თამარი წაართვა, თუმცა დედოფლის ისტორია ამით არ დასრულებულა, 1681 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ IV გარდაიცვალა. იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდებას ახერხებს გურიის მთავარი გიორგი III გურიელი, გამეფებისთანავე ეყრება ცოლს დარეჯანს და საკუთარ სიდედრზე თამარზე ქორწინდება. სამეგრელოს მთავარი ლევან მესამე არც ამჯერად ყრის ფარ-ხმალს, გაილაშქრებს გიორგი გურიელის წინააღმდეგ და ამარცხებს კიდეც მას, თუმცა მას აღარ დასცალდა, თამარ დედოფალი ამავე პეროდში 1683 წელს გარდაიცვალა, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი წერს ის მშობიარობას გადაყვა.

ასე დასრულდა სილამაზით ცნობილი ქართველი ქალი-დედოფლის ისტორია, რომლის გარეგნობამ დასავლეთ საქართველოში არსებული სამივე დიდი პოლიტიკური ერთეულის ლიდერები (იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის) ერთმანეთს გადაჰკიდა.

ვიტალი მაჭავარიანი
თსუ ისტორიის ფაკულტეტის
მესამე კურსის სტუდენტი

ჯანმრთელობის გვერდი

ათეროსკლეროზი – იმკურნალეთ სანამ გვიან არაა. რეცეპტი, რომელიც იდეალურ შედეგს მოგცემთ

ათეროსკლეროზი ქრონიკული დაავადებაა, რომლის დროს არტერიის კედლები სქელდება, ეშვება და სისხლის მიმოქცევა ძნელდება.

ეს დაავადება, ძირითადად, შუახნის და ასაკოვან ადამიანებს ემართებათ, თუმცა არ არის გამორიცხული, ათეროსკლეროზული ცვლილებები ბავშვებსაც (და ახალშობილებსაც) აღმოაჩნდეთ.

განსაკუთრებით სარისკოა ასაკის (35 წლის ზემოთ) და სტრესის თანხვედრა. დიდი მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობით ფაქტორსაც. ათეროსკლეროზის განვითარებას ხელს უწყობს ზოგიერთი დაავადებაც, მათ შორის – შაქრიანი დიაბეტი, სიმსუქნე, პოდაგრა, ნაღველკენჭოვანი დაავადება. დაავადების კიდევ ერთი რისკ-ფაქტორია ცხოველური ცხიმის ჭარბი მიღება.

იმისთვის, რომ ათეროსკლეროზი თავიდან აირიდოთ და სისხლძარღვები გაწმინდოთ გირჩევთ ამ ორი ეფექტური რეცეპტით იხელმძღვანელოთ.

რეცეპტი #1

3 ს/კ ასკილის ნაყოფს შეურიეთ 5 ს/კ დაქუცმაცებული გირჩი და დაასხით 3 ჭიქა წყალი. ნაზავი აადუღეთ და 10 წუთით ნელ ცეცხლზე დატოვეთ. 4 თვის განმავლობაში ყოველ დღე თბილი ნაყენი მიიღეთ.

გახსოვდეთ, რომ სისხლძარღვების მოწესრიგება დაგეხმარებათ იმაშიც, რომ მშვიდად, ყოველგვარი შფოთვის გარეშე იძინოთ.

რეცეპტი #2

1/3 ჭიქა სელს დაამატეთ 1 ლ. წყალი აადუღეთ, გააჩერეთ მთელი ღამით. შემდეგი დილიდან კი 5 დღის განმავლობაში 1/3 ჭიქა დილით უზმოზე და საღამოს ჭამის წინ მიიღეთ.

იმისთვის, რომ აშკარა შედეგი შენიშნოთ გირჩევთ, ჩაიტაროთ 15 დღიანი კურსი. შემდეგ 3 თვე დაისვენეთ და კურსი თავიდან ჩაიტარეთ.

http://aww.ge/atherosklerozi-imkurnaleth-sanam-gvian-araa-retsepti-romelits-idealur-shedegs-mogtsemth/

თვალები დახუჭეთ და ცალი ფეხი აწიეთ - ჩინური მედიცინა ამ ვარჯიშს სასწაულმოქმედს უწოდებს

ხერხემალთან და კიდურებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოცენებისას ტრადიციული ჩინური მედიცინის წარმომადგენელი ექიმები მიიჩნევენ, რომ ეს პროცესი შინაგან ორგანოებს შორის ჰარმონიის რღვევის შედეგია. ამ ჰარმონიის აღსადგენად ჩინური მედიცინა მეტად მარტივ და ამავე დროს საოცრად ეფექტურ მეთოდს ფლობს. ვარჯიშს ჰქვია „ოქროს მამალი ერთ ფეხზე“.

ეს ტექნიკა ამსუბუქებს უამრავი დაავადების სიმპტომს, მათ შორის რადიკულიტის, ოსტეოქონდროზისა

და შაქრიანი დიაბეტის.

თურმე ერთ ფეხზე დგომისას წონასწორობის შენარჩუნების პროცესში ადამიანი ზემოქმედებს ფეხისგულზე გამავალი ექვსი უმნიშვნელოვანესი შინაგანი ორგანოს არხებზე. აღნიშნული ზემოქმედების შედეგად, ბუნებრივია, ორგანოთა ფუნქციობა უმჯობესდება.

როგორ უნდა შეასრულოთ ვარჯიში „ოქროს მამალი ერთ ფეხზე“:

დადექით სწორად, გაიმართეთ, ხელები ჩამოუშვით სხეულის გასწვრივ, თვალები დახუჭეთ. ერთი ფეხი (მარჯვენა ან მარცხენა) მოხარეთ და აწიეთ (ისე როგორც სურათზეა აღნიშნული). ასეთ მდგომარეობაში იდექით რამდენიმე წუთი. შეეცადეთ მაქსიმალურად შეინარჩუნოთ წონასწორობა. ამ დროს თვალები აუცილებლად დახუჭული უნდა გქონდეთ. ასე მხედველობით ფაქტორს არ ექნება დამხმარე საშუალების როლი წონასწორობის შენარჩუნებაში, შესაბამისად, მაქსიმალურად მოხდება ტვინის გააქტივება და ფიქსაცია წონასწორობის პროცესზე ანუ შინაგან ორგანოთა ფუნქციის დაბალანსებაზე.

ზოგჯერ ცალ ფეხზე მდგომ ადამიანს, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს წონასწორობა, ეწყება ტერფზე არსებული შესუსტებული არხების ტკივილი. ვარჯიშის შესრულება არ უნდა შეწყვიტოთ ტკივილის სიმპტომის მიუხედავად.

წყარო: http://www.mshoblebi.ge/janmrtheloba/aqtualuri

იოდის ბადის სასწაულმოქმედი უნარები - ის რაც დღემდე არ იცით!

იოდის ბადე – გაკეთებული ფეხის ქუსლებზე, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას. გეხმარებათ თავი დააღწიოთ ფეხების შეშუპებას. ეს საუკეთესოა მათთვის, ვისაც დიდხანს დგომა ან სიარული უწევს.

არ დაგვავიწყდეს, რომ იოდი სხეულის ტემპერატურასაც დაბლა წევს. რეკომენდებულია, ძილისწინ გაიკეთოთ იოდის ბადე ფეხებზე, შემდეგ კი თბილი წინდები ჩაიცვათ.

ამ პროცედურის დახმარებით თქვენ გაიგებთ რა დონეზეა იოდი თქვენს ორგანიზმში. თუ კი დილით მისი ბადე უკვალოდ გაქრება, ეს მიგითითებთ იმაზე, რომ თქვენ უფრო მეტი ზღვისა და იოდიზირებული პროდუქტი უნდა ჭამოთ.

როგორ უნდა გაიკეთოთ იოდის ბადე?

სანამ ამ პროცედურას ჩაიტარებთ, მანამდე გაარკვიეთ გაქვთ თუ არა იოდზე ალერგია. ამისთვის საჭიროა მაჯის გარშემო პატარა ხაზები იოდით დაიხატოთ და 15-30 წუთი დაელოდოთ. თუ ამ დროის განმავლობაში არანაირმა ტკივილმა ან სიწითლემ შეგაწუხათ, ესეიგი ალერგიაც არ გქონიათ და მშვიდად შეგიძლიათ გადახვიდეთ შემდეგ ეტაპზე.

არავითარ შემთხვევაში იოდი სქლად არ წაისვათ. ყურის ჩხირით ფეხის ქუსლზე მისი ბადე დახატეთ. ზომა 1x1 სანტიმეტრი უნდა იყოს.

გახსოვდეთ ეს მეთოდი ეფექტურია, მაგრამ ხშირად მისი გამოყენება არ ღირს. იოდური ბადე კვირაში 3-4-ჯერ გაიკეთეთ ხოლმე.

წყარო: http://news.lider.ge/rchevebi/2060--.html

როგორ ვუმკურნალოთ ცხიმოვანი უჯრედების დაგროვებას, ანუ ლიპომას?



გთავაზობთ უტყუარ მეთოდს

ნივრისა და მცენარეული ზეთის ნარევი - კიდევ ერთი ეფექტური მეთოდი ლიპომას სამკურნალოდ. კარგად დაჭყლიტეთ 1 კბილი ნიორი, ჩაამატეთ მასში რამდენიმე წვეთი სასურველი მცენარეული ზეთი და კარგად გადაურიეთ. მიღებული მასა წაისვით ლიპომაზე და დააფიქსირეთ დოლბანდის ან პლასტირის გამოყენებით. დაახლოებით 30 წუთის შემდეგ მოიხსენით კომპრესი და ჩამოიბანეთ ნარევი წყლით. გაიმეორეთ ეს პროცედურა ყოველდღიურად სასურველი შედეგის მიღებამდე.

წყარო: http://fpaparazzi.com/index.php?newsid=15402

ექიმები ამას არ ახმაურებენ! როგორ მოიშოროთ კოჟრები ხალხური რეცეპტით!

კოჟრები წარმოადგენს მარილების გროვას, რომელიც ზოგიერთი ანთებითი პროცესით ან მოუხერხებელი, ვიწრო ფეხსაცმელის გამო ჩნდება.

10 ცალ წვრილად დაჭრილ ნედლ დაფნის ფოთოლს დაამატეთ 300 მლ. წყალი. ხარშეთ 5 წუთის განმავლობაში, შემდეგ გაადასხით თერმოსში. დააყენეთ მთელი ღამით, დილით გაფილტრეთ.

სვით დიდი ყლუპებით დღის განმავლობაში. მკურნალობის კურსი გაგაძრელეთ 7 დღე, ყოველ დღე ახალადამზადებული სითხე სვით. გაიმეორეთ მკურნალობის კურსი ერთი კვირის გამოტოვების შემდეგ.

ნაყენის მიღების შემდეგ შარდდენა მოიმატებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მარილები თქვენს ორგანიზმში იშლება.

სულ რაღაც ათ დღეში, თქვენ პირველ მნიშვნელოვან ცვლილებებს შეამჩნევთ. თავს ბევრად უკეთ იგძრნობთ, თქვენი სახსრების ტკივილი გაქრება. სრულად გაქრება თქვენი კოჟრებიც, თუ ამ ნაყენს 2 თვის მანძილზე გამოიყენებთ.

http://fpaparazzi.com/index.php?newsid=12815

რჩევა დიასახლისებს

საუკეთესო წათხის რეცეპტი ყველის დიდი ხნით შესანახად

ყველის ხანგრძლივი დროით შენახვა ყოველთვის წათხის ხარისხზეა დამოკიდებული. დიდი რაოდენობით ყველი ოჯახში სეზონის შესაბამისად გროვდება – ზაფხულში და ადრე შემოდგომაზე ყველი უფრო იაფია და ცხიმიანიც. ოჯახების უმრავლესობას სწორედ ამ სეზონზე სურს დიდი რაოდენობით ყველის შეძენა, რომ ის მომავალ თვეებში გამოიყენოს.

გთავაზობთ საუკეთესო წათხის რეცეპტს:

13 ჩაის ჭიქა წყალი

2 ჩაის ჭიქა მარილი

1 ჩაის ჭიქა შაქარი

1 ჩაის ჭიქა ძმარი

იმერული ყველი წათხში 8-10 თვე ინახება. ჭყინტი ყველი კი მაცივარშიც კი ერთ კვირაზე მეტს ვერ ძლებს.

წყარო: mshoblebi.ge

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში(N52), ჯანმრთელობის გვ. 17-ზე, ტექნიკური შეცდომა მოხდა; რუბრიკის- „რჩევა დიასახლისებისათვის“ - ქვეშ დაანონსებულ სათაურში “ საუკეთესო წათხის რეცეპტი ყველის დიდი ხნით შესანახად“ კიბოს მკურნალობის მასალა აღმოჩნდა ჩადებული, რასაც გაწბილებული დიასახლისების სატელეფონო ზარები მოჰყვა. ვასწორებთ ჩვენს შეცდომას და აღნიშნულ მასალას სიამოვნებით ვაწვდით ჩვენს მკითხველ დიასახლისებს (რედ).

ახალი დროების სექტები და ქრისტიანობები რუსეთში

დასაწყისი გვ. 14

არსებულმა ვითარებამ ხელისუფლების ყურადღება მიიპყრო; 1733 წელს გახორციელდა პირველი მოკვლევა ხლისტების სექტისა. ამის გამო დააპატიმრეს 78 ადამიანი. სამ ლიდერს - ანასტასიას, იერომონახებს ტიხონსა და ფილარეტს საჯაროდ მოჰკვეთეს თავი. დანარჩენი გაროზგეს და გააციმბირეს. დასჯა კი მაინც ვერ აფერხებდა ხლისტობის გავრცელებას.

1740 წელს მოსკოვში გაჩნდა ახალი „ქრისტე“ - ორლოვის გუბერნიის გლეხი ადრიანე პეტროვი. მან წინასწარმეტყველებაც დაიწყო. მის გარშემო შეიკრიბნენ მწიგნობრებიც და წარჩინებულებიც. სტუმრობდა გრაფ შერემეტევებს და ჩერკასკის თავადინას. წარჩინებულების შემწეობით ხლისტობამ კვლავ მოიკიდა ფეხი მოსკოვის მონასტრებში და გავრცელება ჰპოვა „თეთრ“ სამღვდელოებაშიც.

გარდა მოსკოვის, ნიჟეგოროდის, კოსტრომის, ვლადიმირის, იაროსლავის გუბერნიებისა, სექტა გამოჩნდა რიაზანის, ტვერის, სიმბირსკის, პენზის და ვოლოგდის გუბერნიებში, ამავე პერიოდში ის გავრცელდა ვოლგისპირეთში, ოკასა და დონში.

1745 წელს დაიწყო ხლისტების მეორე საგამომძიებლო საქმე. საქმე აღიძრა 416 პიროვნებაზე, რომელთა შორისაც იყვნენ მღვდლები, მონაზონი ქალები და კაცები. ბევრი მათგანი გაგზავნეს კატორღებში და შორეულ მონასტრებში, მაგრამ ვერც ამან შეაჩერა ხლისტობის გავრცელება.

1770-იან წლებში ხლისტობას გამოეყო სკოპცები, რომლებმაც თან წარიტანეს ხლისტების ბევრი ადათ-წესი, ეს პერიოდიც გადაიტანა სექტამ და აგრძელებდა განვითარებას სკოპცების პარალელურად.

XIX საუკუნის დასაწყისში იმპერატორ ალექსანდრე პირველის მმართველობის დროს რუსეთის უმაღლეს წრეებში გავრცელება იწყო მასონობამ. ამ პერიოდს შეიძლება ეწოდოს ხლისტობის აყვავების პერიოდიც.ხლისტებისადმი სიმპატია გააჩნდათ მასონებსა და წმინდა სინოდის ობერ პროკურორ, ბიბლიური საზოგადოების თავმჯდომარეს ა. ნ. გოლიცინს. თქმულების თანახმად ხლისტებს ეკუთვნოდა გრიგორი რასპუტინიც.

საბჭოთა პერიოდში ხლისტობა პრაქტიკულად იქნა აღმოფხვრილი, მაგრამ ხლისტების იდეებმა ასახვა ჰპოვა ახალ პოსტსაბჭოურ სექტებში, როგორებიცაა „თეთრი ძმობა“ და „ბოლო აღთქმის ეკლესია“.

ჩვენ არ შევუდგებით ხლისტების „მოძღვრებისა“ და დოგმების განხილვას, ჩვენი მიზანი მხოლოდ რუსული სექტების ისტორიის მიმოხილვაა.

სკოპცები („ღმერთის ზვარაკები“, „თეთრი მტრედები„) - სექტა გამოყოფილი ხლისტებისაგან, რომლებმაც შემოიღეს დასაჭურისება საღმრთო საქმისთვის. სკოპცობა, როგორც ავღნიშნეთ, დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. დამაარსებლად ითვლება გამოქცეული გლეხი კონდრატე სელივანოვი, რომელმაც მიატოვა ხლისტების სექტაც.

სკოპცების თემი მიიჩნევდა, რომსულის გადასარჩენი ერთადერთი გზაა ბოროტებასთან დასაჭურისება.

„ვინაიდან არიან საჭურისნი, რომელნიც დედის საშოდანვე ასე იშვნენ; არიან საჭურისნი, რომელნიც კაცთაგან დასაჭურისდნენ; და არიან საჭურისნი, რომელთაც თავად დაისაჭურისეს თავი ცათა სასუფევლის გულისთვის. ვისაც წვდომის თავი აქვს, ჩასწვდეს“. (სახარება მათესი, თ.19-12).

პირველი ადამიანები, სკოპცების რწმენით, შექმნილნი იყვნენ უნაყოფონი, სასქესო ორგანოების გარეშე. როდესაც მათ დაარღვიეს ღვთის მცნება, მაშინ მათ სხეულზე წარმოიქმნა სასქესო ნიშნებიო. ვინაიდან სასქესო ორგანოები ცოდვის ნაყოფია, ისინი უნდა მოიკვეთოსო. სკოპცებს თავისი აზრი ჰქონდათ სახარებაზეც (თვლიდნენ, რომ ყველა მოციქულმა ჩაიტარა კასტრაცია) და შექმნეს თავიანთი მითოლოგიაც, რომელიც დაკავშირებული იყო რუს მეფეებთან ურთიერთობაზე. სკოპცების მონაგონის თანახმად, პავლე პირველი იმიტომ იქნა მოკლული, რომ მან უარი განაცხადა დასაჭურისებაზე, მეფედ კი გახდა ალექსანდრე პირველი, რომელიც დაეთანხმა კასტრაციას. დასაჭურისება უტარდებოდათ ქალებსაც, რომელთაც ეკვეთებოდათ მკერდი.

ალექსანდრე პირველის მმართველობა საჭურისებისთვის იყო კეთილისმყოფელი, რომელსაც თვით სკოპცები „ოქროს საუკუნეს“ ეძახდნენ. დასჭურისება ხდებოდა ლეგალურად, დიდი ზარ-ზეიმით. პოლიციას უზენაესი მმართველისაგან ეკრძალებოდა იმ სახლებში შესვლა, სადაც ისინი იმყოფებოდნენ.

სელივანოვს ისინი ღიად უწოდებდნენ ღმერთს, ის კი ბაბტისტის თავსაბურავის ქნევით ეუბნებოდა მათ: „ჩემი წმინდა მფარველობა გადმოდის თქვენზე“. მთელი ეს სიგიჟე გავლენას ახდენდა თავისუფალ ბარინებსა და ვაჭრებზე, რომლებიც სელივანოვთან მიდიოდნენ კურთხევის სათხოვნელად. სელივანოვის პოპულარობა იზრდებოდა, 1805 წელს მას თვით ეახლა იმპერატორი.

ნიკოლოზ პირველის ზეობისას სკოპცობა მიჩნეულ იქნა ყველაზე მავნე სექტად, რომლის მიმდევრობაც ისჯებოდა კანონით; მათ აგზავნიდნენ მონასტრებში, მაგრამ იქ ისინი ახალ მიმდევრებს პოულობდნენ. 1932 წლისთვის სკოპცები არსებობდნენ თითქმის ყველა გუბერნიაში.

დუხობორები (XVIII საუკუნიდან დღემდე)

დუხობორები - არის ქრისტიანული მიმართულების რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს ეკლესიის გარეგნულ წესებსა და სახეს. იდეურად ახლოს არიან ინგლისელ კვაკერებთან, რომლებიც ქადაგებდნენ ხარკოვის გუბერნიაში. მათ მეცნიერების წრეების წარმომადგენლებიდან მიიღეს სახელწოდება „სულიერი ქრისტიანები“.

დუხობორობის დამაარსებელი იყო 1755-1775 წლებში ეკატერინოსლავის გუბერნიის სოფელ ნიკოლსკოეში მცხოვრები გლეხი სილუან კოლესნიკოვი.

კვაკერთა მსგავსად, დუხობორები გვთავაზობენ, რომ ღმერთი ყოველი ადამიანის სულშიაო. ღმერთი სულიერად არსებობს ადამიანის სულში, მგრძნობიერად კი ბუნებაშიო. ადამიანთა სულები არსებობდნენ სამყაროს შექმნამდეო სხვა ანგელოზებთან ერთადო, ახლა პირველი ცოდვის შემდეგ ისინი ჩამოვიდნენ დედამიწაზეო. დუხობორებს სწამთ სულთა გადასახლების. მართლმორწმუნეების სულები გადადიან ცოცხალ არსებებში ან ახალდაბადებულებშიო. ურწმუნოს ან დამნაშავის სული კი ცხოველებშიო. ქრისტე აღიქმება ჩვეულებრივ ადამიანად, ღვთიური გონების მატარებლად. სასულიერონი არ არსებობენ, სამღვდელოება უარყოფილია. ბიბლიის ღვთიური წარმოშობა აღიარებული, მაგრამ ამავე დროს ამტკიცებენ, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება ბიბლიიდან აიღოს ის, რაც მისთვის სარგებლის მომტანიაო. დუხობორები აღიარებენ ქრისტიანული საიდუმლოებების ნაწილს, ნაწილს უარყოფენ. არ აღიარებენ დღესასწაულებს, მაგრამ მაინც ზეიმობენ, რადგან არ სურთ კონფლიქტი ქრისტიანებთან. დუხობორები უარყოფენ საერო და სასულიერო ხელისუფლებას, ფიცს და არმიაში სამსახურს. სახელმწიფო აღიარებულია და განიხილება დამნაშავეობასთან საბრძოლო იარაღად.

დუხობორების ღვთისმსახურება ხდება ან ღია ცის ქვეშ, ან განსაკუთრებულ ოთახებში. ღვთისმსახურება შედგება ფსალმუნების კითხვით, სიმღერითა და ერთმანეთის კოცნით. რელიგიურ სიმბოლოებად დუხობორები მიიჩნევენ პურს, მარილსა და კათხა წყალს, რომლებიც რიტუალის დროს იდგმება მაგიდაზე. დუხობორების ეთიკის საფუძველში დევს ქრისტეს შეგონებანი ღმერთის სიყვარულზე და მოსეს ათი მცნება, სხვა დანარჩენი კატეგორიულად იკრძალება. ლ.ნ. ტოლსტოის გავლენით დუხობორებს შორის განივრცო ვეგეტარიანელობის იდეები. დუხობორობა მათი მშვიდი, ფხიზელი და მორჩილი ცხოვრების წყალობით გავრცელდა ბევრ გუბერნიაში. შემდგომში დუხობორები განიცდიდნენ დევნას, როგორც სასულიერო ასევე საერო ხელისუფლების მხრიდან, მათ ასახლებდნენ. 1839 წელს ნიკოლოზ პირველის ბრძანებით დუხობორები გადაასახლეს ახალქალაქის მაზრაში, როგორც მავნებელი სექტა. 1898-1899 წლებში იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ნებართვით, დუხობორები შვიდიათასი კაცის რაოდენობით გადასახლდა აშშ-სა და კანადაში.

1991 წელს რუსმა დუხობორებმა დაარსეს „რუსეთის დუხობორთა კავშირი“. მეოცე საუკუნის დასასრულისთვის დუხობორთა საერთო რაოდენობა აღწევდა 100 000, რომლებიც ცხოვრობენ რუსეთში, უკრაინაში, შუა აზიაში, აზერბაიჯანში, საქართველოში, კანადასა და აშშ-ში.

მალაკანები (XVIII საუკუნიდან დღემდე)

მალაკანები - მოძრაობა, რომელიც ჩამოყალიბდა დუხობორების გავლენის მეშვეობით XVIII საუკუნის 60-იან წლებში და ინტენსიურად ვრცელდებოდა XIX საუკუნის დასაწყისში და იმპერიაში მიაკუთვნეს საშიშ ერესთა ჯგუფს. იდევნებოდნენ 1803 წლის ალექსანდრე პირველის ბრძანებამდე, რომელმაც მალაკანებსა და დუხობორებს მისცა ნაწილობრივი თავისუფლება. მაგრამ ნიკოლოზ პირველის ზეობისას თემები განიცდიდნენ დევნას.

მალაკანობის დამაარსებლად ითვლება მოხეტიალე თერძი სემიონ უკელინი, ყოფილი დუხობორელი.

დუხობორებისაგან განსხვავებით, მალაკანები აღიარებდნენ ბიბლიას, რომელიც მათში ასოცირდებოდა სულიერი რძის ნიმუშად, რომლითაც იკვებება ადამიანი. მალაკანები თვითდასახელებას ხსნიდნენ მოციქული პეტრეს სწავლებით „როგორც ახალშობილმა ყრმებმა, ინატრეთ სუფთა სულიერი რძე, რათა იმით გაიზარდოთ ხსნისათვის.“ (1 პეტრე, 2:2). ისინი ახლოს არიან ბაპტისტებთან.

მალაკანები უარყოფდნენ საეკლესიო იერარქიას, მღვდლობას, მონოზვნობას, არ აღიარებდნენ საყდრებს, ეკლესიურ საიდუმლოებებსა და წესებს. უარყოფდნენ წმინდანებს. არ აკეთებდნენ ჯვრის გამოსახულებას. არ ისახავდნენ პირჯვარს ლოცვისას...

ღვთისმსახურთა ფუნქციებს მალაკანებში ასრულებდნენ უხუცესები, რომლებიც იყვნენ ცალკეული თემების მეთაურები. მალაკანებთან ღვთისმსახურება ტარდებოდა ბიბლიის კითხვით, ფსალმუნების სიმღერით, სასულიერო სიმღერებით და ხორციელდებოდა თემის წევრთა ოჯახებში. მალაკანებს სწამდათ უფრო ქრისტეს მეორედ მოსვლა და დედამიწაზე უფლის ათასწლოვანი მეუფობის დამკვიდრებისა.

მალაკანები არ წარმოადგენდნენ ერთიან ეკლესიას, უფრორე რელიგიური მოძრაობას ერთიანი ძირით, მაგრამ შეხედულებების, სიმღერების, სწავლების, დღესასწაულების დიდი სახესხვაობებით. ამ მიმართულებებს შორის გამოირჩეოდა მიმდინარეობა „სველი მალაკანები“ (წყალში განათვლა), მალაკანი მოხტუნავეები, შაბათის მალაკანები და ა.შ....

ზოგი მიმდინარეობა დღემდის იქნა შემორჩენილი. ბეჭვდითი ორგანოა „სულიერი ქრისტიანი“. მალაკანების საერთო რაოდენობა გასული საუკუნის ბოლოსთვის აღწევდა 300 000. უმეტესობა სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეშია, დანარჩენები აშშ-ში, ავსტრალიაში, მექსიკაში, სომხეთსა და თურქეთში.

ტოლსტოელობა

ტოლსტოელობა - რელიგიური საზოგადოებრივი მიმდინარეობა რუსეთში მე-19-ე საუკუნის დასასრულსა და 20-ე საუკუნის დასაწყისში, ჩაისახა 1880-იან წლებში რუსულ გლეხურ წიაღში დუხობორების იდეებისა და ლ.ნ. ტოლსტოის რელიგიურ-ფილოსოფიური სწავლების გავლენით. მიმდევრები - ტოლსტოელები. დამაარსებელი და პირველი პროპაგანდისტი - თავადი დიმიტრი ხილკოვი (ხარკოველი მემამულე, გვარდიის პოდპოლკოვნიკი, სოციალ-დემოკრატიული იდეებით გატაცებული. ტოლსტოელობის საფუძვლები წარმოდგენილია ტოლსტოის ნაწარმოებებში „აღსარება“, „რაში არს ჩემი რწმენა?“, „კრეიცერის სონატა“ და სხვა. ტოლსტოელობის რელიგიური შეხედულებებისათვის დამახასიათებელია სინკრეტიზმი (სხვადასახვა სახის აღმსარებლობისა და კულტების შეერთება). გააჩნია რა ქრისტიანული საფუძველი, ის თან ირთავს წარმართობას, ბუდიზმს, ისლამს, ინდუიზმს. ძირითადი ქრისტიანული დოგმატები უარყოფილია: სამება, ქრისტეს ღვთიურობა...

ტოლსტოელები უარს ამბობენ სამხედრო სამსახურსა და ბეგარის გადახდაზე. არ არსებობს ღვთის მსახურება.

1897 წლისათვის რუსეთში ტოლსტოელობა გამოცხადდა მავნებელ სექტად.

გასულ საუკუნეთა მიჯნაზე ტოლსტოელობა ძირითადად შედგებოდა ინტელიგენციისაგან, დაახლოებით 30 000 კაცი. 20-ე საუკუნის ბოლოს ტოლსტოელობა შემორჩა ევროპაში, აშშ-ში, იაპონიასა და ინდოეთში.

რუსული კომუნისტური იმპერიის დასრულების შემდეგ, მოდერნიზებულ, „დემოკრატიულ“ რუსეთის ფედერაციაში, რელიგიის თავისუფლების პრინციპების წყალობით ახალი ბიძგი მიეცა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გამხდარიყო რუსული სასულიერო სპექტრი და ვისაც არ დაეზარა, ყველამ შექმნა ახალი „რელიგია“.

დღესდღეობით აღნუსხულია რუსეთის სივრცეში მოქმედი ასზე მეტი რელიგიური თუ ოკულტური სექტა.

მკითხველისთვის დასკვნის გაკეთება, არც თუ ისე თავსატეხი რამაა. ჩვენ კი ამით შევეცადეთ წარმოგვეჩინა „წმინდა რუსეთის“ ნამდვილი სახე.

პუბლიკაცია სერგეი შულიაკის მიხედვით მოამზადა

თავისუფალი ტრიბუნა

„უკვე გვიანი” თუ არა ... დრო მაინცაა გამოვფხიზლდეთ!

თერთმეტი წელი ვიცხოვრე საზღვარგარეთ სამშობლოში ჩამოუსვლელად, იქ დავოჯახდი, ოთხიდან სამი შვილი იქ შემეძინა და მერწმუნეთ, რომ გარკვეულ წილად ადაპტირებული ვარ ქართული მენტალობისთვის, ტრადიციებისთვის, ცხოვრების წესისთვის უცხო, ევროპულ გარემოსთან (რომელიც თუ არ მხიბლავს, არც მიკვირს), მაგრამ არა ისეთ გადაგვარებულთან, როგორიც „ყველგან-ძალად-ლიბერალ“, „გრანტიჭამა-ვერმოშლილ“ „ქართველ ევროპელებს“ სურთ წარმოგვიდგინონ და ასეთი დამახინჯებული ფორმით წესად გვიქციონ. სწორედ ამასთან დაკავშირებით მინდა თქვენი ყურადღება მივიპყრო და ორიოდე სიტყვით ჩემი მოკრძალებული აზრი მოგახსენოთ...

ჩემს თანამემამულეთაგან ბევრს, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ევროპის ქვეყნებში, ეთნიკური ნიშნით, თუ რაიმე საერთო ღირებულებებით გაერთიანებული, ერთ მხარეს მდგომი უმრავლესობა, ისე, ტყუილ უბრალოდ არავის ერჩის განსხვავებული რელიგიული, პოლიტიკური, სექსუალური, და ა.შ. აზრებისა, თუ ორიენტაციების გამო ... უფრო მეტიც, ბოდიშით და ყველას სულ ფეხებზე ჰკიდია რა გვარის, რა ეროვნების ხარ და რა ჰაერით სუნთქავ, მთავარია კანონი არ დაარღვიო და ქვეყანაში არსებულ ეროვნულ ფასეულობებს სცე პატივი. ეს ეროვნული ფასეულობები კი ყველა ქვეყანას თავისი აქვს და კბილებით იცავენ მის ხელშეუხებლობას ყველა ერთად, მთელი საზოგადოება, ქვეყნის თვითოეული მოქალაქე, მთავრობა, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები (სხვათა შორის ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე ბევრ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან მქონდა მჭიდრო ურთიერთ-თანამშრომლობა და ამ ორგანიზაციების ბევრ ხელმძღვანელთან ვმეგობრობდი კიდეც). ასეთი ორგანიზაციები, როგორც მოგეხსენებათ სხვადასხვა ევრო-პროგრამების განსახორციელებლად აღებული გრანტებით არსებობენ, შესაბამისად თავდაუზოგავად იბრძვიან სხვადასხვა უფლებებისთვის, ქვეყნის შიგნით არსებული, მათთვის „არასასურველი“ კანონების შეცვლისთვის, ებრძვიან საკუთარ მთავრობებს, მაგრამ როდესაც სასწორზე მათი ეროვნული ფასეულობების საკითხი დგება და მას უცხო, მესამე ძალის მიერ ხელყოფის საშიშროება ემუქრება, სრულ სოლიდარობას უცხადებენ საკუთარი ხალხის საერთო აზრს, თავიანთ სამშობლოს, სულს არ ყიდიან 30 ვერცხლად და თუ ამას ეროვნული ინტერესები მოითხოვს, მიუხედავად მათი არაკონსერვატორული მრწამსისა, ხალხთან და მთავრობასთან ერთად ებრძვიან მათ დამფინანსებლებსაც კი, რადგან სამშობლო, რაც არ უნდა ვთქვათ მაინც ერთია. მაგალითისთვის შემიძლია მოგიყვანოთ საბერძნეთი. საბერძნეთში (ისევე როგორც საქართველოში) ეთნიკურ ბერძნებთან ერთად, ბევრი სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანი ცხოვრობს. მათ შორის ბევრი საბერძნეთის მოქალაქეა, ბევრიც ემიგრანტი,შეხვდებით უამრავ არალეგალსაც და მათთან, როგორც ეთნიკურ უმცირესობებთან, ქართულ საზოგადოებასთან შედარებით ბევრად ნაკლებადტოლერანტ ბერძნულ საზოგადოებას არავითარი პრეტენზია არ გააჩნია გარდა იმისა, რომ ყველამ, ვინც მათ ქვეყანაში ცხოვრობს, აუცილებლად უნდა იცოდეს (ან თუ არ იცის კეთილი ინებოს და ისწავლოს) ამ ქვეყნის სახელმწიფო ენა, პატივი სცეს ამ ქვეყნის ტრადიციებს, გაითავისოს ამ ქვეყანაში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის წეს-ჩვეულებები, პატივი სცეს ამ ქვეყნის კანონმდებლობას, პატივი სცეს და არ შეურაცხყოს (თორემ, ვისაც სადაც უნდა იქ ილოცოს) ამ ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებლური რელიგია. ამ საკითხებში მთელი ბერძნული საზოგადოება, „სამთავრობო“, თუ „არასამთავრობო“ ერთ აზრზე დგას.

თუმცაღა, ამ მართლმადიდებლობისა და ეკლესია-მონასტრების ქვეყანაში არავის არაფერი არ უკვირს .... ცოდვა გამხელილი სჯობიაო და ელინელების დიდმა წინაპრებმა ხომ იქით აზიარეს მთელი დანარჩენი ევროპა მამათმავლობისა და დედათტრფობის მიუტევებელ ცოდვას თავის დროზე? ... ხოდა... ქუჩებში ყოველწლიური საზაფხულო კარნავალების დროს ღაღად დარბიან კაბიანი ბიჭები ... კაბა ბევრი ბერძენი ყმაწვილის უსაყვარლესი საკარნავალო სამოსია, (ის კაბა არ მაქვს მხედველობაში ბერძნების ეროვნულ სამოსად რომ მოიაზრება). ასეთი და სხვა ჩაცმულობა კარნავალის მსვლელობის პერიოდში არავის აღიზიანებს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა ამ ქვეყანაში ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია. საკუთარი სხეულით მოვაჭრეს „პუტანკად“ უხმობენ, გეის ბერძნულად „პუსტით“ მოიხსენიებენ. მეტსაც გეტყვით, მაგალითად, საკმარისია არასაზეიმო ყოველდღიურობაში ორმა ერთსქესიანმა ადამიანმა, ხელკავგაყრილმა, ან ხელი-ხელ გადახვეულმა გაიაროს ქუჩაში... საზოგადოების მიერ ასეთი საქციელი იმავე წამს საზოგადოებრივი წესის დარღვევად და ჰომოსექსუალიზმის აფიშირებად აღიქმება (სხვათა შორის შეხვედრისთანავე ვაფრთხილებდი ჩემთან სტუმრად ჩამოსულ, ან თესალონიკში გავლით მყოფ ჩემს მეგობრებს, რომ ღმერთი არ გასწყრომოდათ და თბილისურად „პოდრუჩკი“ არ გამოედოთ, ან ძმაკაცურად ხელი არ გადაეხვიათ ქუჩაში სიარულის დროს... ასეთ წყვილს არავინ აგინებს, ქვებს არავინ ესვრის, მაგრამ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილას ასეთი „ძმური“, თუ „დური“ ჩახუტებები უწესობად ითვლება (გეი აღლუმზე,აღარა მაქვს საუბარი რომლის ჩატარების მცდელობასაც საბერძნეთში საქართველოს შემთხვევაზე ბევრად უფრო მწვავე რეაქცია მოჰყვა ხალხის დიდი უმრავლესობის მხრიდან).

ახლა სხვა მაგალითს მოგიყვებით და ნელ-ნელა მიხვდებით საით მიმყავს ჩემი საუბარი. საბერძნეთში მართლაცდა მრავლად არსებულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის შეიძლება შეხვდეთ ამერიკული მრავალმილიონიანი დაფინანსებით აშენებულ ზვიად, კომფორტაბელურ შენობას, რომელიც შეიძლება იეღოვას მოწმეების ცენტრალურ ოფისს წარმოადგენდეს, ან კათოლიკური, თუ პროტესტანტული ეკლესიების სალოცავს. მათ ამ შენობებში არავინ უვარდება. ასევე არავინ არ ესხმის თავს მაგალითად....იეღოველთა რამდენიმე კაციან ჯგუფს, რომელიც ქუჩაში მდგარი, თავისთვის, „ჭეშმარიტ ღმერთზე“ მღერის ბალადებს ... „სამარადჟამოდ დაღუპული, საცოდავი მოუნათლავები“ შეიძლება გაიგონო რომელიმე გამვლელის კეთილ-ღიმილნარევი დაბალხმოვანი რეპლიკა ... „ყველა მოუნათლავს არასასიამოვნო სუნი ასდის, საცოდავები“ ოხვრით ჩაივლის მეორე ... (ააფსუს! კიდევ ქართველებს გვესაუბრებიან ტოლერანტობაზე) ... ისე ასეთი რეაქციები ზომიერების ფარგლებში არც არის გასაკვირი, დემოკრატიაა, ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ საკმარისია, რომ ამ „მოგალობე“ ჯგუფიდან რომელიმემ, „ჭეშმარიტი სარწმუნოების“ პროპაგანდის მიზნით, როგორც საქართველოში ხდება, „საგუშაგო კოშკის“ ან სხვა რასელისტური ბროშურების გამვლელ-გამოვლელთა ხელებში ძალით ჩატენვა და „ჭეშმარიტი ღმერთის“ ქადაგება დაიწყოს... ამას სერიოზული და კანონიერი გულისწყრომა მოჰყვება საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან. რელიგიური უმცირესობების უმრავლესობაზე ასეთი ძალადობის ფაქტები კი საქართველოსგან განსხვავებით, მე პირადად საბერძნეთში ნამდვილად არ მინახავს, ხოლო საქართველოში? იცოცხლეეეთ ... ერთხელ დილაადრიანად, ახალგაღვიძებულს, წინა დღით ნაბახუსევს და ღამენათევს, კარებზე ხელის კვრით და ქადაგებით შემომივარდა სახლში ბროშურებით შეიარაღებული ახალგაზრდა, საკმაოდ კარგი შესახედაობის იეღოვას მოწმე ქართველი გოგო და მთელი ათი წუთი დავზდევდი უკან ღამის საცვლების ამარა მისაღებ ოთახში მაგიდის ირგვლივ „შენი ჭირიმე, არ მაქვს შენი თავი, ცუდად ვარ, არ მაინტერესებს შენი არაკები ხასხასა მდელოზე ერთად გაგორებულ ლომზე და ცხვარზე, თუ რაღაც ამდაგვარზე, წადი ჩემი სახლიდან მეთქი“ მერე, რომ ვერ მოვიცილე ერთადერთმა ნათელმა აზრმა გამირბინა თავში სირბილი შევწყვიტე, დავფიქრდი და ... „ისე, დარჩი თუ გინდა, მარტო ვარ სახლში და ზუსტად შენ გამომიყვან პახმელიაზე მეთქი“ ეს რომ ვუთხარი ე, მაშინ იკადრა ენის გაჩერება და შეშინებული გავარდა გარეთ... (ეს ისე, პატარა გადახვევა).

იმის მერე, რაც ზევით უკვე მოგახსენეთ კითხვა მინდა დაგისვათ თქვენ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და ქართველი ერის პატრიარქის მაძაგებლებო და კათოლიკური ეკლესიისა და რომის პაპის მადიდებლებობო!, ქართული „ბნელი“ წეს-ჩვეულებებისა, თუ „დრომოჭმული“ ტრადიციების, ქართული კულტურის, ისტორიის გამქიაქებლებო და (თქვენი აზრით) „ევროპული“ ღირებულებების, რომაულ-ბერძნულ-ანგლო-საქსურ-გალურ-კელტურ და რა ვიცი კიდევ ..... კულტურებისა და უკულტურო ამერიკელების ძველკელტური „ნათელი“ წესჩვეულების „ჰელოუინის“ მოტრფიალენო , თქვენ მოგმართავთ ნეტარო „ნეო-ლიბერალებო„! რატომ იტკივებთ თქვენს, ისედაც „ერთობ ღირებული იდეებით გადატვირთულ“ და „ეროვნული პრობლემებით დამძიმებულ“ თავებს? რატომ ხარჯავთ ამხელა ენერგიებს იმ ველოსიპედის ახლიდან გამოგონებისათვის, რომლის დახელოვნებულ ტარებაში და საბურავების ბერვაში უამრავი ქართველი ბავშვი და საუკეთესო თაობები გაიზარდა საქართველოში?

რატომ უწუნებთ ტოლერანტობას იმ ერს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ძმურად უზიარებდა თავის ქვეყანაში, თავის მიწაზე-წყალზე მოწეულ ლუკმა-პურს მტერს, თუ მოყვარეს და ჭირში, თუ ლხინში გვერდში ედგა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის, არა-ქართველი ეროვნების წარმომადგენელს??? ..... ქართველ გერმანელს, ქართველ რუსს, ქართველ უკრაინელს, ქართველ ებრაელს, ჩვენს სომეხს, ჩვენს აზერბეიჯანელს, ჩვენს ქურთს, ჩვენს აისორს, ჩვენს იეზიდს და ა.შ. უწოდებდა მათ ყოველთვის ქართველი-ქართველი, ყოველივე ჩვენგანისათვის საერთო, საფიცარი საქართველოს, თანასწორუფლებიან მოქალაქედ თვლიდა მათ და სულ არ აინტერესებდა არავის, თუ ვინ ლოცულობდა სინაგოგაში, ვინ მეჩეთში, ვინ სომხების გრიგორიანულ ეკლესიაში, ვინ კათოლიკურ ეკლესიაში და ვინ სცემდა საკუთარი სახლის კართან თაყვანს მზის ამოსვლას..... ამ ქვეყანაში არ დაიბადეთ და არ გაიზარდეთ? როდის იყო საქართველოში ავადმყოფის, სუსტის და დაუცველის დაჩაგვრა საზოგადოებისთვის მოსაწონ საქციელად ითვლებოდა? როდის იყვნენ შევიწროვებულები და საზოგადოებისგან გარიყულები არატრადიციული ორიენტაციის ადამიანები საქართველოში? საქართველო პატარა ქვეყანაა და ნახევარმა საქართველომ იცის მეორე ნახევარის მაცივარში რა დევს . შესაბამისად. ყველამ ყველას ორიენტაცია იცოდა და ასეთ ადამიანებს, რომელთა შორისაც თავის საქმეში წარმატებულები და თქვენ წარმოიდგინეთ ყველასათვის ცნობილი საზოგადო მოღვაწეებიც გვხვდებოდნენ, სულ სხვა ღირებულებების გამო სცემდნენ მათ პატივს თანამემამულეები, აფასებდნენ და უყვარდათ კიდეც ისინი, ნაკლებად ცნობად ჰომოსექსუალებს კი არავინ დაზდევდა ქუჩებში ცემითა და ქვების სროლით , არავინ არბევდა თბილისში ალექსანდროვის ბაღის ტუალეტთან, ან „ბლიადსკი ბაღში“ მდგარ კარგად „დაზმანულ გომიკებს“ ... მახსოვს, რუსთაველზე, ლაღიძის წყლებთან ხშირად ჩამოივლიდა ორმეტრიანი, ულვაშებიანი ტიპი, „ხათუნას“ ეძახდნენ სახელად (მარტო ამ სახელის დაძახებაზე მოგხედავდა, სინამდვილეში რა თქმა უნდა კაცის სახელი ერქვა) ყველა იცნობდა რუსთაველზე მობირჟავე ძველი ბიჭებიდან დაწყებული, ირგვლივ, კაფეებში და მაღაზიებში მომუშავე გამყიდველი ქალებით დამთავრებული. წვრილ ხმაზე ლაპარაკობდა ქალივით, ჭორაობა უყვარდა მაგრად. საათობით ეჭორავებოდა ძველ ბიჭებს და ერთი ზედმეტი სიტყვა არ უკადრებია მისთვის არავის არასდროს. პირიქით ხელის აწევით ესალმებოდნენ და ეძახოდნენ, იმიტომ, რომ ძალიან განათლებული იყო და ამავე დროს საინტერესო მოსაუბრეც. რა დისკრიმინაცია, რის გამოხშირვა და საზოგადოებისგან გარიყვა, ასეთ სუბიექტებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხვდებოდათ თავ-ყბაში როცა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რიგში ან სადმე სხვაგან, ვინმეს ერთ ადგილას წაავლებდნენ ხელს, თან უმეტეს შემთხვევაში ასაკით პატარა ან ქალაქში ახალ ჩამოსულ ბიჭებს ირჩევდნენ მსხვერპლად ასეთი ავადმყოფები .... მოკლედ ბევრი, რომ არ გავაგრძელო (ისედაც ბევრი ვილაპარაკე, იეღოველებსა და მამათმავლებზე) ამ მხრივ და სხვა მხრივაც საქართველოში არაფერი შეცვლილა, ასე რომ არც ეკლესიისა და პატრიარქის გინებას არ აპატიებს არავინ არავის, არც გეი აღლუმებით წააბილწვინებს ქუჩებს არავინ არავის და არც ჩვენი შვილების ფსიქიკას, არც არავინ არავის წაავლებინებს ხელს სადმე.

რაც შეეხება ადამიანის დაფასებას, ჰუმანურობას, კულტურას და ზრდილობას, შეგვიძლია იქით ვასწავლოთ ამერიკას და ევროპას.....

დიმიტრი კევლიშვილი

გაგეთ „განმათავისუფლებლის“ შეკითხვა კათოლიკოს პატრიარქს ჩვილთა და ყრმათა ნათლობის წესგე



თქვენო უწმინდესობავ,

სამების საკათედრო ტაძარში და სხვა ეკლესიებში, ჩვილთა და ყრმათა მონათვლის წესი ხშირად აღესრულება ისე, რომ მღვდელთაგან არ ხდება გამოკითხვა მშობლების კანონიზაციაზე; კერძოდ, ხელმოწერილი ან ჯვარდაწერილი არიან თუ არა მოსანათლი ბავშვების მშობლები.

იშვიათ შემთხვევაში, მღვდელი იჩენს რა ყურადღებას ამ საკითხისადმი, ურჩევს მშობლებს, ჯერ თავად დაიწერონ ჯვარი ან შეუღლება განამტკიცონ სამოქალაქო ქორწინებით; ცნობილია, რომ უმრავლეს შემთხვევაში ცოლ-ქმრული თანაცხოვრების ამგვარი წესის დამდგენად მამაკაცები გვევლინებიან, რასაც იძულებით მორჩილებენ ქალები.

რამდენად კანონიკური და ღვთის სათნო ღვაწლია, მღვდელთაგან, არაკანონიერ მეუღლეთა შვილების მონათვლა?

კონფუცის 25 მრძნული რჩევა



კონფუცი ქრისტეს შობამდე 551 წელს დაიბადა. მიუხედავად იმისა, რომ საღვთისმეტყველო საკითხები მისთვის მთავარი თემა არ ყოფილა, მის ფილოსოფიურ სწავლებებს ხშირად მოიხსენიებდნენ რელიგიად. იგი ჩვეულებრივი ადამიანი იყო. მისი ყველა სწავლება მორალზე ეთიკასა და ადამიანურ ურთიერთობებზეა აგებული.

ის იყო პირველი, ვინც დაიწყო საუბარი ჰარმონიულ საზოგადოებაზე. მისი სწავლების ოქროს წესი იყო შემდეგი — ,,ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა საკუთარი თავისთვის“. მისმა სწავლებებმა დიდი გავლენა იქონია ჩინეთსა და აღმოსავლეთ აზიაზე. 20 წლის ასაკში უკვე ცნობილი მასწავლებელი იყო.

1) სამი გზით შეიძლება მივიდეთ ცოდნამდე: აზროვნება, რომელიც ყველაზე კეთილშობილური გზაა, მიბაძვა, რომელიც ყველაზე მარტივი გზაა და გამოცდილება, რომელიც ყველაზე მწარე გზაა.

2) თუ ვინმე გძულს ე.ი. მან დაგამარცხა.

3) ქვეყანაში, სადაც არის წესრიგი შეგიძლია ილაპარაკო და იმოქმედო გაბედულად, ქვეყანაში სადაც არაა წესრიგი იყავი გაბედული მოქმედებებში, მაგრამ არა ლაპარაკში.

4) შურიძიების დაწყებამდე გათხარეთ ორი საფლავი.

5) მიეცი მითითებები მხოლოდ მას, ვინც ეძებს ცოდნას, რადგან აღმოაჩინა საკუთარი უვიცობა.

6) ბედნიერებაა, როცა შენი ესმით, დიდი ბედნიერება, როცა სიყვარულის ობიექტი ხარ, მაგრამ ნამდვილი ბედნიერებაა, როცა გიყვარს.

7) სინამდვილეში ცხოვრება მარტივია, უბრალოდ ჩვენ მას ვართულებთ მთელი მონდომებით.

8) წვრილმანებში თავშეუკავებლობა დიდ საქმეს დაღუპავს.

9) როცა სიცივე მოდის, მხოლოდ მაშინ ხდება ნათელი, რომ კიპარისი და ფიჭვი უკანასკნელები კარგავენ სამოსს.

10) ძველ ხალხს არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი. ისინი სირცხვილად თვლიდნენ, როცა ადამიანს წინ უსწრებდა ენა.

11) რჩევებს ჩვენ ვიღებთ წვეთობით, სამაგიეროდ გავცემთ სათლებით.

12) ძვირფასი ქვა პრიალდება მხოლოდ ხახუნით, ასეა ადამიანიც — შეუძლებელია წარმატებული გახდე ბევრი მცდელობის გარეშე.

13) კეთილშობილი ადამიანი სთხოვს მხოლოდ საკუთარ თავს, მცირე ადამიანი კი მუდმივად მოითხოვს სხვებისგან.

14) ცუდი ჩვევების დაძლევისთვის საუკეთესო დრო არის დღეს და არა ხვალ.

15) სამი რამ არასოდეს არ ბრუნდება უკან; სიტყვა, დრო და შესაძლებლობა. ამიტომ არ დაკარგო დრო, შეარჩიე სიტყვები და არ გაუშვა ხელიდან შანსი.

16) იპოვეთ ისეთი სამუშაო, რომელიც გიყვართ და თქვენ არ მოგიწევთ მუშაობა მთელი ცხოვრება.

17) მე არ მწყინს, როცა ადამიანებს ჩემი არ ესმით, მე მწყინს, როცა მე არ მესმის მათი.

18) სცადე იყო ცოტა მეტად კეთილი და შენ ვერ შესძლებ ცუდი საქციელის ჩადენას.

19) ძველად ხალხი სწავლობდა საკუთარი თავის სრულყოფისთვის, დღეს ისინი სწავლობენ სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

20) შეგიძლიათ მთელი ცხოვრება წყევლოთ სიბნელე, ან შეგიძლიათ აანთოთ პატარა სანთელი.

21) სილამაზე არის ყველგან, მაგრამ ყველას არ უნდა მისი დანახვა.

22) კეთილშობილი ადამიანი სულით მშვიდია, მცირე ადამიანი მუდამ აღშფოთებულია.

23) თუ ზურგს უკან გაფურთხებენ ე.ი. თქვენ წინ ხართ.

24) ის კი არ არის დიდი ადამიანი, ვინც არ დაცემულა, არამედ ის, ვინც დაეცა და წამოდგომა შესძლო.

25) მნიშვნელობა არ აქვს რამდენად ნელა მოძრაობთ, მთავარია არ გაჩერდეთ.

წყარო: http://mental.ge/konfuci/

✠ სულთათანა ✠

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაზეთი „განმათავისუფლებელი“ გამოვთქვამთ მწუხარებას, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის

ნ ო ნ ა დ ო ჭ ვ ი ი რ ი ს

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

რატომ დააჭრა ქუსლები დავით აღმაშენებელმა უღირს სამღვდელოებას

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა კათოლიკოს-პატრიარქი იოანე IV საფარელი, მოწვეულ იყო 1103 წ. წმ. კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის უშუალო ინიციატივით. წმ. მეფეს მიაჩნდა, რომ ღვთისთვის მოსაწონი არ იქნებოდა საქართველოს მაშინდელ ეკლესიაში და ერში არსებული მდგომარეობა, ვინაიდან გამრავლებული იყო ცოდვა და ნაწილი ღვთისმსახურები, ნაცვლად ერში ქადაგებისა და მათთვის ღირსეული მაგალითის მიცემისა, ყოველგვარ უკულმართობაში იყვნენ ჩართულნი. ამიტომაც, დავით აღმაშენებელმა, შემოიკრიბა რა ჩვენი ეკლესიის დიდი მღვდელთმთავრები, მტკიცე ხელით შეუდგა წესრიგის დამყარებას საქართველოს ეკლესიაში. სწორედ ამისთვის იქნა მიღებული ძეგლისწერაც.

ძეგლისწერა გადაყენებულად აცხადებს უღირს მღვდელთმთავარს, მსახურს, რომელმაც სულისათვის ხორცი არ დათრგუნა;

ეპისკოპოსი უნდა იყოს არანაკლებ ოცდათხუთმეტი წლისა, მღვდელი ოცდაათისა, დიაკონი ოცდახუთისა, „წიგნის მკითხველი“ კი რვა წლისა. ხელდასმა უნდა ხდებოდეს ჯერ უმცროს თანამდებობებზე, შემდეგ კი თანდათანობით უფროსზე;

ხელდასმა და ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარდეს გიორგი მთაწმინდელის განწესების მიხედვით;

ძეგლისწერა კრძალავს ხელდასმას ქრთამით, ძღვენით;

საეკლესიო ქონება, საჭურჭლე მხოლოდ დანიშნულებისამებრ უნდა იხმარებოდეს;

ქორწინება, ნათლობა, მონაზვნად განწესება ხდებოდა ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით. გვირგვინის კურთხევა მხოლოდ ეკლესიაში უნდა შესრულებულიყო. ძეგლისწერა ორ ქორწინებაზე მეტს არ აღიარებდა;

დაქორწინებისას ქალი უნდა ყოფილიყო არანაკლებ თორმეტი წლისა;

კათალიკოსთაგან და ეპისკოპოსთაგან უნდა შეირჩნენ ისეთები, რომლებიც გათვითცნობიერებულები არიან საქრისტიანო წესებში, უანგაროდ ემსახურებიან ეკლესიის საქმეს;

მოძღვართა სიმრავლე მონასტერში განხეთქილების მიზეზს შემოიღებს, ამიტომ მათი რიცხვი უნდა განისაზღვროს: დიდ მონასტერში

ჩერკეზეთი
ყივჩაღები
ალანები
ოსეთი
ქუთაისი
საქართველო
ბიზანტია
ტრაპიზონი
ლეკეთი
ბალაგანი
ბერძანი
ბარდავი
ბორჩალო
ბაზალეთი
ბოლნისი
ანისის საამეფო
ანი
ბასიანი
ერზრუმი
ეკლესიები
ეკლესიები
ეკლესიები